

140 /
1984/2

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԳԵՂԱԿԱՆ ԳԻՏՈՒԹՅԱՆ
ԱԿԱԴԵՄԻԱ



ՀՈՄԵՉՅՈՒՆ

8
1984



ჩვენი ერთიანული
გეგმითაა
გროვნი
ერყვის
ჩვენი
რესპუბლიკის
გროვას

გივივანა ცელისა
და
ბარის ხმარავაც
პარავდ ისწავლენ.



სისაჩუღის მომცანი 24 დღე

მანანა გელაშვილი

გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კრიალა ავტობუსი ზუსტად 8 საათზე საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საერთო საცხოვრებლის წინ იდგა. შენობიდან ხმაურით გამოვიდნენ გოგო-ბიჭები და ავტობუსში ჩასხდნენ.

— აბა, პა, წავედით? — შემობრუნდა მძღოლი და როცა ყველა თავ-თავის ადგილზე დაიგულა, ავტობუსი დაძრა. წინა სკამზე ჩამომჯდარმა აკაკი ვარაზაშვილმა უხმოდ შეათვალიერა მოსწავლეები, მერე უბის წიგნაკი ამოიღო, ციფრებითა და გვარებით აჭრელებული ფურცლები გადაშალა და რაღაცის ჩანიშვნას შეუდგა.

ავტობუსმა მთავარი გზიდან მარჯვნივ გადაუხვია.

— ძალიან კი მოუხდა ეს წვიმა ვენახებს!

— ჩვენ არ მოგვიხდა, საქმეს მო-

ვცდით, თორემ ვენახებს, იცოცხლებ...

— ნეტავ კი სეტყვა არ მოვიდოდა!

— აუჰ! ბიჭო, რომ ან... სეტყვებოდეს, იცი, რა მოსავალი იქნება?!

კარგი გამოცდილი მევენახეებით ათვალეიერებდნენ და შეჰხაროდნენ გოგო-ბიჭები გუშინდელი წვიმით დაბანილ მოღონიერებულ, დახორბლებულ უხეული მტევნებით დახუნძლულ ზვრებს. მძღოლმა ღიმილით მოხედა მათ და გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობის ვენახებისაკენ გადაუხვია. ბავშვები ერთხანს ჩაჩუმდნენ, მერე კი ისევ ახმაურდნენ: — აი, აი, ჩვენი პირველი ნაკვეთი, უკვე სწამლავენ კიდევ... — თითოეული გულისფანქვლით ათვალეიერებდა საკუთარ ნახელავს, უხეიროდ ახვეული ვაზი ხომ არსად ჩანსო.

— მარცხნივ, მარცხნივ! დღეს იქ ვიმუშავებთ, — ანიშნა მძღოლს აკა-



კი ვარაზაშვილმა.

ასე დაიწყო თბილისის 1-ლი და 51-ე საშუალო სკოლების უფროსკლასელთა შრომითი რაზმის მორიგი სა-

17.736

მუშაო დღე. გოგონებმა ასახვევი მასალის დაჭრა-დამზადებას მოჰკიდეს ხელი, ბიჭები კი მიჩენილ მწკრივებში ჩარიგდნენ და ვაზის ახვევას შეუდგნენ. დაჯერებულად აკეთებდნენ თავ-თავის საქმეს, მაგრამ დროდადრო მაინც გამოსძახებდნენ ბანაკის უფროსს:

— კაკო მასწ, აბა, ნახეთ! კარგია?

— არ გეგონოთ, ვაზის ტოტი გამოჩნდა, სხვა რაღაცა მცენარისაა, ამასაც ხომ არ ახვევთ!

ამასობაში მეორე გზობიდან მობრუნებულმა ავტობუსმა რაზმის დანარჩენი 25 წევრიც ამოიყვანა და უკვე 50 წყვილი გამრჯე ხელი ამუშავდა ვენახში. მალე ბრიგადირი — ვაჟა კვეციანიც გამოჩნდა და ბიჭები ახლა იმას გამოსძახებდნენ მალიმალ:

— ვაჟა მასწ, ჩემი ახვეული შეამოწმეთ, რა, თორემ ესენი ამბობენ, აფუჩჩებ და იმიტომ გაგვასწარიო.

— ეს რქაც ასახვევია, ნახეთ, რა... კარგა ხანს არ იცოდნენ გოგობიჭებმა, როგორ მიემართათ ბრიგადირისთვის, ხან ძია ვაჟა უძახეს, ხან ბრიგადირი. მერე კი ვიღაცის ნათქვამი აიტაცეს — მასწავლებელი იყო ბრიგადირი, მაშ რა იყო, ვაზის მოვლას ასწავლიდა. თავიდან, როცა ვენახში მოიყვანეს და აუხსნეს, რა ოპერაცია უნდა შეესრულებინათ, ზოგიერთი აიმრიზა — აბა, ეგ რა საქმეა, სულ არ არის საინტერესო, მაშინ ვაჟა კვეციანიშვილმა დინჯად აუხსნა ვაზის ახვევის მნიშვნელობა და დანიშნულება: — ახვევა გაფურჩენას მოსდევს. გაფურჩენას ორმა-

გი სიკეთე მოაქვს ვაზისთვის. ზედმეტი ტოტების გაცლა ვაზის რქების გალღობას უწყობს ხელს, გარდა ამისა, გაფურჩენილ ვენახს ჰაერი უკეთ გაუვლის, მზეც კარგად დახედავს. ამის წყალობით კი ყურძენიც კარგი მოიწევა. ახვევაც აუცილებელია, ახვეულ რქებს ქარი ვეღარ შეაწუხებს, ვერც გადატეხავს.

შეიძლება ამ ორმოცდაათი თბილისელი მოსწავლისაგან არც ერთი არ დადგეს მევენახე, მაგრამ მევენახის შრომის ყადრი კი ნამდვილად ყველას ეცოდინება. გიორგიწმინდელი მშრომელების მოვლილ-ნასათუთევი ვაზის შემყურეთ, მათ უკვე კარგად იციან, რა შრომის ფა-

მოღვა. იდგნენ დაბნეული გოგობიჭები ვენახში, უხერხულად მუშნებოდნენ, ხელები არ უწყობდათ, ხან რქა გამორჩებოდათ აუხვეველი, ზანაც მთელი ვაზი. სწორედ მაშინ იყო, რომ ბრიგადირმა ვაზის მოვლის პირველი გაკვეთილი ჩაუტარა: — ფრთხილად, ზედმეტი ფათურის გარეშე უნდა იმოქმედოთ, ისე, რომ ტოტები არ დაიჭეფოს, ზოგი რქა ერთ ადგილას უნდა დამაგრდეს, გრძელი რქები კი ორ-სამ ადგილას, თავად დაატყობთ.

მალე პირველი დღეების სიძნედეები უკან დარჩა, დღითიდღე ემატებოდა სიმარჯვე და სისწრაფე ხელებს, სულ უფრო კონტად და კობ-



კახაოვილავი არიან შრომითი რაზმის წევრები — ბრიგადირმა მათი ამ დღის ნაშუავარიც ფრიალზე შეაფანა.

სად მოდის ყურძნის უხვი მოსავალი. რაღაც შეიცვალა ვაზისადმი მათს დამოკიდებულებაშიც — ამერიიდან ეს მცენარე კი არ იყო, რომელიც მზეჩამდგარ ნაყოფს ისხამდა, არამედ რაღაც ცოცხალი არსება, რომელსაც ბალღივით გამუდმებული ყურადღება, ზრუნვა, ლოლიავი და მოვლა სჭირდება.

ზაფხულის ეს 24 დღე რაზმ „მეგობრობის“ თითოეული წევრისათვის საკუთარი თავის შეცნობის, კოლექტიური შრომის ძალის გაგების, ურთიერთგამტანიანობის შემოწმების, შრომითი ჩვევების შექმნის დღეებად იქცა. ამ ოცდაოთხიდან ყველაზე ძნელი პირველი დღე გა-

წიად გამოიყურებოდა ახვეული ვაზი. აეწყო საქმე, თითქოს თავისთავად დადგინდა თითოეული სამუშაო დღის რიტმი და მის შესაბამისად წარიმართა შრომისა და დასვენების ბანაკის ცხოვრებაც. რაზმი დილის შეიღ საათზე დგებოდა, ხაზის ჩატარების შემდეგ ყველა იქვე, საერთო საცხოვრებლის წინ გადაშლილ მწვანე მინდორში მცირე სპორტულ ვარჯიშს ჩაატარებდა, მერე საუზმობდა და ზუსტად რვა საათზე ავტობუსში იკავებდა ადგილს. მუშაობდნენ შუადღემდე, ვიდრე მზე მაგრად დააცხუნებდა, დღეში ჰექტარნახევარ ვენახს აუდიოდნენ. ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრებოდა, ათიდან

საქართველოს აკადემიის და
 პ. ი. ლენინის სახელობის
 პიროვნებათა მემორიალის
 მასშტაბური საფოსტო
 უწყვეტობის
 საპროექტი

პიროვნები

8 აპრილი 1984

საქართველოს საპროექტი

საქ. სსრ
ს.ხ.ს.ბ. რედაქცია



ხან ერთი დაწინაურდებოდა, ხან მეორე, ხან გიორგი არჩვაძის ბრიგადის წევრები ჯობნიდნენ დანარჩენებს, ხან გიორგი ერისთავის ამხანაგები გამოიჩინდნენ თავს სხვებზე მეტად. დიდი მონღოლებითა და პასუხისმგებლობით მუშაობდნენ ის ბრიგადებიც, რომლებსაც ზაზა გურგენიძე, ვანო მაჭავარიანი, არჩილ მარგიანი, ლაშა ფაველენიშვილი ხელმძღვანელობდნენ. საბოლოოდ ყველას ნახელავი უფროსების მიერ ფრიაღზე ფასდებოდა და არავის მეტად თუ არა, ნაკლებად არ სიამოვნებდა ეს ფრიადი, ვიდრე ნებისმიერ სასწავლო საგანში მიღებული ხუთიანი, ეს ხომ მათი შრომის, ორგანიზებულობის, პასუხისმგებლობის, ფიზიკური გამძლეობის, მეგობრობის გრძნობის შეფასება იყო პირველ რიგში.

საინტერესოდ ატარებდნენ „მეგობრობის“ წევრები თავისუფალ დროსაც. ბანაკის უფროსის აკაკი ვარაზაშვილისა და რაზმის კომისრის ნინო არჩვაძის ენერგიული ხელშეწყობით, შტაბის უნარიანი ხელმძღვანელობით მთელი ეს ხანი რაზმი ხალისიანი, სისხლსავე ცხოვრებით ცხოვრობდა. აწყობდნენ სპორტულ შეჯიბრებებს, სიმღერის კონკურსებს, პოეზიის საღამოებს, დადიოდნენ ექსკურსიებზე, ლაშქრობებზე, გასვლითი კონცერტი ჩაუტარეს ადგილობრივი პიონერული ბანაკის ნორჩ დამსვენებლებს, შეხვედნენ გიორგიშინდის მეურნეობის მოწინავე მუსეებს, გამოუშვეს რამდენიმე კედლის გაზეთი, საველე „ელვა“...

გულის დასაწყვეტად მალე ჩათავდა ოცდაოთხი დღე. დაემშვიდობნენ მადლიერი გიორგიშინდელები თავიანთ ნორჩ დამხმარეებს და საგაისოდაც შეიპირეს, იცოდეთ, უთქვენოდ ვენახებს არ აუახვევთო.

თბილისელ მოსწავლეებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს დღეები, დღეები, როცა თავი გამოსცადეს, საკუთარი დამოუკიდებლობა და შესაძლებლობები შეამოწმეს, შრომის უადრო გაიგეს.

მინ შეარქვა პირველად ეს ზედმეტსახელი, აღარავის გვახსოვს, უთუოდ უფროსკლასელთა დამსახურება იყო. ნამდვილი სახელი სანდრო ერქვა, გვარი კი პოლონური ჰქონდა — ტრიპოლსკი, თუმცა გარეგნობით ვაზის ძირში გაზრდილი კახელი გლეხი გეგონებოდათ — შავტუხა, ძვალმსხვილი და ნაჯაფარხელებიანი.

ბოტანიკას გვასწავლიდა, ანდა, სიმართლე თუ გნებავთ, უნდა უსწავლებინა, ჩვენ კი, მაშინდელ მეექვსეკლასელებს, როგორც ახლანდელების უმეტესობას, თავში ოფოფები გვესდა და მუხლებში — ქარი. მოკლედ, ტყუილად ირჯებოდა.

ერთი კია, უჯიათის გაკვეთილი ერთ გრძელ დასვენებად მიგვაჩნდა, რადგან ისიც ჩვენსავით დაუდგრომელი და მოუსვენარი აღმოჩნდა. მერხზე გაყურსულად ჯდომა და ქეროს ქექვა ჭირის დღესავით ეჯავრებოდა, არც გაკვეთილის ახსნა-განმარტებითა და დავალებების მოცემით იღლიდა თავს.

ზომაზე მეტად უცნაური კაცი იყო, სხვა პედაგოგთაგან სრულიად განსხვავებული, ახირებული და ჯიუტი.

პირველად გაკვეთილის ჩასატარებლად რომ შემოვიდა, იმის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცოდით. დედაქალაქიდან ორიოდ წლის გადამოსული იყო. ბოროტი ენები ამბობდნენ, გაქრობის გამო დაითხოვეს იქიდანო; ვერ მოარჯულეს და ვამოაბრძანესო. ზოგი ამტკიცებდა, თავისი ნებით არის წამოსული, ბოტანიკოსი სოფელს მეტად ესაჭიროებაო; სხვა კიდევ სხვას ამბობდა და რა ვიცი, რაღას არ ლაყობდნენ.

მაშინ ჩვენი სკოლა ერთი პატარა, მოცუცქნული ქალაქის განაპირა უბანში იდგა. ქალაქი კი არა, დაბა, ან მოზრდილი სოფელი უფრო ეთქმოდა; თუმცა ახლა, მეოთხედი საუკუნის შემდგომ, სულ სხვაა. ჩვენი სასწავლებელიც ამჟამინდელ ცენტრშია გამოჭიმული.

ჰო, იმ პირველ გაკვეთილზე ვამბობდი, თავიდანვე გავგაოცა. ვიცოდით, მკაცრი არ იყო, არც მომთხო-

ვნი და მით უმეტეს არც გინძეს და მსჯელ-დამტუქსველი. შემოსვლისთანავე ასეც გვითხრა: — ახლა მომისმინეთ, მერე საითაც გაგიჭნდეთ, იქით გაუტიეთ, არც მე ვარ თქვენი შემწუხებელი და ნურც მე გამომბამთ ძაღლის ყბასო, — თქვა, დაჯდა, ფანჯარაში გაიხედა და ორმოცი წუთი ისე ილაპარაკა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩვენთვის.

გვარიანი ცეტები ვიყავით-მეთქი, ეგ უკვე მოგახსენეთ, ორმოც წუთს კი არა, ზედმეტ ხუთ წუთს ბაადურ მასწავლებელსაც არ ვუსმენდით (ფიზკულტურას გვასწავლიდა და ისეთი ჯანიანი კაცი იყო, ნებისმიერ ჩვენგანს ცალი ყურით თავისუფლად სწევდა ჰაერში), მაგრამ უჯიათს მოუუსმინეთ და მერე როგორ, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. თუ იცით, რატომ? ბუნების მასწავლებელმა პირველი გაკვეთილი საქართველოს ისტორიით დაიწყო და უდავოდ მაგის გამო.

— ჩვენი მრავალჭირნაცადი ქვეყანა, ალბათ, ყველამ კარგად იცით, სახელოვან წინაპართა თავდადებათა გადაგვირჩინა და შემოგვინანა, — ჩუმი ხმით თქვა, რაღაცნაირი კენესანარევი სუნთქვით ამოიქშინა და მთელი ერთი წუთით გაყურდა, ჩაფიქრებული გაირინდა, — მაგრამ, — გააგრძელა სარკმელზე თუ მის გარეთ თითმიშვერილმა, — წინაპრებზე არანაკლები ღვაწლი ჩვენმა დალოცვილმა ბუნებამაც დაგვდო, რადგან აურაცხელ მტერთაგან გარემოცული და სწირად დამარცხებული მცირერიცხოვანი ქართველი ერის ერთადერთი აუღებელი ციხესიმაგრე საბოლოოდ მაინც დედაბუნება იყო — გაუვალი, უღრანი ტყეები, თვალშეუღვამი მთები და ის სარჩო-საბადებელი, რასაც იგი ფლობდა და იმეტებდა მშიერ-მწყურვალ ხიზანთათვის.

არაბი თუ მონღოლი, სპარსი თუ თურქი, ოსმალთ თუ სხვა დუშმანი სიკვდილივით უფროსოდა მათთვის უცნობ, საიდუმლოებით მოცულ ბუნების ძალას, რადგან ყოველი ხის კენწეროდან თუ ბუჩქის ძირიდან ისარი, შუბი და ტყვია ეშუ-



მხატვარი მ. შხინიძე

მოთხრობა

ქრებოდა, ყოველ მწვერვალთან ზვავი უდარაჯებდა, ხოლო ხეობებში — ქვათაცვენა.

ამიტომაც იყო, რომ დაუნდობლად ჩნებდა და ბუგავდა ტყეებს, სპობდა ვაზს, ძირკვავდა ხეხილს, სათავეს უშლიდა წყაროს, მაგრამ მოღონიერდებოდა და იმძლავრებდა თუ არა ჩვენი წინაპარი, შეუდგამდა თუ არა დედაბოძს ჩამოქცეულ ჭერს, იმწამსვე ხელახლა იწყე-

ბდა ხეხილის ჩაყრას და ვაზის მოშენებას, ტყის მოვლას და წყაროსთავის ამოყვანას. რაღა შორს მივდივართ, — კვლავ სარკმელს მიაშვირა თითი უჯიათმა, — აგერ, ჩვენი პატარა ქალაქი! თურმე მისი შემოგარენი ჯერ კიდევ ამ ორიოდე საუკუნის წინათ გაუვალი ტყეეებითა და ბუჩქნარით ყოფილა შემოჯარული და დამშვენებული, მაგრამ უმძლავრია მტერს, გაუჩეხავს და გადაუწვავს.

რაღა თქმა უნდა, ჩვენმა უჯიათმა მასწავლებელმა ეს ყოველივე უფრო ხატოვნად, ვრცლად და სრულყოფილად მოგვითხრო, მე იმას რას შევედრები, მაგრამ ამ დროს ერთმა ენაჭარტალამ, ასეთები ხომ ყველა კლასში მოიძევება, ისეთი რამ დააყრანტალა, რომ ყველა შეგვაცბუნა. — პატივცემულო, — ჰკითხა, — თქვენ ხომ პოლონელი ბრძანდებით და ჩვენს ქვეყანაზე ვერე ძლიერ გული რატომ შეგტკივათო?

ამ დროს ზარიც დაირეკა, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს მოუთმენლობა არ დასტყობია, არც ფეხზე წამოხტარა და არც კრინტი დასცდენია, იმას ვუსტქერდით — ჩვენს მასწავლებელს.

უჯიათმა ოდნავ გაიღიმა, წამოგება, შურნალი იღლიაში ამოიჩარა და ვიდრე დაგვტოვებდა, ძალიან წყნარი და ჩუმი ხმით თქვა:

სადაც ვშობილვარ,
გავზრდილვარ,
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი...
ეგ შეგვახსენა და წავიდა.

შემდეგლა გავიგეთ, რომ იმისი წინაპრები ძალიან დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, რევოლუციური საქმიანობისათვის პოლონეთიდან დედაბუდიანად აუყრიათ და ფასანაურში გადმოუსახლებიათ.

უჯიათის ნამდვილი უცნაურობები შემდეგი გაკვეთილებიდან დაიწყო. შემოვიდოდა თუ არა, შეთქმულივით ჩაგვიპაჭუნებდა თვალს და, — შატალოზე რა აზრისა ბრძანდებით, ხომ არ გავუტოთო, — გვი-

თხავდა, თან თითს ტურზე მიიღებდა, რომ ჩვენს ყოჩინსა და შურნამულს სკოლის მყუდროება არ დაერღვია. ასე თითო-თითოდ ჩაგვვლავდა ქუჩაში, ჩაგვამწკრივებდა, თავად მენახირესავით ბოლოში მოგვექცეოდა და იმედის მწვერვალი-საკენ წაგვასხამდა.

იმ პატარა, მოტიტვლებულ გორაკს, ქალაქის განაპირას რომ იყო წამომართული, მთაც კი არ ეთქმოდა, მაგრამ უჯიათი მწვერვალს ეძახდა და რატომ, ამას თვითონვე მიხვდებით.

აგვიყვანდა თუ არა იმ ბორცვზე, ხატის ხარებივით ჩვენს ნებაზე მიგვიშვებდა, თავად რომელიმე ჩირგეში შემაღულ ბარსა და ნიჩაბს გამოაცოცებდა და მიწის ჩიჩქნას იწყებდა. ჩვენც, ფარეხიდან გამორეკილი ციკნებივით ატროკებულები, ხანდახან მივაკითხავდით და ჩავუკვირდებოდით იმის ჩხირკედელაობას.

ამოაბრუნებდა ბელტს, ჩააფხვიერებდა, გამოარჩევდა ბალასს, გაუწმენდდა ფეხს და, უფრო თავისთვის, ვიდრე ჩვენთვის, იტყოდა: — ეს მრავალძარღვაა, სამკურნალო მცენარე, გამიზეზებული ნაიარევის საუკეთესო მალამო. — შემდეგ სხვას შეუნაცვლებდა. — აი, უმაქნისი ბაბუნაწვერა, არაფრისა და არავის სარგო, საქონლის საკვებადაც არ ვარგაო. — ასე მიყოლებდა, მართალია, ბავშვების უმეტესობა აღმადამა დავეჩირითოდით, მაგრამ სამი-ოთხი მოწაფე მაინც ყოველთვის ეხვია გარს, და თუ ვინმე სთხოვდა, ბარსა და ნიჩაბსაც უთმობდა, თავად განზე გადგებოდა, თითქოს ჩვენს მასწავლებლად კი არა, უბრალო მეთვალყურედ იყო დაყენებული.

უფრო დინჯი და აუღელვებელი ადამიანი არათუ მაშინ, შემდეგშიც აღარასოდეს შემხვედრია.

უჯიათის გაკვეთილი რატომღაც ყოველთვის ცხრილის ბოლოში იყო მოქცეული, იქნებ მისივე თხოვნით დაგვემეს ასე, რადგან იმედის მწვერვალზე სწირად დაბინდებამდის ვახანებდით და, გარდა მაგისა, ისე



ვითხუზნებოდით და ვიზუზნებოდით, რომ სკოლაში კი არა, ფარესშიც არ შევიშვებოდით.

გვონებ ახლალა ვხვდები, უჯიათი რატომ შეარქვეს იმ ცხვარივით კაცს. ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა, რომელსაც არათუ სკოლის დირექტორი, განათლების მინისტრიც ვერ გადაათქმევინებდა. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ წერდა ნიშანს და ამასთან — საბოლოოს. ამის გამოისობით იყო, ყველა რომ მოიძღურა და მტრად მოიკიდა: კოლეგებიც, მშობლებიც და შემოწმებლებიც. მე ჩემი პედაგოგიური პრინციპები მაქვსო, ასე ამბობდა და, რამდენად მართებული იყო, თავად განსაჯეთ.

მისი მეთოდი თუ პრინციპი შემ-

დეგში მდგომარეობდა: გაზაფხულზე, უმეტესად აპრილის დასაწყისში, მიწა რომ გვარიანად გალხვებოდა და გათბებოდა, — გამოცდები გეწყებათო, — გაგვაფრთხილებდა და კვირისათვის ყველას იმედის მწვერვალზე დაგვიბარებდა.

ყოველმა ჩვენგანმა მშვენივრად იცოდა, რომ შაბათ დღეს ბაზარში უნდა წავსულიყავით და რაიმე ნერგი გვეყიდა, სხვაგვარად გამოცდაზე არ დავიშვებოდით. ნერგით ხელდამშვენებული კი სამიან შეფასებას მაინც იმსახურებდა და თუ რაიმე სხვასაც მოახლაფორთებდა, ვთქვათ, ნეკერჩხლის ფოთოლს მსხლის ფოთლისაგან გაარჩევდა, მეტსაც მიიღებდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ უჯიათს არც რევიზია აკლდა, არც მკაცრი შემოწმება და რამდენჯერმე კინაღამ სკოლიდანაც დაითხოვეს.

ისე გვიყვარდა, ვგიჟდებოდით-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ პატივისცემით რომ ვექცეოდით, ამას წყალი არ გაუვა. მასთან შეხვედრისას ყოველთვის ყურებად ვიკრიჭებოდით და თავებსაც პინგვინებოვით ვაკანტურებდით. ისიც, როგორც ნათესავის ან მეზობლის ბავშვებს, ისე გვექცეოდა და გვიყურებდა.

უჯიათი ერთი ღირსეული თვისე-

ბითაც გამოირჩეოდა. ზღაპრულად მერხიერება ჰქონდა. არაჩვეულებრივად ჩვენგანის გვარი და სახელი ახსოვდა, ვის რომელი ნერგი გვქონდა თავის დროზე ჩარგული, ეგვიც ზედმიწევნით იცოდა. შემდგომაც, უფროსკლასელები რომ გავხდით, შეხვედრისას აუცილებლად შეგვახსენებდა — შენმა მსხალმა უკვე ნაყოფი მოისხა, შენსას კიდევ ჰიანჭველა დაეხვია, დროზე მიხედუ, წყალნარევი კირით ძირი შეუთეთრე, თორემ გახშებაო. მოკლედ, ჩვენს ნამოღვაწარს გვახსენებდა, მისდამი ყურადღებას გვაიძულებდა.

სკოლა რომ დაეამთავრეთ, ზოგმა ალთას გავეწიეთ და ზოგმა ბალთას.

მე ჯერ რუსეთში ვსწავლობდი, შემდეგ იქვე ვმუშაობდი, ბოლოს დავბრუნდი და თბილისში დავსახლდი. მშობლებიც იქ ვადმობარგდნენ საცხოვრებლად და ისე მოხდა, რომ ჩემი ბავშვობისა და სიტუაციის ქალაქი ერთხელაც ვერ მოვიანახულე.

წელს მერხის მეგობარმა დამირეკა და მამცნო, გამოზაფხულზე სკოლის დამთავრების ოცდახუთი წლის თავს ვიხდით და თაღარიგი დაიჭირეო. გამიხარდა, უცნაური სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს ბავშვობას უნდა დავბრუნებოდი. ბოლოს დათქმულმა დღემაც მოაწია. კვირა დღეს წამსველებმა თავი მოვიყარეთ და მექორწილეებივით მანქანების ჰყვიტინ-ჰყვიტინით ჩვენი პატარა ქალაქისაკენ გავსწიეთ.

ისეთი გამოცვლილი, გაზრდილი და დამშვენებული დაგვხვდა, რომ ძლივსლა ვიცანიო. მეგზური რომ არ გვეოლოდა, ალბათ ჩვენი სკოლის მიგნებაც კი გაგვიძნელებოდა.

სასწავლებლის კართან ის თანაკლასელები გველოდნენ, ვინც ძველბუდეს მიბრუნებოდა. შუაში ყვავილებით ხელდამშვენებული თმათური მოხუცი ედგათ. ძლივს ვიცანი ბატონი დავითი, ჩვენი ყოფილი დირექტორი.

ხვეწა-კონისა და მოკითხვის შემდეგ ბატონმა დავითმა სახე მორწმუნებით გაიმკაცრა და გვიბრძანა:

ორ რიგად მოეწყვეთ, ერთიმეორეს ხელები ჩასჭიდეთ და საკლასო ოთახისაკენ გამიძებნითო.

ჩვენც, რაღა თქმა უნდა, დავემორჩილეთ, ოთახში ავედით და მეჩხვრებს მივუსხედით.

ბატონმა დავითმა ღიმპორეული სახით ამოიკითხა ყურნალი, თითქმის ყველა გაგვიხსენა, ბოლოს ორთავე ხელისგულით მაგიდას დავეყრდნო და სათვალის ზემოდან გადმოგვხედა.

— ყველასთან მაქვს ერთი საერთო მამაშვილური სათხოვარი, — რატომღაც ხრინწარეული ხმით მოგემართა, — ვიდრე სამხიარულო სუფრას მივუსხდებოდეთ, ნუ გამაწბილებთ და იმედის მწვერვალზე ამომყევით.

იმედის მწვერვალი რომ ახსენა, იმწამსვე ყველას უჯიათი გაგვახსენდა და მოვიკითხეთ. იქ დაგვხვდებო, მოკლედ გვითხრა ყოფილმა დირექტორმა, ხელის აქნევით წამოდგომა გვიბრძანა, ოთახიდან გავიდა და ეზოში ჩაგვიძღვა.

ჰოი, საოცრება! ედემის ბალი გეგონებოდათ ჩვენი სასწავლებლის ეზო-შემოგარენი, რაგვარ ხეხილს აღარ ნახავდით იქ, რანაირ ყვავილსა თუ ბუჩქს, როგორ სვიასა და საროს. რა ფერად აღარ ყვაოდა იქაურობა, როგორი სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. ახლა, სკოლიდან იმედის მწვერვალისაკენ მიმავალი ხეივანი უნდა გენახათ, მარადმწვანე კვიპაროსებით დაბურული და დაჩრდილული. მაგრამ ყველაზე დიდი მშვენიერება მაინც იქ გველოდა, ჩვენი სიყმაწვილის მოტიტვლებულ გორაკზე, ერთ დროს ხრიოქსა და უსახურზე.

ცისარტყელას რომელ ფერად და სპექტრად აღარ ლივლივებდა იქაურობა, რა ზურმუხტად და ლაღად. ღია ვარდისფრად გადაპენტილი ნუშები, თეთრად მოქათქათე ვაშლები, ჯადოსნურ ფერიათა კაბებით შემოსილი ტყემლები და ატმები; რამდენი ისეთი უცხო და უცნაური ხეხილი, რომელთა არც სახელი ვიცოდით და არც წარმომავლობა

ფერდის ძირში მეხუთე-მეექვსეკლასელი ბავშვები დაგვხვდნენ. ყოველ მათგანს ორ-ორი ნერგი ეპყრა ხელში, იმათგან თითო ჩვენ გვიწილადეს და დინჯად, აუჩქარებლად დავიძარით იმედის მწვერვალისაკენ.

და იქ, მთლად მაღლა, სადაც ჩვენს უჯიათ მასწავლებელს ბავშვობაში დავყავდით, სადაც პირველი ნერგები ჩვენ-ჩვენი ხელით ჩაგვარგვევინა და გაგვახარებინა, სწორედ იქ — იმედის მწვერვალზე დაგვხვდა მისი სამარე, მისი სამარადჟამო განსასვენებელი: რომელიც, ქართული საფლავების გვარად, უბრალო, მაგრამ მასიური ქვით დაენიშნათ და დაემშვენებინათ. იმ მუქ ლოდზე კი ორი ნაჯაფარი, ფართოდ გაშლილი ხელისგული ამოეკვეთათ და ნებებში მოქცეულ მიწაში არაამქვეყნიური სილაპაჯის ვარდის კენტი კოკორი აღმოეცენებინათ.

ვიდექით ოცდაათი თავჩახრილი ნამოწაფარი ოთხივე მხრიდან მტირალი ტირიფებით შემოჯარულ იმედის მწვერვალზე დაკრძალული ჩვენი უჯიათი მასწავლებლის სამარესთან და ყოველ ჩვენგანს ხელში თითო, ახლადსიცოცხლეჩამდგარი ნერგი გვეპყრა, ეს უკანასკნელი და უმცირესი საჩუქარი იმ სანთელივით სპეტაკი ადამიანისათვის, რომლის სხეულშიც ერთ დროს წმინდა პოლონური სისხლი მიმოდოდა და ჭეშმარიტი ქართული სული გრილებდა.



გაქართული უკუთქარი

დიდი ილია ბრძანებდა, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცი. საბავშვო პოეტი ამ მადლთან ერთად იმის უნართაც უნდა იყოს დაჯილდოებული, რომ ადვილად იპოვოს ზავშვის გულის საიდუმლო გასაღები და მშვენიერების სამყაროში მეგზურად გაჰყვას ნორჩ მკითხველს. ეს მადლი და უნარი უხვად აქვს მონიჭებული ცნობილ საბავშვო პოეტს გივი ჭიჭინაძეს, რომელსაც ახლახანს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. მისი საბავშვო ლექსები პირველად ამ ოცდაათი წლის წინათ დაიბეჭდა ჟურნალ „დილაში“ და მას აქეთ სისტემატურად ქვეყნდება. როგორც საბავშვო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ისე ცალკე წიგნებად. თავის იუბილეს პოეტი ახლაც ხელმძღვანელებული შეეგება: „ნაკადულმა“ გამოსცა მისი საბავშვო ლექსების კრებული „წყაროსთვალი“, რომელშიაც თავმოყრილია საუკეთესო, რაც ავტორს სამი ათეული წლის განმავლობაში შეუქმნია.

გივი ჭიჭინაძის შემოქმედებიდან მეუბრველეს ყოვლისა მაგონდება მისი ლალი, მსუბუქი და საოცრად მიმზიდველი, ქლერადი სტრიქონები:

მოკაშაშე ცაო,
ზღვაო ლიცლიცაო,
დათოვლილო მთაო,
მთაო ქათქათაო,
ჭეჭილო და ტყეო,
სულ იზრიალეო,
საქართველოს მზეო,
სულ იგიზიზეო!

რა ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, ყოველგვარი პათეტიკისა და ახსნა-განმარტების გარეშე აღვივებს ეს ლექსი პატრიოტიზმის გრძნობას ნორჩი მკითხველის გულში.

მეორე ციკქნა ლექსში სამშობლოს სიყვარულის განცდას ბუნებ-



რივად ერწყმის მის გასამშვენებელად შრომის სურვილი:

ეს ნერგი და ეხეც ბარი, — ჩემი ორი მეგობარი, ერთად გვინდა ავაშენოთ ხაქართველოს მთა და ბარი.

ასე სადად, გასაგებად, გულში ჩამწვდომად ესაუბრება გივი ჭიჭინაძე ბავშვებს ისეთ რთულ და მნიშვნელოვან თემებზე, როგორცაა პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, შრომა, მშვიდობა, მეგობრობა. პოეტი ნორჩ მკითხველს აცნობს მშობლიურ ბუნებას, ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს, უნერგავს მათ სიყვარულს, ასწავლის სისუფთავეს, სიბეჯითეს, შრომისმოყვარეობას, ერთი სიტყვით, ღირსეულად ემსახურება დიდსა და საპატიო საქმეს — მომავალი თაობის აღზრდას.

გივი ჭიჭინაძის ლექსებისათვის დამახასიათებელია მსუბუქი იუმორი, სიუჟეტიანობა, იგავურობა, რაც აძლიერებს ემოციას და ძალიან მოსწონთ ნორჩ მკითხველებს. გავიხსენოთ პოეტის ცნობილი ლექსი „დათუნია ღრუნჩა“ ან თუნდაც „როგორ ასწავლა ჭიანჭველამ სამამდე თვლა ჭიანჭველაჭამიას“, „ზოგჯერ ოქროდ ფასობს ქაცვიც“ და ბევრი სხვა. მკითხველს შეეფასებებთ ერთ ლექსს, რომელსაც „სულელი ჭილყავი“ ჰქვია.

ყოველდღე ეკითხებოდა ჭილყავს პატარა ჭილყავი: — დედი, თეთრ კვარცხში რომ ვიჭექ, იქაც ჭილყავი ვიყავი? — ჭილყავი იყავ, ჭილყავი, კარგი, დამალე ხაშინლად. — დედი, ჭილყავი ვიქნები, რომ გავიზრდები, მაშინაც? დედი იფიქრა: „ეს ბრიყვი ბოლოს მომიღებს კითხვებით“, — და ასე უთხრა: — დაწყნარდი, მაშინ ბულბული იქნები.

ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან აღებული მასალა აქ პოეტს ოსტატურად აქვს გამოყენებული და ახალ ყალიბში ჩამოსხმული, რაც მას განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს.

ზოგჯერ იგავური ქვეტექსტი იმ-

დნად მნიშვნელოვანია და ნეგატიური მოვლენების მხილების ისეთი პათოსით არის გამსჭვალული, რომ ხანდაზმული მკითხველიც სიამოვნებით გაეცნობა. ასეთია თუნდაც „მელეების ზღაპარი“, სადაც მოთხრობილია, როგორ დააპატიმრეს ქურდბაცაცა მელია, მაგრამ ის „ახლა ზის და კი არ ტირის, იჭაჭება სიცილით. ამანათით ყოველ დი-

სამახსოვრებელი იყოს მთხეთის ლობაც — გასაგები.

გ. ჭიჭინაძის ერთ პატარა ლექსში სულ ორი ფრაზით გადმოცემულია მხატვარი მელიისა და ყარყატის საუბარი: — „ახლოს დამიჭექ, ყარყატო, მინდა ლამაზად დაგხატო. — ვიდრე წინ დაგისკუპდები, მანამ გაგიხმეს ყანყრატო!“ ასეთ კონტექსტში წარმოდგენილი სიტყვები



გივი ჭიჭინაძე თავის მკითხველებთან

ლით მოსდის იხვი, წიწილი. ვინ უგზავნის? განა ამის გამოცნობა ძნელია: კული — ცალკე, თათი — ცალკე, ოდელია-დელია!“

გივი ჭიჭინაძის შემოქმედებაზე საუბრის დროს შეუძლებელია საგანგებოდ არ აღინიშნოს პოეტის კიდევ ერთი შესაშური ღირსება, — ესაა ენის ღრმა ცოდნა და მისი ნიუანსების მოხდენილად გამოყენება. განსაკუთრებით დასაფასებელი და მნიშვნელოვანია ეს ღირსება საბავშვო მწერლობაში, რადგან მწერალი ენის მასწავლებელიც არის, რომელიც ვერც ღარიბი და უსახური ენით გაიკვლევს გზას ბავშვის გულისკენ და ვერც მაღალფარდოვანი სტილით მოხიბლავს მას. ბევრ სიტყვას მოზარდი სწორედ მხატვრული ლიტერატურის გზით ეცნობა და ითვისებს. ამიტომ აუცილებელია, მწერალი მას ისეთ კონტექსტში ხმარობდეს, რომ სიტყვა ადვილი და

„ყარყატი“ და „ყანყრატო“ უთუოდ იოლად დაამახსოვრდება ბავშვს. ზოგჯერ პოეტი ლექსადვე იძლევა სიტყვის განმარტებას: „ეჰ, ეგ რაღა ფოთოლია, გამხმარა და ნეშო ჰქვია“. ზოგ ლექსში საგნის დახასიათება და მისი აღმნიშვნელი სიტყვის გაცნობა თამაშის, გამოცანისა თუ გასართობის სახით არის წარმოდგენილი („თქვი, რა ჰქვია?“ „ტყუილი თუ მართალი“, „გამოცანები ანბანით“ და სხვ.).

საჭიროების შემთხვევაში გივი ჭიჭინაძე არც ახალი სიტყვების შეთხზვას ერიდება, მაგრამ ეს სიტყვები აზრობრივად ისე ნათელია და ფორმით მოხდენილი, ისე ჰგავს ენაში უკვე არსებულ მრავალ სხვა სიტყვას, რომ მათი სიახლე ძნელი შესამჩნევია. „ჩემზე აბა ვინ იტყვის, უსუფთაო არისო. ქაფი-ქუფი, საბონო, ჯაგრი-ჯუგრი, ჯაგრისო!“ — პატარა პერსონაჟის პირით გვეუბნე-



ბა პოეტი და ათასი სხვა კომპოზიციის ანალოგიით შექმნილი ეს „ქაფი-ქუფი“ და „ჯაგრი-ჯუგრი“ ლექსში მოხდენილად არის ჩართული და ემოციას აძლიერებს. პინგვინებს „ჭგონიათ, რომ ამ ქვეყნად მხოლოდ პინგვინეთია“. აქაც უამრავი ქარ-

თული გეოგრაფიული სახელის ანალოგიით წარმოქმნილი „პინგვინეთი“ ძალზე ხატოვანი და შთაბეჭედავი სიტყვაა. ასეთი მაგალითები გ. ჭიჭინაძის პოეზიაში იშვიათი როლია.

გ. ჭიჭინაძე ნიჭიერი მსახიობიც არ-

ის და რუსთაველის თეატრის სცენაზე თუ კინოეკრანზე არაერთჯერ დასრულებული აქვს წარმატებით განსახილველი. დარწმუნებული ვართ, ის მომავალშიც ხშირად გაახარებს თავის მკითხველებსა და მსმენელებს.

ზურაბ ჭუმბურიძე

ტაშფანდურა

დღეს შრომაში ვშველით პაპას, დავტრიალებთ ბოსტანს, ვენახს. სად გვეცალია, აბა, მუდამ სათამაშოდ, მოსალხენად. ყველაფერს რომ თავის დრო აქვს, როდი ფიქრობს ამას ზურა. — ტაში, ბიჭო! ჰერი, ბიჭო! — ხტის და მღერის ტაშფანდურა. ტაშფანდურაც ამას წინათ ჩვენ შევარქვით მეტსახელად. რის ზურაბი, რა ზურაბი, ტაშფანდურად იცნობს ყველა. ხან ღობეზე შემოჯდება და სიცილით იქნევს ფეხებს: მშრომელებო, დაიდალეთ? ხა-ხა! ხა-ხა! ხე-ხე! ხე-ხე!

ხან კი ჩვენთვის ხის ჩეროში საგანგებოდ მართავს კონცერტს. უჰ, ისეთი კომიკია, რომ უცქიროთ, გაგაოცებთ. სადაც კია ტაშფანდურა, დარდი ყველგან გაფანტულა. — გაგვაცინე! — ყელს უწევენ გოგონები თვალხატულა. ისიც წამსვე, ჰერი ბიჭო! — საცეკვაოდ გაშლის მკლავებს. ჩვენ უცრადა, — ფხუა! — წავგსკდება, სიცილ-ხარხარს ვერ ვიკავებთ. სწორედ ეს სურს ტაშფანდურას, ამას ელის ტაშფანდურა: ხა-ხა! ხა-ხა! ხე-ხე! ხე-ხე! სხვა რა უნდ საფასურად.

პაპამ გვითხრა: — თქვენს გამოა, რომ არ ვარგა ბიჭი ბიჭად. წარამარა რას უცინით, ხედავთ, როგორ გაიყინა! ამისთანა ტინგიცობით მოეწონვარო, ფიქრობს თქვენზე. ოღონდ საქმე არ აკეთოს, ათას რამეს იმიზეზებს. ეს სენია სიზარმაცის, მომისმინეთ, კი არ ვხუმრობ: დაეხმარეთ მეგობრები, დროულად რომ განიკურნოს, შრომისათვის წააქეზეთ, გადახვიეთ ხელი ძმურად, თორემ გვიან, სიბერეშიც, ვერ მოიშლის ტაშფანდურას.

გვა და მთვარე

ყანა-ყანა, ღობე-ღობე, რა ხანია თამაშობენ მზე და მთვარე — დღე და ღამე თვალსუჭობანას. ხან მზე მთვარეს,

ხან მთვარე მზეს უთვალთვალებს, დასდევს, ეძებს, ეძებს, ეძებს, მაგრამ მაინც ვერ პოულობს, ვერა. — მზეო, სად ხარ,

თეთრო ქალო? — ჭიტა, მთვარევ! აქა ვარო! — მოუხმობენ და ერთმანეთს იპოვნიან, სჯერათ. ყანა-ყანა,

ღობე-ღობე, დღემდე ასე თამაშობენ მზე და მთვარე — დღე და ღამე თვალსუჭობანას. **გივი ჭიჭინაძე**

გ ჯუნბა

იდი ყოყმანისა და ევა ბაბოს ჩიჩინის შემდეგ ჯუნბამ ძლივს გადაწყვიტა სკოლაში დაბრუნება. ომი ახალი დაწყებული იყო და სულაც არ ეპიტნავებოდა სკოლაში სიარული.

დედა შარშან გარდაეცვალა, რაღაც უეცარმა ავადმყოფობამ ერთ კვირაში მოუღო ბოლო. მისი ადგილი ევა ბაბომ დაიჭირა, მაგრამ ჯუნბას სულ თვალწინ ედგა დედის ალერსიანი, მუდართი სახვე თვალები.

დედის სიკვდილმა დიდად იმოქმედა სწავლაზე. ბიჭი ჯერ ოთხიანეზე ჩამოვიდა, შემდეგ სამიანეზე და ბოლოს სულაც შეწყვიტა სკოლაში

ქ ლ ე ქ ს ა ნ ლ რ ე
ქ ლ ე რ დ ა მ ე მ ი ლ ი
მხატვარი
ირა რაზმაძე
მ ო თ ხ რ ო ბ ა

სიარული. ადგნენ და იმავე კლასში დატოვეს.

ომმა სულ თავდაყირა დააყენა ჯუნბას ცხოვრება. სამშობლოს დასაცავად წავიდნენ მამა და უფროსი ძმა, მეზობლები. სოფელი მამაკაცთაგან დაცარიელდა. მინდორი და ყანა მოხუცების, ქალების, ბავშვე-

ბისა და თითო-ოროლა ხეიბრის ანაბარა დარჩა.

არც აპირებდა სკოლაში დაბრუნებას, ღორის ფერმაში მუშაობის დაწყება ჰქონდა გადაწყვეტილი. მხოლოდ მარგალიტა მასწავლებელმა და ევა ბაბოს მუდარამ გადააფიქრებინა ღორში წასვლა.

უხალისოდ წავიდა სკოლაში, უწიგნოდ და ურვეულოდ. მეხუთე კლასში დარჩენილს ეთაკილებოდა ერთი წლით უმცროსებთან სწავლა. სულ ბოლო მერსზე დაჯდა დარცხვინით, არავის დალაპარაკებია, იჯდა თავისთვის, ხანდახან ცნობისმოყვარე გოგონები თუ გააპარებდნენ



ინგლისელი ოკუპანტები და მათი დამკვეთი ესერები. წითელლამპასე-ბიან გალიფეში გამოწყობილი მრის-ხანე ინგლისელი ოფიცერი განკარგულებას იძლევა და ტყვიით მოცელები კომისრები სისხლში ცურავენ, ზოგი ჯერ კიდევ ფეხზე დგას და წყევლა-კრულვას უთვლის ჯალათებს, ერთი კი ხელების ქნვეით მრისხანედ ყვირის: „ძირს მტარვალეები, გაუმარჯოს საბჭოთა ხელი-სუფლებას!“

დე ვერ ავიღეთ პერეკოპზე მო-თხება ყმაწვილი ჭატარა... ამხანაგმა ზალკამ თავი ოდნავ მო-აბრუნა, პატარა ამხანაგს შეხედა და დარიგებით უპასუხა:

მზერას უკანა მერხისაკენ.

პირველი გაკვეთილი მეტად გრძელი ეჩვენა. ზარის შემდეგ მარტოდ-მარტო გავიდა ეზოში, არავის გამო-ლაპარაკებია. დიდ შესვენებაზე სკოლის მესობლად მდებარე სასოფლო ბიბლიოთეკის დერეფანში შევიდა ფეხაკრეფით და ნახევრად ღია კარი-დან შეიხედა.

— ...რაც ეს შეჩვენებული ვრანგე-ლი ჩაჯდა ყირიმში, სულ რკინა-ბე-ტონით ამოაშენა ეს გადათხრილ-ყელი. მოდი და აიდე. მაგრამ ავი-ლებთ, ოქტომბრის რევოლუციის მე-სამე წლისთავი პერეკოპზე უნდა ვი-დღესასწაულოთ...“

...თვალმოუცილებლად შეჰყურებს ჯუნგა სურათს, ძმის მონაყოლი აგონდება და სიძულვილით იმსჯე-ლება მტარვალეების მიმართ...

— კარგი, ბიჭო, დაიძინე, ისევ კითხულობ? ნეტა ეგეთი რა არი, რომ ძილი აღარ გაგონდება? სადა-ცაა გათენდება, მამლებმა მესამედ იყივლეს, — ემუდარება ევა ბაბო ჯუნგას.

ძლივს გაიყვანა ის დღე ჯუნგამ. გაკვეთილების დამთავრების შემ-დეგ თავის უბნელ მიტო თევდორა-შვილს დაემგზავრა.

— ჯუნგა, გეყოფა სურათის თვა-ლიერება, — ჩაესმა ნუკრიას სიტყ-ვები. — ისეთი წიგნი უნდა მოგცე წასაკითხად, თვალი ვერ მოაშორო.

ჯუნგას კი არ ესმის ევა ბაბოს შე-გონება, ისევ წიგნს ჩასცქერის.

„— მოვედით მთავარსარდლის სა-დგომთან. აქ შტაბია, — თქვა ზალ-კამ. — მომიცადე, მე ბრძანებას გა-მოვიტან. აბა, ჩამოვხტეთ.“

— მოდი, კაკლობანა ვითამაშოთ აჩაქუნებანთ ვენახში, — შესთავაზა მი-ტომ.

ჯუნგა ბოლო გაკვეთილს აღარ დაესწრო, ბიბლიოთეკიდან პირდა-პირ სახლში წავიდა.

პატარა მხედარი ჩიტვიით ჩამო-ფრინდა ცხენიდან.

ჯუნგაც დაეთანხმა. მერე მიტომ შინ შეიპატიჟა და კამეჩის მაწვნით გაუმასპინძლდა. ერთხანს ჩილიკო-ბაც ითამაშეს.

ევა ბაბო შინ არ დახვდა. მჭადის ნატეხი და გამხმარი ყველის ნატე-რი სასწრაფოდ გადაყლაპა და წიგ-ნი გადაშალა.

— სსს... იცი, ამ სახლში ვინა დგას?

მოელ კვირას უხალისოდ იარა ჯუნგამ სკოლაში, მხოლოდ მარგა-ლიტა მასწავლებელს უსმენდა ყუ-რადლებით ისტორიის გაკვეთილზე.

„...სალამოს ბინდში ორი მხედარი მიაქროლებს ცხენებს. ერთი ჭარ-მაგია, ძველი რევოლუციონერი. მას ბევრი ბრძოლა გადახდომია თავს, უბედურებას, ტყვიისა და ომის გრი-ალს შესჩვევია, არხეინად ზის ცხენ-ზე და უშიშრად მიაქროლებს. მე-ორე მხედარი პატარაა, სულ რაღაც თორმეტი წლისა. მამაცურად ზის ცხენზე, შიში არ ემჩნევა, გული არ ეკუმშება განუწყვეტელი სროლისა-გან...“

— ვინა?

— ფრუნზე...“

დიდ შესვენებაზე სულ ბიბლიო-თეკის კარებს უტრიალებდა და კა-რის ღრიჭოდან ათვალეირებდა კე-დელზე გაკრულ სურათს. ერთხელაც, მოულოდნელად წამოადგა თავს ბიბ-ლიოთეკარი, ზემოუბნელი ნუკრია, და დამფრთხალ ბავშვს მიუაღერსა:

„ნეტავ, მეც მწვეოდა ასეთი ბედ-ნიერება“, — ფიქრობს ჯუნგა.

ჯუნგას თვალწინ ცოცხლდებიან რევოლუციის ლეგენდარული გმი-რები — ჩაპაევი, ფრუნზე, კიკვიძე, ოლეკო დუნდღი... რამდენი რამ უამბო დათომ ჯარში წასვლამდე... მათ გვერდით ხედავს ცხენზე ამხედ-რებულ თავის კბილა პატარა მხე-დარს და თვითონაც იქით, ფრონტზე მყოფი მამის მხარდამხარ ვერაგი ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლ-ველად მიუწევს გული. თვითონაც ხომ თორმეტი წლისაა ამ პატარა მხედარივით... მერე აღგზნებული თვალებით ისევ წიგნს ჩაჰყურებს.

„— წავიდეთ, — მოესმა ზალკას ჩუმი ხმა.“

— მოდი, ჯუნგა, რისი გერიდება, შემოდი შიგნით, სურათიც ნახე და კარგ წიგნსაც აგირჩევ წასაკითხად.

ძლივს მოაშორა პატარა მხედარი მოჯადოებულ ფანჯარას“.

ჯუნგა ოთახში შეჰყვია ნუკრიას და თვალეები გაუფართოვდა სიხარულით, ხარბად დააცქერდა იდუმალებით მო-ცულ სურათს.

ჯუნგა ხედავს, როგორ მიჰქრიან ცხენები, ცხადად ესმის, როგორ ზუ-ზუნებენ ტყვიები, გრიალებენ ქვემე-ხები, ჰაერში ყუმბარები ღმუიან და თითქოს კვნესის ფუგასებისაგან დაგ-ლეჯილი მიწა.

„— ამხანაგო ზალკა, რატომ აქამ-

ჯუნგა უსმენს ზალკას და პატარა მხედრის საუბარს სივარდის გადალან-ვის თაობაზე.

...იმერკასპიის აღჩა-კუიმის უდა-ბნოში სასიკვდილოდ განწირულ 26 ბაქოელ კომისარს ტყვიას ესვრიან

„— წუნელის ფრუნზესთან მოხუ-ცი მეთევზე მოვიდა...“

— მერე?

— მერედა, თუ ქარმა სივარდის წყა-ლი გარეკაო, ზღვას ფსკერი გაუშიშ-ვლდება და ფეხით გავალთო. რაუ-დემიცის დივიზია გავა და ზურგიდან დაარტყამს მტერს. ჩვენი ნაწილიც პირველი შევა სივარდში...“

ჯუნგას ტანში გაბურძენა, — ხე-
დავთ, ჩვენ წავალთ პირველნი!

„ჩამოწვა ღამე, ძლიერი ქარი მი-
აწვა სივამს და გარეკა ზღვაში, გა-
მოჩნდა ზღვის თეთრი ფსკერი.

— წინ! — მოისმა ბრძანება და
რაუდემიცის დივიზია ზღვის ფსკერ-
ზე ჩავიდა.

მიდის დივიზია... სუნთქვაშეკრუ-
ლი:

„ვინ იცის, ეგებ დაბრუნდეს ზღვა?“
მაგრამ ზღვის ფსკერმა აიტანა
დივიზიის სიმძიმე და პირველი ბა-
ტალიონები უკვე ავიდნენ მეორე
ნაპირზე.

ჯუნგას გული დაუმძიმდა: დახეთ
უბედურებას — მტრის პროექტო-
რებმა თეთრი შუქი სივამისაკენ შე-
მოანათეს და წამოვიდა ტყვიის წვი-
მა.

„ნეტავ გამოჩნდეს პატარა მხედა-
რი, ნეტავ“... — და მუშტებს კუმშავს
ჯუნგა. აგერ, გამოჩნდა კიდეც... მიპ-
ქრის პატარა მხედარიც თავისი ვას-
კათი. აჰა, სადაცაა ავარდება კიდეც
კაჟიან ნაპირზე წინ გაწვდილი შამ-
ხანით ცხენზე გაწოლილი პატარა
მხედარი...

— ვაშა! — გაისმა პერეკოპის
მხრიდან და ტყვიამაც იწივლა.

— ვაი! — აღმოხდა პატარა მხე-
დარს და მკერდზე იტაცა ხელი.

გული ეწურება ჯუნგას, ცრემლიც

მოადგა თვალზე. პატარა მხედარი
უნავირზე გადმოეკიდა და ძირს ჩა-
მოვარდა. ზღვის მარილიანმა ფსკერ-
მა გულში ჩაიკრა პატარა მხედარი
თავის შამხანთან და აკვანივით და-
უწყო რწევა.

— ვაშაა!.. — მოისმა პერეკოპიდან.
— გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფ-
ლებას!

„ჩვენების ხმა, — გაუელვა პატა-
რას. — მაშ, გავიმარჯვებ? ოჰ, ნე-
ტავ შემეძლოს ადგომა, ვნახავდი
ფრუნზეს... მერე დედას ვეტყოდი,
ფრუნზე ვნახე-მეთქი“...

ცრემლებმა ჩამოხანა ლოყები
ჯუნგას. ტირის, მხრები უცხსცხსებს.
ერთხელ კიდეც გადაავლო თვალი
პატარა მხედრის მოკუნტულ სხე-
ულს, შამხანა რომ ჩაებლუჯა ვა-
თოშილ ხელებში.

მერე კი მარილიანმა მიწამ ჩაი-
ხუტა მხედარი და პირი მოკუმა.

პერეკოპზე იდგა წითელი დილა...
ჯუნგამ ფანჯარას შეხედა, აღმო-
საველეთი მართლაც გაწითლებულიყო
და აისს ეთამაშებოდა შემოდგომის
მზის სხივები.

იცრემლებოდა ღამენატეხი ჯუნგა.
იცრემლებოდა შემოდგომის დილაც.
ღამეა სულს ღაფავდა.

ჯუნგას წინ მაგიდაზე იდო ცრემ-
ლით დასველებული როდიონ ქორ-
ქიას „მარილის აკვანი“.



ეს ქვეყანა უნია!

პიონერებს, ყელსახვევის
წითელ-წითელფრთიანებს,
ვარსკვლავიან ქუდებიანს
და თეთრწინსაფრთიანებს,
ქორები რომ გიბიზინებთ,
ბაფთები გიფრიალებთ,
მთიბავს, მკრუფავს,
მთონხელს, მჭედელს,
ყველას, ყველა პიონერს,
ყველას ვხედავთ, როგორ უვლით
ვარდებსა და პიონებს;
მოხუცების მეგობრებს და
წითელ კვალმამიებლებს —
ყველგან ვხედავთ, თქვენი ხმები
კიდით-კიდე წკრიალებს.
სადაც მივა პიონერი,
იქ ალაში ფრიალებს,
პიონერის დარგული ხე —
დიდი ჩრდილით შრიალებს,
და კოცონიც პიონერის
დიდი ალით ბრიალებს.
პიონერი მწყემსავს, უვლის
ნანგრევს კოშკის, ტაძრისას,
პიონერი დღეში ფარავს
ცხრა დღის სავალ მანძილსაც!
ლეგენდა თუ ზღაპარ-მითი,
ბზა თუ ლერწმის ღერია,
განძია თუ სარკოფაგი,
ცოტაა თუ ბევრია,
არ დარჩება უპოვნელი
წითელ პიონერიას!
ოქტომბრელთაც წინამძღოლობს.
მუდამ გონიერია;
პიონერი კომკავშირის





დაო“, ვიტყვით, და მარცხს იმათ ვაბრალებდით. გალავნის სიდიადეს ბავშვების

მხარის დამამშვენია!
პიონერო,
მოუარე,
ეს ქვეყანა შენია!

ჩაი ჩაის შვილი აჭარის

(მოწაფეობისა შვიდმწკრივიანი ჩაის
ნაკვეთი მქონდა გაპიროვნებული).

ექვსი გაკვეთილის შემდეგ,
კვლავ მზიანი, კვლავ კეთილი
ჩემს ნაკვეთში მეწყებოდა
კვლავ მომდევნო გაკვეთილი!

შრომის გაკვეთილი იყო
ჩაის ბარვა, გასხვლა, მარგვლა,
სარეველას მოცილება,
მეჩხერებზე ახლის დარგვა...

მწკრივის თავთან ის ფირფიტაც
მწყემსდა ბუჩქებს თვალკეთილად...
და ამბობდა ის წარწერა:
„მე მოსწავლის ნაკვეთი ვარ!“..

ხუთიანზე ვკრეფდი ჩაის,
დღეში ათჯერ ვცლიდი გოდორს
და უქუდოდ გადარუჯულს
მეძახოდნენ „ციგნის გოგოს!“

ცალკე „დედაენა“ მწვრთნიდა,
ჩაის ბუჩქი მწვრთნიდა ცალკე,
სულის ბერვით ვიშუშებდი
ნეკა თითზე ფუტკრის ნაკბენს!

მახსოვს,
დაუყოვნებია
ბევრჯერ ცხელ მზეს წასვლა ციდან,
რადგან ფრონტელ მამის ხელებს
ციცქნა გოგოს ხელი ცვლიდა.

წვიმა იყო თუ ქარ-სიცხე,
მუჭით ვყრიდი სასუქს ხნულში;
ისე მახსოვს ყოველივე,
თითქოს იყო მართლაც გუშინ...

მოვედი და ჩემს ნაკვეთში
ფოთლის კრეფა ისევ ვსინჯე,
ჩაის ბუჩქთა შვიდმა მწკრივმა
ამამაღლა ცისკენ შვიდჯერ!..

მოველ,
ისევ მიქებს თითებს,
მწვანე ოქროს რომ ჰკრეფს
სწრაფად, —
მწვანე ჩაის შვიდი მწკრივი
თავის ყოფილ ნამოწაფარს!

მართვე

უბრალოდ

ტყუარს

ნაზო ანდრონიკაშვილი

ნახაბაზი აპორონისა
მ. ო. თ. ხ. ო. ბ. ა.

თელავის ერთ-ერთ მაღლობზე
აგებულ გორიჯვრის ეკლესიის მწვა-
ნით აბიბინებულ, ცაცხვებით დაჩრ-
დილულ და აწ ნანგრევებად ქცეულ
შენობებს შემორტყმული აქვს ძველ-
თაძველი ბურჯებიანი გალავანი. ალ-
ბათ ამ გალავნის სიძველის გამო,
თელავის ამ უბანს ძველგალავნის
უბანს უწოდებენ.

გალავანი ჩრდილოეთით გადაჰყუ-
რებს ლაყვარდისფერ უსასრულო-
ბაში აღმართულ კავკასიონს და მის
ქვემოთ გაშლილ ალაზნის ველს,
დანარჩენი სამი მხრით კი — ცივ-
გომბორის მთის კალთებზე გაშენე-
ბულ ქალაქს. გალავნის ამ სამ მხა-
რეს მერცხლის ბუდეებით მიკრუ-
ლი და მის ჩრდილს შეფარებული
ძველებური აივნიანი სახლები თავს
მყუდროდ და მშვიდად გრძნობენ.

ჩრდილოეთის კედელში დატანებუ-
ლი დაბალი და ვიწრო კარიდან ქვე-
ვითკენ, ლოდებითა და შამბნარით
მოფენილ ციცაბო დღმართზე, სა-
ცალფეხო გზა მიიკლაკნება. დაღ-
მართის ბოლოს ხილის ბაღებში ჩა-
ფლული მჭიდროდ დასახლებული
უბნებია.

გალავნის თავსა და კედლებზე
აუარებელი ყვავილი ჰყვავის. ყველა-
ზე მეტად შაშვისპირები ღაღანებენ
— წითელი, ყვითელი, თეთრი, შინ-
დისფერი. გალავნის კედლებში ოფო-
ფებიც ბუდობენ. მახსოვს, ბავშვო-
ბაში ვცდილობდით, დილით ამ ოფო-
ფების ძახილს ხელპირდაბანილები
და თმადავარცხნილები შეგხვედრო-
დით. ვინიცობაა, ისინი დაგვასწრე-
ბდნენ და „ოფ-ოფ, ოფ-ოფო“, შე-
მოგვძახებდნენ, „ოფოფმა დაგვცა-

თვალში უფრო აძლიერებდა უფრო-
სებისაგან განავონი: თურმე ძველად,
ლეკიანობის დროს, მოსახლეობა ამ
ციხე-გალავანს აფარებდა თავს, სა-
თარეშოდ ჩამოსული ლეკები გალა-
ვანს გარეთ დარჩენილებს არავის
ინდობდნენ — არც ბავშვს, არც
ქალს, და თან მიჰყავდათ ტყვეებად.

ჩვენს მეზობლად ერთი ოჯახი
ცხოვრობდა, გვარად ლეკიშვილები
იყვნენ. ბავშვები ამ გვარის გამო,
ცოტა არ იყოს, უნდოდ ვუყურებ-
დით მათ.

— ეს ჩვენი მეზობელი ლეკიშვი-
ლები ნამდვილი ქართველები არი-
ან და ამ უბნის უძველესი მკვიდრ-
ნი. გამიგონია, ამათი წინაპართავა-
ნი პატარა ბიჭობაში ლეკებს გაუტა-
ციათო, — გაგვიქარწყლა ერთხელ
ბებიამ ეს უნდობლობა და გვიამ-
ბო პატარა ბიჭის თავგადასავალი,
რომლის გამო ლეკიშვილებს ეს გვა-
რი ვაპგვარებოდათ.

ზეავივით მოვარდნილი ლეკები
თელავის ვიწრო, მიხვეულ-მოხვე-
ულ ქუჩებში გაიშალნენ. ის იყო
ძველგალავნის უბნის მოსახლეობა
გორიჯვრის ციხე-გალავანს შეეფარა,
რომ აქეთაც გაისმა ლეკების შეძა-
ხილები და მათი ცხენების ფლოქე-
თა თქარათქური.

— ვაი ჩემს თავს! — შემოიკრა
თავში ხელი მართამ. წყაროზე წა-
მოსულს უფროსი შვილი, 7-8 წლის
თალიკო კი თან წამოეყვანა, მაგრამ
უმცროსი — პატარა ზაქრო — მძი-
ნარე შინ დაეტოვებინა. მართამ
წყლის ტურტელი წყაროზე დაყარა,
გოგონას ხელი წაავლო და აღმართი

აირბინა. აღმართის თავში ლეკი გადაეღობათ. ლეკს კი გაეჭენენ, მაგრამ შინისკენ ვეღარ გააღწიეს და უკან, ისევ თავკევე დაეშვნენ, ხევში ჩაირბინეს, წყალში გავიდნენ და წივილ-კივილით ხევგალმა დაბალხანას ეცნენ.

როგორც კი თელავში ლეკები გამოჩნდებოდნენ, სამუშაოდ გასული მოქალაქენი კეტავდნენ დუქნებს და მიიჩქაროდნენ ცოლ-შვილის დასაცავად. ამიტომ მართას დაბალხანაში კაციშვილი არ დახვედრია. ეტყობა, დაბაღებსაც მიეტოვებინათ მუშაობა და ოჯახისა და სახლ-კარის დასაცავად წასულიყვნენ.

ფეხდაფეხ მიჰყვა ლეკი მართასა და თალიკოს, მაგრამ ამაოდ. დედაშვილმა დაბალხანის უკანა კარიდან გააღწია, შორი გზა მოიარა და, როგორც იქნა, თავის სახლს მიადგა.

— ზაქრო, შვილო, ზაქრო! — იძახდა მართა, გაძარცვულ სახლ-კარში დარბოდა, კუთხე-კუთხუღს ათვალიერებდა, მაგრამ ზაქრო არსადა ჩანდა. მხოლოდ გასისხლიანებული, ფე-

ხათრეული ძალი მიეგება კოჭლობითა და ლასლასით, მართას ახლოს დაეგდო და ცრემლიანი თვალებით შეაჩერდა. თითქოს დამნაშავედ გრძნობს თავს და პატიებას სთხოვს — ბავშვი და კერა ვერ დავიცავიო.



აულში: დაბრუნებულმა ლეკმა უგონო პაწია ბიჭი ბალიშებზე დააწვინა, ფაფახი მოიძრო და აკეცილი ნაწნავები ჩამოეშალა...

ქალი ყოფილიყო... ფატიმათი ერქვა...

ფატიმათი, ქმრის ტანსაცმელგადაცმული, „გიაურებთან“ ბრძოლაში დაღუპული შვილის ჯავრის ამოსაყრელად აედევნა სათარეშოდ მიმავალ ლეკებს. და აი, ახლა ბიჭი ჰყავს სახლში, გიაურის შვილი. უკეთესი ნადავლი არც უნდოდა. ბოროტი ფიქრი უტრიალებს ფატიმათს თავში: მოვლას არ მოაკლებს პატარა ტყვეს და გიაურების მტრად დარისხვად გაზრდის.

ერთ დღით სარკმელთან იდგა ფატიმათი. იდგა ოქროსფერ შუქში გახვეული და მოხიბლული გასცქეროდა მხარმხარს ჩამდგარ მთებს. ლამაზი იყო მზის სხივებით ააღმასებული თოვლიან-ყინულიანი მწვერვალები. მაგრამ სილამაზემ თვალი მოსტაცა მხოლოდ, გული კი ვერ გაუთბო. მთებისაგან თვალმოუშორებლად ჩამოიშალა თმები და ზედ უგულოდ ჩამოისვა სავარცხელი.

მზიანმა დილამ თითქოს ავადმყოფზე დაც იმოქმედა. დღეს პირველად მოვიდა ცნობიერებაზე. გაახილა თვალი, შეხედა თმაგაშლილ ქალს. მას ხომ ხშირად ენახა დედა ასე, ფანჯრისკენ მიბრუნებული, თმებგაშლილი, სავარცხ-

ლით ხელში...

— დედა! — დაუძახა ფატიმათს სავარცხელი შეეყინა ხელში, სწრაფად მობრუნდა და ბავშვს შემფოთებული შეაჩერდა. ზაქრომ დედის ღიმილიანი სახის ნაცვლად უცხო ქალი რომ დაინახა, მისკენ გაწვდილი გამხდარი მკლავები ჩამოუცვივდა, ბალიშში ჩაემხო და გულსაკლავად ატირდა. შეებრალა ფატიმათს ბიჭი. საწოლზე ჩამოუჯდა, გულში ჩაიკრა და ტბილი ხმით მოეფერა. ზაქრო ნელ-ნელა დამშვიდდა და ლეკის ქალის მკერდზე მინდობილ-მიხუტებულს ჩაედინა.


— ნეტავ არ წამომეყვანა, — გაიფიქრა ფატიმათმა, მაგრამ მალე უკუაგდო ეს ფიქრი. ახლა, ბავშვის სითბონაგრძობი, მისთვის გატეხილი უძილო ღამეების შემდეგ, ადვილად ვერავის დაუთმობდა მას. მისი იყო ეს ბიჭი, მისი დაღუპული შვილის მაგიერი...

გადიოდა დრო. ზაქრო თანდათან ეჩვეოდა ფატიმათსაც და ხრიოკ აულში ცხოვრებასაც. ფატიმათი დედური სითბოთი უვლიდა და უფრთხილდებოდა ზაქროს. ბავშვობაში თუ სხვა ბავშვივით პერანგისამარას დაარბენინებდა, მოიზარდა თუ არა, ჩოხა-ახალუხით, ჭრელი პაჭიჭებით დაამშვენა, თავიც ადრინანდ გადაპარსა, ბატკნის თეთრი ფაფახი დაახურა და ვერცხლის ხანჯალიც აჩუქა.

აულში ხშირად იმართებოდა მოზარდების შეჯიბრება ჭიდაობაში, ჯირითში. ღონიერი და მოქნილი ჭაბუკი დადგა ზაქრო და ამ შეჯიბრებებში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ამიტომ მის უბნელ ბიჭებს უყვარდათ და ამაყობდნენ ყოჩალი ჯიგით.

მეორე უბნის ფალავანი ხანფიც ზაქროს ტოლ-სწორი იყო. მისთვის ზაქროს გამარჯვებებს გულში მტრობა და შური გაეჩინა და დროს ეძებდა ამ მტრობის ამოსანთხევად.

ერთხელ ის იყო, სიხარულის ყიყინა დასცეს ზაქროს გამარჯვებით გახარებულმა მისმა უბნელებმა, რომ დამარცხებით გაცეცხლებულმა ხა-



ნეფმა ბოროტად შეხედა მოწინააღმდეგეს და მის ამხანაგებს შეუღრობა:

— ვიაჟურის გამარჯვება გახარებთ?

— შენ თვითონა ხარ ვიაჟური! — იწყინა ზაქრომ.

— ფატიმათი გგონია დედაშენი? სამადლოდ გზრდის!

ზაქროს მუშტმა ხანეფი მიწაზე გააგორა. გაიმართა ჩხუბი. მაგრამ უფროსები ჩაერივნენ და ცხვირპირ ჩამტვრეულები გააშველეს.

ხანეფი განზე ვადგა, მაჯით ცხვირიდან დადენილი სისხლი მოიწმინდა და ბოლმა ბოლომდე ამოანთხია:

— არა გჯერა? მთელმა აულმა იცის, რომ გურჯის შვილი ხარ, რომ აი, იქიდან ხარ მოთრეული, — და ხელით შორს, მთების იქით ჰორიზონტი მოხაზა.

ზაქრო დაიბნა. ამხანაგებს შეხედა. ისინი, თავჩაქინდრულნი, თვალს ვერ უსწორებდნენ.

ზაქრო შინ გაიქცა.

ფატიმათი ღიმილით შეხვდა ტანსაცმელშემოხეულ ზაქროს.

— ნამდვილი ავარიელი ხარ! იჩხუბე? შე ჩხუბისთავო, შენა, მოდი, ხელპირი დაგაბანინო.

ფატიმათმა წყლით სავსე ტოლჩას წამოაგლო ხელი.

— მე შენი შვილი არა ვარ? — ჰკითხა ზაქრომ და ფატიმათს პირდაპირ თვალეში შეხედა.

ფატიმათს ტოლჩა ხელიდან გაუვარდა...

— რას ამბობ? ვინ გითხრა? აღარ გაიმეორო ეგ სისულელე, — გაღიმებას შეეცადა დაბნეული.

ზაქროს მეტი არ უნდოდა. გამოვიდა სახლიდან, რამდენიმე უბანი გადასჭრა და აულს გასცდა. აულს ზევით, მთის წვერზე, ძველთაძველი დანგრეული ეკლესია იდგა. ზაქროს გაგონილი ჰქონდა, რომ ეს იყო გურჯების სამლოცველო. ბავშვებთან ერთად ხშირად ამოსულა აქ. ახლაც გულმა აქეთ გამოუწია და მის ჩრდილს შეეფარა.

პატარა ეკლესია იყო, დიდრონი ქვებით ნაშენი, უამთა სიმრავლით და დროის სიღუბლით გუმბათიან-

გრეული, ხავსმოდებული და კედლებდახეთქილ-დაზარალებული. აქა-იქ კიდევ შეიმჩნეოდა ქვაზე ამოკვეთილი ჩუქურთმები.

ზაქრომ ფაფახი დინჯად მოიხადა. დიდხანს იდგა დაფიქრებული, ნავლწაყრილი მოგონებები მოსჯაროდნენ და ცდილობდა მათ გახსენებას.

გაიხსენა ის, ბავშვობისდროინდელი კომპარული სიზმარი რომ ეგონა, — ვიღაცას უხეში ხელებით მაგრად რომ ჩაებლუჯა და ცხენით სადღაც, უგზო-უკვლოდ, ტყე-ღრეში დიდხანს მიაქროლებდა.

ან, ერთხელ, ფატიმათის და მისი ძმის ლაპარაკს რომ შეესწრო.

— კარგი, თუ გაცვლა არ გინდა, გამოსასყიდი მაინც მოვიტხოვოთ, — ეუბნებოდა ძმა დას.

— დამეხსენით, ჩემია, არ მოგცემთ, — ოხრავდა ფატიმათი.

მერე, ძმა რომ წავიდა, ფატიმათმა გულში ჩაიკრა ბიჭი.

— ხომ გიყვარს დედაშენი, ჩემო ჯივიტო, ჩემო ყოჩაღო ბიჭო? — ეკითხებოდა აღელვებული, და ისიც მთელი ბავშვური გულწრფელობით ეფიცებოდა, მიყვარხარო...

მოაგონდა კიდევ: ერთ დღეს სიმღერით, თოფებისა და დამბაჩების სროლით აულში ცხენოსანი მიუჩიდები (ლეკი მეომრები) შემოვიდნენ. მათ შესახვედრად ხალხი სიხარულის ყიჟინით ქუჩებში და ბანებზე გამოეფინა.

ნადავლთან ერთად მიუჩიდებმა აულში ტყვე მოიყვანეს, შუა შუკაში დააგდეს. დიდი და პატარა გნიასით და მუქარით შემოეხვია ტყვეს. სხვა ბავშვებთან ერთად ზაქროც მიჰყვა მათ, ხალხში გაძვრა და ხუნდებდადებულ ახალგაზრდა კაცს წაადგა თავს.

— დედა! — დაიკენესა ტყვემ. წამოიწია შავი თვალეზი ირგვლივ მოავლო და უნუგეშოდ ისევ დაეგლო მიწაზე.

„დედაო“? რატომ შესძრა ზაქროს პატარა გული ამ ერთმა სიტყვამ? უფრო ახლოს მივიდა, იქნებ კიდევ გაიმეოროსო, მაგრამ ამ დროს მოვარდა ფატიმათი, ხელი მოხვია მას, ტყვეს გაარიდა და იმ დღესვე

შორეულ აულში, მამისეულ სახლში წაიყვანა. როდესაც შინ დაბრუნდნენ, ზაქრომ ტყვე მოიკითხა. „გაიქცაო“, — უთხრეს ბავშვებმა. ქუჩისპირის მყუდროზე გამოფენილი მოხუცებისაგან კი შეიტყუო, რომ ის ტყვე მისიანებს გამოესყიდათ.

— გურჯი იყო და გურჯისტანში წავიდაო, — ამბობდნენ ისინი.

გაახსენდა ფატიმათის შეშფოთებული სახე და მის გვერდით წარმოუდგა მეორე, ტკბილიმილიანი სახე, დიდხანს რომ აკლდა და ყველგან ეძებდა.

— პაპა ოსმანი უნდა ვნახო, იმან ყველაფერი იცის, — გაიფიქრა და აულში დაბრუნდა.

პაპა ოსმანი ჰკვიან, პატივსაცემ მოხუცად ითვლებოდა აულში. მოვლილი ჰქონდა ქვეყნები, განთქმული იყო ლექსთა გამოთქმით და ტკბილი სიმღერით. ბავშვები უყვარდა, ხშირად შეკრებდა მათ, ხან სიმღერებს ასწავლიდა, ხან ზღაპრებსა და საკუთარ თავგადასავალსაც უამბობდა.

შეეჩვია პაპა ოსმანს ზაქრო. მოხუცსაც გამორჩევით უყვარდა ეს თვალმახარა ბიჭი. ახლაც, მის კარზე მიმდგარი, სახლში შეიყვანა, ქვის იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე მოიკეცა და სტუმარიც გვერდით მოისვა. ზაქრომ თვალი ააყოლა ხალიჩებით დაფარულ თიხით შელესილ კედლებს, სათითაოდ შეათვალიერა იქ ჩამოკიდებული მოვერცხილი თოფები, ხმლები, დამბაჩები, ბოლოს მზერა პაპა ოსმანზე გადაიტანა და, როგორც იყო, სათქმელი გაუბედა.

— პაპა ოსმან, გურჯების სალოცავს რა უნდა ამ ჩვენს მთაზე?

— უძველესი დროიდან, შვილო, დაღესტანსა და გურჯისტანს მშვიდობიანი მეზობლობა და მეგობრობა ჰქონათ, — უპასუხა მოხუცმა.

— გურჯისტანი საით იქნება? — ფრთხილად შეაპარა კითხვა ზაქრომ.

ახლა კი ცერად შეხედა პაპა ოსმანმა ზაქროს.

— შორს არის, აი, იმ მთების იქით, — გააგრძელა სიტყვა სიშორის გამოსახატავად.

— პაპა ოსმან, მე გურჯის შვილი ვარ? — ჯიქურ შეეკითხა.

შეკრთა მოხუცი. ფატიმათი შეეცოდა. ჩანდა, დღეს თუ არა, ხვალ მართვე ფრენას ისწავლიდა და იქით გაუწევდა გული.

— გურჯისტანი შორს არის, შვილო, ძალიან შორს... — მოერიდა პირდაპირ პასუხს მოხუცი.

ამ საუბრის შემდეგ ზაქროს უკვე აღარ ეეჭვებოდა თავისი ქართველობა. და აი, სისხამ დილას მცირე რამ საგზლით გაიპარა შინიდან.

გაზაფხული იყო, მაგრამ მთაში ყინვა და თოვლი ბატონობდა, იშვიათად თუ გამოჩნდებოდა მზე. ხელფეხს გაყინულ ზაქროს ნისლით ჩამოხელებულ და ზვაგებით ჩახერგილ ვიწრო ბილიკებზე უხდებოდა სიარული და გზას აცდენილი ბევრჯერ ფრთსა და იმავე ადგილს უბრუნდებოდა. მთებს შეფენილ აულებს შორიდან უვლიდა, დღისით კაცის ხმას ერიდებოდა, ღამით — ნადირის ყმული-ჩხავილს. გზას კი ბოლო არ უჩანდა, მიდიოდა, მიდიოდა... ისევე მთები, ზოგი — შიშველი, ზოგი ჩანჩქერებით ახმაურებული, ზოგი — მდინარეებითა და უფსკრულებით დასერილი.

რაც უფრო უახლოვდებოდა ბარს, არე-მარე თანდათან ლაღდებოდა, მწვანით იმოსებოდა, ერთ დღეს კი ტყიდან ყვავილებით ალაღანებულ მინდორზე გავიდა.

მინდორში საქონელი გაშლილიყო. ხის ჩრდილს შეფარებული ბიჭები წყნარად საუბრობდნენ, თან ხმელა პურით გემრიელად ილუქებოდნენ.

— ეს გურჯისტანია? — გამოელაპარაკა მათ ზაქრო.

ბიჭებმა ცნობისმოყვარეობით შეხედეს მოსულს. სიტყვა ეცნაურათ და თავი დაუქნიეს. დაღლილ-დაქანცული, ადამიანის ხმას მონატრებული ზაქრო დასასვენებლად მათთან ახლოს ქვაზე ჩამოჯდა. უფროსმა ბიჭმა შენიშნა მისი მშვიდი მზერა, პური შუაზე გატეხა და ნახევარი ზაქროს გაუწოდა.

ზაქროს შიოდა და გამოართვა.

ბავშვებმა ჩურჩულით განაგრძეს

ლაპარაკი თან ქვემო-ქვემო უცნობს უთვალთვალდნენ.

— ლეკი ხარ? — შეეკითხა ბოლოს უფროსი ბიჭი ზაქროს.

ზაქრო მიუხვდა კითხვას. რიგ-რიგობით დაადო ბიჭებს ხელი, მერე თავის მკერდს ატაკა თითი და ლიმილით სამჭერ გაიმეორა: „გურჯი, გურჯი, გურჯი“.

ბიჭები გაოცდნენ.

— ქართველი ხარ?

როგორი ქართველი ხარ, ქართული რომ არ იცი?!

როდესაც პატარა მენახირეები აიყარნენ და საქონელი სოფლისაკენ გამორეკეს, ზაქროც შორიანლო აედევნა მათ და მათთან ერთად შევიდა სოფელში.

სოფელი გაზაფხულის ყვავილობას მოეკაზმა. თესლის მოლოდინში აფუებულ მიწას ოხშივარი ასდიოდა, გლეხები სამუშაოდან შინ ბრუნდებოდნენ, ისმოდა პატრონის კარს მიმდგარი საქონლის ზმუილი, ძაღლების ყეფა, ბავშვების ურია-მული, ქალების გადაძახილი, ურმის ჭრიალი და მეურმის ნაღვლიანი სიმღერა. ისეთი ტკბილი გრძნობა დაეუფლა ზაქროს, სიხარულით კინაღამ ატირდა.

— ჩვენთან წამო, ამაღამ სადღა წახვალ? — ხელი წაავლო ზაქროს გოგამ.

ძმებმა წინ გაირეკეს საკუთარი საქონელი და ზაქროც თან გაიყოლეს. ბიჭებმა საქონელი ბაკში რომ დააბინავეს, შუა ეზოში მიწური ბანით გადახურულ ქოხს მიდგმულია დერეფანში მოფუსფუსე დღისაკენ გაეშურნენ და აღელვებით დაუწყეს ლაპარაკი. თან ზაქროსკენ იხედებოდნენ, თან ერთმანეთს სიტყვის დამთავრებას არ აცდიდნენ. ქალმა შეხედა ჭიშკართან მდგარ ზაქროს:

— მოდი, მოდი, შვილო, ალბათ ლეკებმა გაგიტაცეს, შე საწყალო? ვაი დედაშენსა! რა გვარისა ხარ? ან სადაური? — შეეკითხა ქალი, რო-



დესაც ზაქრო ეზოში შემოვიდა და გაუბედავად მის წინ დადგა.

გოგამ მიახვედრა, თუ რას ეკითხებოდა დედამისი. ზაქრომ ნაღვლიანად მხრები აიჩეჩა. „მართლაც, საით არის დედაჩემი? საით მოვიძებნო?“ ეგონა, გურჯისტანს თუ მოაღწევდა, დედასაც ადვილად იპოვნინდა, მან კი არც გვარი იცის დედისა, არც სახელი და არც სადაურობა.

— ნუ გეშინია, ღმერთი არ გასწირავს დედაშვილობასა, იპოვი, უთუოდ იპოვი, — გული გაუკეთა ქალმა ზაქროს.

ჭაბუკი რამდენიმე დღეს დარჩა მათთან. ბიჭები რომ საქონელს საძოვარზე გადენიდნენ, ის სახლში ან ვენახში ეხმარებოდა უფროსებს. არც მეზობლებს დაზარდა, ვინც ხელის წახმარება სთხოვა, ყველას მიეშველა და თითქმის მთელი სოფელი შემოიარა. ამ სოფლიდან სხვა სოფელში გადავიდა და ასე სოფელ-სოფელ, უბან-უბან დაიწყო სიარული.

გლეხკაცს საქმეს რა გამოუღვეს? ზაქრო ყველგან შოულობდა სამუშაოს. ჯერ საგაზაფხულო ხენაში ეხმარებოდა ხალხს, მერე თივის აღებას შეუდგა. ქერის ჭრაც რომ მოათავა, შუა ზაფხულის სიცხე-პანაქებაში ყანაში გასულ მომკვლებს უკან მისდევდა ხელეუბრების შესაკრავად. მერე კალოზე ძნის ჩაშლასა და ლეწვაზე დატრიალდა.



შემოდგომაზე ვენახებს დაუარა და ზამთრის პირზე ტყიდან შეშა ჩამოიტანა.

სოფლებში არ უკვირდით ზაქროს გამოჩენა, რადგან უნაყოფო, ქვალორიანი კლდეებში მცხოვრებ ლექთაგან ყველას როდი უყვარდა შფოთი და ყაჩაღობა, ზოგს, უმთავრესად მშრომელ ლეკებს, მშვიდობიანი ცხოვრება ერჩიათ, არ დალატობდნენ ძველ მეგობრობას და ბარში ან სამუშაოდ ჩამოდიოდნენ ან მათთვის საჭირო ნივთებსა და პროდუქტებზე გადასაცვლელად ჩამოქონდით თავიანთი ხელით დამზადებული ნაბდეული, მოჩუქურთმებული ხისა და სპილენძის ჭურჭელი, ვერცხლის სამკაულები.

ზაქრო ქართულს მიეჩვია. ლაპარაკიც კარგად ესმოდა და თვითონაც საკმაოდ გამართულად ლაპარაკობდა. კეთილი ადამიანების წყალობით, დასაძინებელ ადგილსა და ჭამა-სმაზე არა ფიქრობდა. დილით ტანსაცმელი გარეცხილი და დაკვრებული ხედებოდა, მაგრამ დიდხანს არსად ჩერდებოდა, რადგან თავისი მიზანი ჰქონდა.

პირველად ზაქრო ყველას უამბობდა თავის თავგადასავლს. ზოგი თუ უჯერებდა, ზოგს მოგონილ ამბად მიაჩნდა.

ალაზნის გაღმა სოფლები რომ შემოიარა, ზაქრო გამოღმა სოფლებს დაჰყვა. ასე გავიდა წელიწადი. დადგა ისევ გაზაფხული, მერე მიიღია ზაფხულიც, მაგრამ ზაქრომ საიმედო ვერაფერი შეიტყო. ხან იმედი დაეკარგებოდა დედის სიტბოს მიგნებისა, თავს ეუღლად გრძობდა ამ სამშობლოდ მიჩნეულ ქვეყანაში, მაგრამ მალე თავს გაიმხნევებდა და ისევ შეუპოვრად ეძებდა და ეძებდა.

შემოდგომის დამდეგს მდინარე თურღოს აჰყვა. კახეთში ეს ადგილები მდიდარია საუკეთესო საჭურჭლე თიხა-მიწით, რის გამოც აქაური გლეხები მეურნეობასთან ერთად სხვადასხვა ჭურჭლის წარმოებასაც მისდევდნენ.

ერთ-ერთ სოფელში ზაქრო მოკამაგირედ დაუდგა მიჭურჭლეს. ეს-

მარებოდა საჭურჭლე თიხის ზელვაში, მზა ჭურჭლის გამოშრობაში, და როდესაც გასაყიდად გამზადებული ქოთნებითა და კოკებით დატვირთული ურემი გზას გაუყენეს, ისიც ურემს გაყვა და მასთან ერთად თელავში შევიდა. ცოტა ხანს ბაზრობაზე იბორიალა, ყური მიუგდო ხალხის ყაყანსა და გნიასს, ოსტატისაგან გასამრჯელო მიიღო, გამოემშვიდობა და მარტო დაუყვა ქალაქის ქუჩებს.

შემოდგომა ილეოდა. ამ დროს თელაველთათვის ზედმეტი მუშახელი მისწრება იყო და ზაქროსაც არ ელეოდა სამუშაო. მოიარა რიყისპირა მჭედლები, ნალბანდები, ზემო და ქვემო ბაზარზე ჩარდახგადახურულ დუქნებში მომუშავე ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ეხმარებოდა ყველას, შინ — ოჯახებში თუ გარეთ — დუქნებში. ასე კარგა ხანს იტრიალა ზაქრომ თელავის უბნებში, ვიდრე მართასთან მოხვდებოდა.

მართა მარტო ცხოვრობდა. ქმარი შვილის დაკარგვის შემდეგ დარდით დაავადებულიყო და მალე გაშორებოდა წუთისოფელს. თალიკო კი სხვა უბანში გაეთხოვებინა. ისიც, წვრილ-შვილის პატრონი, ხშირად ვერ ნახულობდა დედას და, მისი მარტოობით შეწუხებული, ეპედრებოდა:

— გადმოდი, დედი, ჩემთან იცხოვრე, შენი დარდი მაინც მომაშორეო.

მართა კერას ვერ სცილდებოდა, „სადაც ჩემი ზაქრო დაცუნტულდება, იმ ადგილს ვერ დაეტოვებო“, — ეტყოდა. მას ჯერ იმედი ჰქონდა, ბავშვისას შევიტყობ რამეს და გამოვიხსნი ტყვეობიდანო, მაგრამ ეს იმედი ჩაეფერფლა, როდესაც უთხრეს, — შენი ზაქრო ლეკებს ცხენიდან ჩამოვარდნით, დაღესტნამდე ვერ მიუყვანათო.

ზაქრომ თალიკოანთ უბანში რომ დაიწყო მუშაობა, ქალს მოეწონა პატროსანი, მშრომელი ახალგაზრდა და დედას შეუთვალა:

— დედი, ჩვენს უბანში დაღესტნიდან ერთი ლეკია ჩამოსული სა-მუშაოდ. მაღლიანი ახალგაზრდაა,

გამოგიგზავნი, მიიშველეთ კოტახში მაინც წაგეხმარებო.

და აი, შეალო ზაქრომ მართას ეზოს კარი. მისკენ ყრუ, ბებრული უნიათო ყფით ფეხათრეული კოჭლი ძალლი გამოლასლასდა. ზაქროსთან შეჩერდა, დასუნა, გარს შემოუარა, კვლავ დასუნა და გაქუცული კულის ქნევით ფეხით დაუწვა.

— შე საწყალო, დაბერდი და ყფის თავიც აღარა გაქვს, შინაურსა და გარეულს ვეღარ არჩევ, — მოფერებით უსაყვედურა მართამ ძაღლს.

ძაღლმა ჭკვიანი თვალებით შეხედა პატრონს და სიხარულით შესწქმუტუნა.

„იმასაც ასეთი ბრიალა თვალები ჰქონდა“, — გაიფიქრა მართამ, როდესაც ეზოში შემოსულ ზაქროს შეეგება და ტკბილად გამოესაუბრა.

ზაქრომ თალიკოსაგან იცოდა მართას დარდის მიზეზი, ალბათ ამიტომ რაღაც სიახლოვე იგრძნო ამ დედის ხნის და მისი დედის დარდის მოზიარე, უდროოდ წელში მოხრილი ჭაღარა ქალისადმი. ყურადღებით უსმენდა და მონდომებით შეუდგა დავალებების შესრულებას.

მართამაც ეზოს დასუფთავება დაიწყო. ღობის ძირას მიწაზე დაგდებული პურის ნატეხი დაინახა, აიღო, აკოცა და ფრთხილად ღობეზე ჩამოღო. ზაქრომ გაკვირვებით შეხედა მართას და დიდხანს თვალი ვერ მოაშორა ღობეზე შემოდებულ პურის ნატეხს.

— გიკვირს, ლეკო, პურის ასეთი პატივისცემა? — შეეკითხა მართა ზაქროს. — პურის უდიერად მოპყრობა არც მომყვანს ეპატიება და არც მყიდველს. პურს დიდი გაფრთხილება უნდა, იგი დიდი წვალებით მოპყავს გლეხკაცის მარჯვენას.

არა, არ გააკვირვებია. ოდესღაც სადღაც თვითონაც ასე ეპყრობოდა უადგილო ადგილას დავარდნილ პურს — მოწიწებით აიღებდა, აკოცებდა და სადმე სუფთა ადგილზე დადებდა. ეს იყო დიდი ხნის წინ. ეს თითქოს მისი ძველი ჩვევა იყო, რომელიც დროთა განმავლობაში გადავიწყებოდა.

ზაქროს არაფერი უპასუხნია, დაფიქრებულმა განაგრძო მუშაობა. შეშა დახერხა, ეზოში ზეხილს ხმელი ტოტები ჩამოაჭრა, დაჩეხა და დაბინავა. მერე წყაროზე ჩავიდა — ცივი წყალი ამოიტანა...

შებინდებისას მართამ შინ შეიპატიუა ზაქრო და ვიდრე სუფრას გააწყობდა, ზაქროს ჯამფილა მიაწოდა, ოთახიდან გამავალ დაბალ კარზე მიუთითა და უთხრა:

— ე მანდ მარანია, ვაშლი ამოიტანე.

ზაქრომ მარნიდან ამოტანილი ვაშლით სავსე ჯამფილა მაგიდაზე დადგა და თვითონაც მაგიდას მიუჯდა. ვახშამზე ზაქრო უყვებოდა მართას ლეკების ცხოვრებაზე, მათ ადათწესებზე, ის კი კრემლმორეული თავის დარდას და ვარაშს ჩიოდა, შვილის დაკარგვაზე მოსთქვამდა.

— შენ თვითონ ნახე შენი მკვდარი შვილი? იქნებ სხვა ბალღი ჩამოუვარდათ ცხენიდან, იქნებ შენი შვილი არ იყო? თითქმის ნახევარი კახითი შემოვიარე, ბევრი ოჯახი ვნა-

ხე, შვილის დაკარგვით გამწარებულნი, — სცადა ნუგეშისცემა ზაქრომ.

ამ ნუგეშმა ააბუტა იმედის ნაპერწკალი მართას გულში. მართლაც, მას ხომ თავისი თვალით არ უნახავს? იქნებ სხვისი ბალღი დაიღუპა? ეს ლეკი ხომ... — ფიქრის დამთავრება ვეღარ გაბედა.

— შენს პირს შაქარი, ლეკო, ნეტავი მართლა სადმე ცოცხალი იყოს და დაუბრუნდებოდეს თავის კერას. ახლა შენხელა იქნებოდა.

და გამომცდელი თვალით ჩაათვალიერა ზაქრო.

მართამ ზაქროს დერეფანში დაუგო ლოგინი, ძილინებისა უსურვა და ოთახში შებრუნდა აფორიაქებული.

არც ზაქრო იყო დაწყნარებული. თავი მოუყარა დღევანდელი დღის ნანახ-ნაგრძნობს, თითქოს ბავშვობაში სიზმრად ნახული განმეორებულიყოს... დღისით არ მიუქცევია დიდი ყურადღება, ახლა კი უკვირდა, რომ წყალზე ჩასულს არ ეუცხოვა არც დაბალხანა და არც იქ მომუშავე ფეშტემალაფარებული დაბადები, არ ეუცხოვა არც ეს მაღალი ციხე-გალავანი, მის ძირში მიყუყუული მართას სახლ-კარით; ფილაქანდაგებულ ოთახში კარ-ფანჯრის განლაგებაც არ ეოფილა თითქოს უცხო და მარნის კარი, რომ გამოაღო, უკვე იცოდა, რომ მარანში ჩასასვლელად კიბე დახვდებოდა. მართლაც, ოთახს მიდგმული მარანი შედარებით დაბლა იდგა და რამდენიმე საფეხურით უერთდებოდა ოთახს. კიბის ძირში, როგორც ელოდა, ქვევრიც დახვდა ჩაფლუ-

ლი, დედაბოძთან პურის დიდი მძაპრიც და ხილის კიდობანიც.

— ხვალ... ხვალ... — დაიჭურჩულა ძილმორეულმა ზაქრომ და დალილს ამ ფიქრებში ჩაეძინა.

მართა არ დაწოლილა. დაწრიალებდა, დაბორიალებდა, კუთხიდან კუთხეში. ხან რომ უიმედოდ ხელს ჩაიქნევდა, ხან ახლად გაჩენილ იმედს ელოლიავებოდა. ფიქრობდა, ხელმოსაკიდებელს ეძებდა, ეშინოდა, ეს იმედიანი ნაპერწკალი უცებ არ ჩაჰქრობოდა.

წალოდან ბოღჩა გადმოიღო და გახსნა. იქიდან ბავშვის პატარა წითელმა ჩუსტებმა ამოანათა.

— მოგიკვდეს დედა, ეს შენი ჩუსტებია, ესენილა დამხვდა ტახტზე დაყრილი...

დიღხანს დასცქეროდა, ხელს უსვამდა, ეფერებოდა, იგონებდა ზაქროს ბავშვობას. მრავალი მოაგონდა, მაგრამ ერთმა მოგონებამ გონება გაუნათა. ერთიანად შესძრა: ერთხელ ახალფეხადგმული ზაქრო ბუხრის კალთაზე გადმოდგმულ შეკამადით სავსე ქოთანს წაეტანა, გადმოაგდო და მდუღარე სითხე ფეხზე გადმოეხსა. მაშინვე თურმანიძესთან აფრინა ქმარი მალამოსათვის. მალამომ დამწვრობა მოურჩინა, მაგრამ კვალი კი დაუტოვა — ღრმა დამწვრობის გამო ფეხსაცმელში ჩაგუბებული ცხელი შეკამადით ჩახარული არათითი და ნეკათითი ერთმანეთს მიატყუპა.

— ვნახავ, ხვალ ვნახავ, დავაკვირდები, — გაიფიქრა მართამ, მაგრამ გათენებას ვეღარ მოუცადა, ჩუსტები ისევ ბოხჩაში შეინახა, სანთელს ხელი წამოავლო და ფრთხილად გავიდა დერეფანში.

ზაქროს ღრმა ძილით ეძინა. ფეხთ საბანი გადახდოდა. გულის კანკალით შეეხო მართა მისი ფეხის თითებს...

— შვილო, ზაქრო, — დაიკვნესა და გულშელონებული ჩაიკეცა: სიღამწვრისაგან დამახინჯებული არათითი და ნეკი ერთმანეთს შესდულდებოდნენ.



საქალაქი



სყარო მიქაელა

როცა სინაზითა და გარდასულ დღეთა ნათელი სინანულით ავსება მომინდება ხოლმე, მეგობრის ნაჩუქარ წიგნს ვადმოვიღებ. სათაურად „წყაროს სიმღერა“ დაურქმევია. „ჩემს კარგ მეგობარსო“, — თავადაც ასე წააწერა. წიგნი 1982 წელს გამოსცა „ნაკადულმა“, 20 ათასი ტირაჟით, და მე უდიდეს სიამოვნებას მეგვრის ის ამბავი, რომ ალბათ 20 ათასზე მეტმა ბავშვმა წაიკითხა იგი. წაიკითხა და ისეთი მშვენიერებით აივსო, იმგვარად დაფიქრდა, მოინებლა — ერთი ათასად შეუყვარდა ჩვენი დალოცვილი ქვეყანა, მისი სოფელი და მისი ადამიანები.

კარგი მეგობარი მყავს, კარგი! აქამდეც ვიცოდი, მაგრამ წელს რომ შიო მღვიმელის სახელობის პრემიის ლაურეატი ვახდა, ვირწმუნე — კარგი არსად დაიმალება, დღეს იქნება თუ ხვალ, სამზეოზე გამოიტანენ!

ჩემი მეგობარია-მეთქი, გავიძახი, მაგრამ პირველ ყოვლისა იგი თქვენია, თქვენშია, თქვენი ცხოვრობს და თქვენთვის ქმნის, კარგო

ბავშვებო, ამ კრიალ-წყრიალა მოთხრობებს.

გურჯაანში ყოფილხართ? გინახავთ იქაურები — მულჩაუკეცელი, ალალი და გამრჯე ადამიანები? ნინო ბეზარაშვილიც მათი შვილია, მათი სისხლი და ხორცი, თავმდაბალი, დაუზარელი და შრომისმოყვარე, ცნობისმოყვარე, ცოდნისმოყვარე. კახელი კაცი, მისი ოჯახი, მისი კარ-მიდამო, მისი ვენახი და ზვარი თუ ბაღა-ბაღი სურათონად ვადმოაქვს თავის ნაწერებში. უყვარს და ეთაყვანება აქაურ ხალხს, მსცოვანსა და პატარას. აკი თავისი მოთხრობების გმირებდაც — ნამდვილ, მართალ გმირებდაც ისინი ვახიხადა!

მიყვარს, როცა სტუმრად მეწვევა ხოლმე: ჩვეულებრივი სალამქალმისა და მოკითხვის შემდეგ საუბარი ჩვენი სანუკვარი თემისკენ — სოფლისკენ გაიწევს. „ჩვენში ასე ჰქვია“, „ჩვენში ასე აკეთებენ“... და თვალნათლივ ვხედავ, როგორ ეგებება მზის ამოსვლას, როგორ უსურვებს მშვიდობის დილას ფეხზე წამოდგარ ბეზარაანთ უბანს... უბერავს დილის სიო და აივანზე მისგან აცმულ ჩურჩხელებს აქანავებს ხარისაზე. ჭერში აკრულ მერცხლის ბუდიდან კი ჟივილ-ხივილი ისმის, ვით ხმა მომავალისა. ბეზარაანთ წყაროდან (დღეს რომ „ნატოს წყარო“ ჰქვია), ქალებს კოკურებითა და გოვზებით მოაქვთ ცივი-ცივი წყალი, და ნინო იხსენებს დიდ პაპას, გიორგი ბეზარაშვილს, უბანს რომ წყარო გამოუყვანა. აკი იმიტომაც დაარქვა ერთ თავის მოთხრობას „წყაროს სიმღერა“. ნინო იხსენებს ულამაზესი ნატო ვაჩნაძის ფოფინა თვალებს, მის სტუმრობას აქვე, ამ უბანში. ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმშიც აქ ეგულება და მოპატიუბულ მეგობრებსაც ასე არიგებს: ავტობუსის მძღოლს უთხარი, ნატო ვაჩნაძის სახლთან გამიჩერე-თქო. დიდებული მაყვალა მრეკლიშვილიც ასე ესტუმრა ერთხელ, გავიდნენ მერე აბიბინებულ მინდორში, ბალახთა და ყვავილთა ჭულთმისნებივით... ჩამოსხდნენ

კორდზე და ქართლ-კახეთის უთავთავისეს სახელით უწოდებენ. ლახს, ყოველ ყვავილოვან ციციანთელას, კენჭსა თუ კოლბოსს.

წელან ნატო ვაჩნაძე ვახსენე. ესეც ნინოსაგან ვიცი. როგორ ჩამოვიდნენ თბილისში ბეზარაანთ ქალები — ჩისტკოპითა და ლეჩაქით თავდახურულებმა როგორ დაიტირეს ცაში დაღუპული მშვენიების ფერფლი... აი, ასეთებს მიაბობს. ამიტომ მიყვარს ნინოს სტუმრობა. მაგრამ მისი მოთხრობები უფრო სასურველი სტუმრები ხდებიან ხოლმე. თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად იცნობთ ამ მოთხრობებს. მაინც მინდა შეგახსენოთ ზოგი მათგანი, ერთად დაუბრუნდეთ, ერთად აღვივსოთ სიკეთით. „მარდი თითები“, „საბძელი“, „ბეზია ქეთია“, „თბილი შოთები“, „ფერიცვალა“, „კუნძი“, „ოროვანდის ყვავილები“, „სახსოვარი“, „რა მალე გავიდა ზაფხული“, „ლიმილი“, „მგოსანი“ და სხვანი და სხვანი, მარგალიტებივით აკინძულ-ასხმულნი. საგანგებოდ მინდა გამოვყო „ფოთლები“, „სახლი“ და „კუნძი“ (ამ სამ მოთხრობას, ყველა გამოჩენილი მწერალი მოაწერდა ხელს, ჩემი აზრით).

მინდოდა, ზოგიერთი მოთხრობის შინაარსი მეამბნა თქვენთვის, მაგრამ მერე ხელი ჩავიქნიე: აბა, ავტორზე უკეთ მე რას მოყვები-მეთქი. მაინც, რაღაც დამახასიათებელი, რაღაც ნიშანდობლივი და ძირფესვეული მინდა მოგახსენოთ: ესაა სატება შრომა-გარჯას მინდობილი ადამიანისა; ესაა საუნჯე დაკოჭრილი ხელებისა, ჩქაფუნი მაჭრისა, სურნელი მარნისა; ესაა მადლი პაპის ნათქვამი სადღეგრძელოსი, სიტყბო ბებოს ამოვლუბული ჩურჩხელისა; ესაა სინაზე შემოდგომისპირა მოსთვლილი ბაღ-ვენახისა, სევდა ქარსაყოლილი ყვითელი ფოთლისა, ესაა იმედი სასოწარმთეული კაცისა, მამაპაპისეულ სახლს რომ უბრუნდება სოფლად; ესაა ცოდნა, რომ მშობელი მიწა კვლავ გამოაბრუნებს, ააღორძინებს ჯანგატეხილ ადამიანს.

კიდევ, კიდევ რას მიაშობს ღობესთან, პაპისეულ კუნძზე ჩამომჯდარი, მოყრიათულე ბაღლებით გარშემორტყმული, ავტორის ფიქრების თანაზიარი ადამიანი? მიამშობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება დაიბრუნოს გარდასული დღეები მოთხრობის გმირმა. მან ძველ საბჭელში საკუთარი წარწერები ნახა. აქ ოდესღაც „სკოლობანას“ თამაშობდნენ მთელი უბნის ბავშვები, ამიტომ ცოცხლდება წარსული... მიწოდებულ თავიგულსაც თავისი ენა აქვს, ფერებით აცოცხლებს ბავშვობას...

ხოლო მოთხრობა „ფოთლები“ სავსეა სიმთა ჟღერადობით. მოხუცი ქალი გიტარას იღებს ხელთ და ამბობს: „ეს დალოცვილი, რა ძალიან მიყვარდა, ქა“...

„ოპ, გათოშილო მკენარო ფოთლებო, თქვენი შრიალით ვეღარ დამათრობთ, მომიახლოვდით, მომიახლოვდით, მსურს ჩემი მკერდით ყველა გაგათბოთ“...

და ავტორი თითქოს მოგვმართავს — დიდიან-პატარიანად — მიიწვია გაგათბოთ მისმა კარგმა, კარგად ნათქვამმა ქართულმა, მისი სიტყვის სურნელოვნებამ.


„მოდიოდა, ნელა მოაბიჯებდა ღობეებზე გადმოხრილ ხეებს შუა მაღალი, ტანწერწეტა ქეთია ბებია. ორივე ხელი ჩავლებული ჰქონდა აკალთავებულ წინსაფრის ბოლოებზე და რაც შეეძლო ზემოთ ეწეოდა. მოდიოდა ქეთია ბებია და თან მოჰყვებოდა ახლად დაკრეფილი ქინძისა და ქონდრის სურნელი“.

მწერალმა შეძლო და ეს სურნელიც ვარდ-ყვავილთა ფასოვნებადვე აამაღლა, ვინიდან იგი ჩვენი ადამიანების გარჯით მოწეულ ბაღ-ბოსტნიდან მოჰბერს ხოლმე.

შრომა ყველაზე დიდი შემამკობელია კაცისა, გულის სახსოვარი ყველაზე ამამაღლებელია ადამიანისა, სიკეთე უკვდავების წყაროა, რომელსაც თუ დაეწაფე, ვეღარ მოშორდები.

ნინო ბეზარაშვილიც ამ სიკეთის წყაროს მომღერალია!

ნაზი კილასონია



იოსებ აუსიანური

ახალი ზარები

იმ მარჯვენას ვენაცვალე, ჯავრის მთა რომ შეაჯერა, იანვარი გაზაფხულთან ცხელი გულით შეაჩერა. ვინც არწივი დააბრუნა ქარგრიალა საბუდართან და მართვეებს მაღალ მთაში ასაფრენი ვაუწაღდა.

ის მართვენი ჭინჭარაულს მოჰყვებთან სვილისფერნი. სად ავაზა დასცემს ტოტებს, ადრინდულად ივლის ბერი. მისწ-მოსწია ნათელისძემ შვიდმეტკავლიან მხრებით მთანი, ნისლას, ბარად ნაბალახევს, მოუფონა მოსართავი.

მერსზე ორბი შემომჯდარა, მუცოს ბეჭზე დასაფრენი, ოყას მუნლთან დატორტმანობს ქარიშხალი დაზაფრებით. ზარი რეკავს გუდანიდან სხვა დროშების წკრიალითა. მუხას სძრავენ სხვა ქარები, სხვა სიონი ჰქრიან წყლიდან. გორის ფხაზე ავარდება ტაშფანდურით ლალი მთვარე. ხევსურეთის გრძელ გუთნულს ჩემი ქედით მიმათვალეთ.

შვილი

შავი ბარტყი მოვიყვანე შავი ტყიდან მეო, შავი შაშვი მომივარდა, შავად მოვირთეო; ჩემს ეზოში ზარი იდგა,

იდგა ოლი თვეო, მოტირალი ძესა მთხოვდა, ვეღარ დავუთმეო. სახლს კრამიტი ამიხადა, წვიმა ვაგლახ მეო, დედაბოძი ამომიგდო, ქარი ვაგლახ მეო; ყანა მედგა მზის ნათესი, ჩამისვენა მზეო, ვაზი, სახლში შემოსული, გადამიხმო ზეო; ხარებს თვალი დამითხარა, დამიბნელა დღეო, შვილი მყავდა ოქროსფერი, ქვეყნის სამოთხეო, უვნებელი დამირჩინა, შევებრალე მეო.

მზემ გაიწული დამატარა

წყარო ბაღში ამოსულა, არი არალეო, მოჰყოლია ბროლი წყაროს, დივლი დალალეო. ბროლზე სხედან ვარსკვლავები, ვერ დავითვალეო, ვარსკვლავებში დედა ვნახე, დარი დარალეო; დედა მიმღერს იავნანას, ვარდო ნანინაო, იავნანამ ჭალას ნუკრი მომიყვანიინაო, ნუკრზე იჯდა თეთრი მტრედი, განთიადის ძეო, მტრედმა ლექსი დამღულუნა, შიგ დარობდა მზეო; მზემ მამული დამატარა, — წმინდა სამოთხეო, შავ დამითაც მგალობელი ჩემი იდგეს დღეო.

საქ. სსრ კ. ...
სს. სს. ...



გორაკორასკოლხეობთა ჟარნალი № 9

ვიწყებათ ახალ დღესასწაულს

„შენ და ოჯახი“

უხსოვარი დროიდან მოკიდებული, აგერ დღესაც ისმის ხოლმე მშობლების ჩივილი: ეს რა ახალგაზრდობა მოდის, ამათ ახაკუშა (შვილებს გულისხმობენ) ჩვენ უკვე გაცილებით დინჯი და ჭკუაღამჭადარი ვიყავით, ენა და მარჯვენა გვიჭრიდა, ცოდნა და სიტყვა-პახუნი კარგი გვქონდა, ბრძოლაც გვეხერხებოდა და შრომაც, სიყვარულიც ვიცოდით და სიძულვილიც, არც ვინმეს ავს შევარჩენდით და არც ვინმესგან წარგს შევიარჩენდით, ყველას თავისი დამსახურებისამებრ მივაგებდითო...

მაგრამ დრო გადიოდა, შვილები იზრდებოდნენ და ბრძენდებოდნენ, ბრძოლასაც

სწავლობდნენ და შრომასაც, სიძულვილსაც და სიყვარულსაც, ხოლო რაც შეეხება ცოდნას... ცოდნით ხაზოდნენ კიდევ საკუთარ მშობლებს — ასე რომ არ ყოფილიყო, პროგრესიც ზომ არ იარხებებდა... ზო, მერე, მოგვიანებით, მშობელთა დედაწლის დაფახებასაც სწავლობდნენ, მოწიფულები უკვე სხვა თვალთ უყურებდნენ მათ ამაგს, პატივსცემით იმსჯელებდნენ ჭაღარა დედისა და მამის მიმართ, რომლებმაც არაფერი დაზოგეს იმისათვის, რომ მათი შვილები საკუთარ მშობლებზე გაცილებით უკეთესები, უფრო ჭკვიანები და კეთილები, უფრო ღამაზები და ჭანხალები გაზრდილიყვნენ, უფრო ხალისიანი და ბედნიერი ცხოვრება ჰქონოდათ.

ახე იყო წინათ, და, მით უმეტეს, ახეა დღესაც, როცა მომავალი თაობის — უკეთესი და უფრო ბედნიერი თაობის — აღზრდაში ოჯახი და მშობლები მარტონი აღარ არიან — მათ საზოგადოება და სახელმწიფო ეხმარებათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა შვილი, ყველა მოზარდი როდი ხედავს და აფახებს ამა-ამ ყოველდღიურ ზრუნვას მისი სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ზოგს ჰგონია, რომ პაპის თუ ბებუის პენსია არაფრისათვის გაცემული ციური წყალობაა, რომ ხელფასი, რომელსაც დედ-მამა ყოველთვიურად იღებს და ოჯახს ახმარს, იოლი მოსაპოვებელია,

იმას კი არ უფიქრდება, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში თუ საკოლმწიფო მინდვრებში შრომას — თუკი გულიანად შრომობ — გონებრივ და ფიზიკურ ძალთა მოხილვება და ხარჯვა სჭირდება. ასეთებს კაკაოსფერი „გაზ-2106“ თუ ნაცრისფერი ველავიტის კოსტიუმი ციდან ჩამოვარდნილი ან ღობის ძირში ნაპოვნი ჰგონია და მანქანით დაქირის თუ გამოიწიფ დასიერობს, თავისი ქონება დაუმსახურებლად შეუფერებია, ცაქუდად არ მიაჩნია და დედამიწა — ქალამნად.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. უარესი ის გახლავთ, რომ ბევრი თანამედროვე მოზარდი არა მარტო დღევანდელმობას უყურებს ზერელედ და „მერე რა მოხდას“ განწყობილებით, არამედ წარსულსაც. მათ ავიწყდებათ, რომ ეს უღრუბლო ცა სწორედ პაპებისა და ბებიების სისხლისა და ოფლის ფასადა მოპოვებული, რომ ამ ავტომანქანებსა და ექსპრესებში, ფერად ტელევიზორებში, ულტრათანამედროვე მაგნიტოფონებსა და ვიდეომაგნიტოფონებში, საერთოდ ყველაფერში, რაც ჩვენს ცხოვრებას ამდღერებს და აღამაზებს, სწორედ მათი გულიანად დახარჯული ენერჯია და უანგარო შრომა დაკრისტალებული. ამიტომ მოზარდს, რომელსაც ჭერ არაფერი ფახეული არ შეუქმნია, არამც და არამც არა აქვს უფლება, ამრეით უყურებდეს დღევანდელი სინამდვილის ჭეშმარიტ შემოქმედთ და „გადაყრუ-



თვალაბუი ჩახატული სიყვარული

ადრიანი გაზაფხული იდგა. ბაღში ვიჩქეი და ვტკბებოდი ახლად გაშლილი ყვავილების სურნელით. უეცრად ბავშვის კისკისი მომესმა. მივიხედე. ჩემკენ მომავალი ახალგაზრდა ქალი და წითელბაფთიანი გოგონა დავინახე. კულრაჭას ყაყაოსფერი კაბა ეცვა, უხდებოდა წითელი ფერი მის შავგვრემან სახესა და მაყლისფერ მოუსვენარ თვალებს. ხელში პაწია ვედრო და ნიჩაბი ეკავა.

ჩემს გვერდით ჩამოსხდნენ. ბავშვი უცებ ქალს მკერდში ჩაეკრა და ცხვირი ცხვირზე მიადო.

— დედი! შენი თვალებიდან ვილაც იყურება! ვაი! მგონი მე ვარ! — გაიოცა ბავშვმა.

— შენა ხარ, ჩემო სიცოცხლე, სხვა ვინ იქნება! მიყვარხარ და იმიტომ ჩანხარ ჩემს თვალებში. მე კი შენს თვალებში ვარ ჩახატული. თუ სხვა ვინმე გიზის მანდ?

ბავშვმა მაშინვე თავი გააქნია უარის ნიშნად.

— არა, დედიკო, ჩემს თვალებშიც მარტო შენ ზიხარ!

დედამ კმაყოფილებით გაიცინა.

უცებ ბავშვი მე მომიტრიალდა და თვალებში ჩამხედა. ეტყობა, გაოცდა, როცა იქაც დაინახა თავისი თავი.

— შენც გიყვარვარ? — მკითხა ჩურჩულით.

მე გავუცინე და თავი დავუქნიე.

ასმათ ჟურნიკიში, თბილისის 142-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.

ფიფქვთან საუბარი

ერთხელ, თებერვლის გვიან ღამეს, რალაცამ გამომადგინა. ფანჯრიდან დავინახე თოვლის ფიფქები, რომლებიც პეპლებივით ირეოდნენ წყვედიად. ფანჯარა გამოვადე და ჩაფიქრებული მივატყერდი მოფრიალე ფიფქებს. უეცრად ჩემს წინ თეთრი, ბამბაზე თეთრი პაწაწინტელა ფიფქი გაჩნდა. მომიახლოვდა, მხიარულად აფარფატდა და დაეშვა ფანჯრის რაფაზე. მე გაკვირვებისაგან პირიც კი დავადე, როცა ფიფქმა ნაზი ხმით მკითხა: „გოგონა, რატომ ხარ მოწყენილი?“ მე იმდენად განცვიფრდი, რომ პასუხი ვერ მოვახერხე. ფიფქმა კითხვა გამიმეორა და, რომ ნახა, პასუხს არ ვაძლევდი, თვითონ განაგრძო:

„— აბა შენ რა გაქვს მოსაწყენი, პატარა გოგონავ? ერთი მე მკითხე, როგორ მომენატრა დედამიწაზე ჩამოფრენა, პაწაწინტელა ბავშვების მხიარული სახეების დანახვა! მე კარ-

ებულ ბებრებს“, „ჩამორჩენილებს“, ირონიულად ნათქვამ „წინაპრებს“ თუ „გადმოწაფილებს“ უწოდებდნენ მათ.

ყოველივე ეს, აი, რამ გვატყვევინა: ამ გაზუსტულზე რედაქციაში ერთი მოხუცი მოქალაქის წერილი მოვიდა. წერილი არცთუ ისე ვრცელი იყო, მაგრამ ავტორის გულმხობილი და აღშფოთება ამ მოკლე ბარათშიაც აშკარად იგრძნობოდა.

გაგაცნობთ ერთ ნაწყვეტს.
„არ ვიცი, — მოგვითხრობს ავტორი, — ალბათ მეც და ჩემმა შვილმა და რძალმაც დავუშვით შეცდომა გურამის აღზრდაში. თორემ ავადმყოფობა, რითაც ჩემი შვილიშვილი დასნეულდა, მას ასე ადვილად არ შეუერებოდა.

გულს დილით გურამმა დედას შეახსენა: „რა ჭქენი, დედა, მოილაპარაკეთ შენ და მამაჩემმა?“

„ბო, — უბახუხა ჩემმა რძალმა, — მოვილაპარაკეთ. ვერ გიყვით, გურამ, იმ იაბონურ ბოტახებს. 150 მანეთი შენ პატარა ფული გგონია?“

„ვერ მიყვით და ხაერთოდ აღარ ვივლი სკოლაში! — გაცხარდა გურამი. — ბეჭით სწავლას კი კარგად მოითხოვთ ჩემგან! ახურებთ, რა!“

სენას არ დავუჭერე. ჩემმა რძალმაც ვერ მოახერხა ხმის ამოდება.

„რითა ვარ გონაზე ნაკლები? — განაგრძობს

ძო ბიჭმა. — იცი, რას დაიბღინებდა? ამბობს, თვითმფრინავის უიღვა რომ შეიძლებოდა, მამაჩემი იმასაც კი მიყვითხრო, ჩემი სიტყვა ოჯახში კანონაო, ხალამოს რასაც შევაწერ, მერე დილით ხაწოლთან მხვდებო... აი, რა პრავილნი ბიძაა, როგორ უსწორებს შვილს. თქვენ კი სულ ჩამორჩით ცხოვრებას. პატრიონებაზე დებთ თავს, ტრადიციები გაკერით პირზე...“

თავზარი დამეცა. ასეთი რამ პირველად მესმოდა.

„უფრო წაიდეთ, რევოლუცია მოვანდინეთო, სამოქალაქო ომი მოვიგეთო, ფაშისმა გავანადგურეთო... მერე რა მოხდა, ყველა თაობა რაღაცას აკეთებს, — ენად გაიკრიფა გურამი. — თავი მოგაქვთ, ვითომ ქვეყანა ააშენეთ და 150 მანეთს კი კანკალდებთ. რა არის 150 მანეთი? მამაჩემის ერთი სტატია და შორჩა!“

„რაგან ლაპარაკობ, გურამ, ველარა გცნობს. ან გიფიქრია კი, იმ სტატიის დაწერას რამდენი შრომა და დრო სჭირდება?“ — ჰკითხა დედა.

„შრომა კი არა... დიდი რამე!“ — აგდებით ჩაიქნია ხელი ბიჭმა და კარი გაიჭახუნა.

ერთი სიტყვით, ჩვენს ოჯახშიც შემოიპარა, — შემოიპარა კი არა, ჯიქურ შემოიპარა ეს დაწვევლილი ხენი: მშობლის (და არა მარტო მშობლის!) დეაწლის, მისი შრომის ნაყოფის, მისი ამაგის აბურად აგდება და

ამავე დროს, სხვათა მიერ მოპოვებულ სკოლაში, კეთილ ნელგაშლილი სარგებლობა, იმის თავხედური მოთხოვნა, რაც არ დაგიმსახურებია, კარგი სწავლის (თუ ყოფაქცევის) სანაცვლოდ — ულტრამოდერნი ტანსაცმლის „შეწერა“ მშობლებისათვის, სხვისი ნაშრომით ურცხვად თავის მოწონება, ყელყელაობა და ყოყორება... რაღა ვქნათ, რა გზას დავადგეთ... იქნებ გვირჩიოთ რამე...“

ჩვენც სერიოზულად დავაფიქრა ამ ოჯახის სატიკვარმა.

ზოდა, აი, ახლა თქვენ მოგმართავთ, ჩვენს ძვირფას მკითხველებო: დავიარვებით წაიკითხეთ ეს წერილი, განსაკუთრებით — მისი ბოლო აბზაცი, აწონ-დაწონეთ გონივრულად და გურამის საქციელი, მათი დამოკიდებულება მშობლებთან, პაპასთან თუ ბებიასთან, მათ წარსულთან... ეს ბიჭები ხომ თქვენნი თანატოლები არიან, იქნებ თქვენცა გყავთ ასეთი ამხანაგები. მოდით და, ერთად ვიმსჯელოთ მათ შესახებ, იქნებ მათი ყოყორების თუ უმადურობის მიზეზიც ვიპოვოთ, იქნებ ამ ავი ხენის ხაწინააღმდეგო წამალიც აღმოვაჩინოთ, იქნებ რამე ვურჩიოთ მწარედ დაფიქრებულ ადამიანებს...

ერთი სიტყვით, გიწვევთ ახალ დისკუსიაში მონაწილეობისათვის. მოდით, ამ დისკუსიას სახელად „შენ და ოჯახი“ დავარქვათ. ველით თქვენს გამოხატულებას.

გად ვიცი, რა ძალიან უხარიათ ბავშვებს ჩემთან თამაში. რომ იცოდნენ, როგორ მიყვარს ისინი! განსაკუთრებით მაშინ, როცა მხიარულობენ. გული სულ მათგან მიმიწევს. ცაში კი, ჩემს ირგვლივ, მოწყენილობა და სიცილიელა. ნეტავი იცოდნენ, როგორ მტკივა გული, რომ სულ პატარებთან არა ვარ, ვერ ვხედავ მათ მოღიმარ სახეებს, ვერ ვახარებ მათ. აბა, შემომხედენ, გოგონავ, ნუთუ შენ არ ვახარებ ჩემი ჩამოფრენა? რატომ მხვდები ასეთი მოწყენილი? მე ხომ ორი თვეა, ვემზადები შენთან შესახვედრად და მხოლოდ დღეს მოვახერხებ.“

პასუხს არ ვაძლევდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემი გული სითბოთი ივსებოდა. მიხაროდა, რომ ფიფქი ამდენ ხანს ოცნებობდა ჩემთან შეხვედრაზე, რომ ასე ახლოს ვნახე იგი და მოვისმინე მისი ტკბილი ხმა. ვგრძნობდი, თვალეები მეხუჭებოდა, თითქოს ფიფქიც გრძნობდა ამას, რამდენჯერმე აფრიალდა

ჩემს წინ და საერთო ფერხულს შეუერთდა.

თბილ ლოგინს დავუბრუნდი და ჩამეძინა. დილით ადრე დედაჩემმა გამაღვიძა — სკოლაში გაგვიანდებაო. წამოგხტი ლოგინიდან და მაშინვე ფიფქის ამბავი გამახსენდა, მაგრამ ველარ გავერკვიე, ნამდვილად შესაუბრებოდა ფიფქი თუ ყველაფერი ეს სიზმრად ვნახე.

სკოლაში რომ მივედი, მასწავლებელმა დაფაზე დაწერა ორი თემა: „ფიფქების საუბარი“ და „ჩემი საყვარელი გმირი“. მე, რა თქმა უნდა, პირველი თემა ავირჩიე და სიტყვა-სიტყვით ავწერე ჩემი სასიამოვნო და დაუფიწყარი სიზმარი თუ ლამის თავგადასავალი. ალბათ უცნაურია, მაგრამ, ჩემი აზრით, ფიფქები მაინც ლაპარაკობენ, მათაც აქვთ გრძნობა, განცდა და, რაც მთავარია, ძალიან უყვართ პატარები.

თამარ სინარულიძე,
თბილისის მე-2 ექსპერიმენტული
სკოლა, VII კლასი.



ნ ა ტ შ რ მ ო რ ტ ი. ირინა ელიაშვილი. 55-ე ხაშ. სკოლა, IV კლასი.

მეზღვე

ქ ლ ე ნ ე
მ ი მ რ ი კ ი

გოგონას იმით

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მ ო თ ხ რ ო ზ ა

მე და პეტია განუყრელი მეგობრები ვართ. ერთხელ თანაკლასელმა, ვალოდიამ, გვთხოვა, შემოვიერთდებითო. პეტია იმ წამსვე დათანხმდა, მე კი შევეჭვდი:

— რად გვინდა ეგა? როცა ორნი მეგობრობენ, მესამე ყოველთვის ზედმეტია.

— არ გეთანხმები, — შემომეძავა პეტია. — სრულიად საწინააღმდეგო მაგალითების მოყვანა შემიძლია. — ის ჩაფიქრდა და მერე განაგრძო: — ორი ვითომ რა ყოფილა! შეიძლება სამხაც იმეგობროს, ოთხმაც და მეტმაც. მთავარია ურთიერთთავება. ვალოდია ძალიან კარგი ბიჭია. გახსოვს, ავად როცა ვიყავი, როგორ მეხმარებოდა მათემატიკაში? მაგ საგანში შენ მოიკოჭლებ, ვალოდიას კი კარგად ესმის. ისე, სხვათა შორის, შენც კარგად უსმენდი, როცა მიხსნიდა. უკვე დავაიწყდა?

— არ დამვიწყებია, — ვუბასუხე.

— ჰოდა, იცოდე, ვალოდია ზედმეტი არ არის. მესამე შეიძლება სიყვარულში იყო ზედმეტი, მაგრამ მეგობრობაში არა. გავიგე?

— გავიგე! — გავიღიმე მე.

ზაფხულის არდადეგებზე მე და პეტია სათევზაოდ ტბაზე გვყავოდით ხოლმე. ნაპირებთან იგი ხშირი ლერწმით იყო დაფარული, მაგრამ ზოგიერთ ადგილას წყალთან მისვლა მაინც შეიძლებოდა.

მამამ გვიამბო, საიდან გაჩნდა ამ ტბაში კარხანა. თურმე, ჩვენს მეზობელ ძია სტეპანს, თევზები ქალაქში მაღაზიაში უყიდია, სამლიტრიანი ქილით ჩამოუყვანია და ტბაში გაუშვია.

თევზი მალე მომრავლებულა.

— მოდი, ვალოდიასაც დაუძახოთ, სათევზაოდ წამოვიდეს, — შემომთავაზა ერთხელ პეტიამ.

ახლა სამივენი განუყრელი მე-

გობრები ვართ. როცა ქალაქიდან ჩემი ტანმორჩილი შავტუხა ბიძაშვილი ტანია ჩამოვიდა, ისიც ჩვენს წრეში შევიყვანეთ. მას არასდროს ენახა, როგორ იჭერენ თევზს და ძალიან გაუხარდა, როცა ჩვენთან ერთად წამოსვლა შევთავაზეთ.

ტანიას ჩემი ანკესი მივეცი და პირველსავე დღეს ორი პატარა კარხანა დაიჭირა. ისე მოეწონა თევზაობა, რომ დილაობით, ჯერ წესიერად გაღვიძებულიც არ იყო, მაჩქარებდა:

— მიხასეკ, სწრაფად მოემზადე, მზე უკვე ამოვიდა.

როცა თევზს ვერ ვიჭერდით, ვისვენებდით. მივატოვებდით ანკესებს და გჭყუშპალაობდით, ვიცინოდით, ვყიყინებდით, მაღალი ნაპირიდან წყალში ვხტებოდით. ტანიამ ცურვა არ იცოდა და ნაპირიდან ადევნებდა თვალს ჩვენს ცელქობას.

ერთხელ ვერ მოითმინა და ისიც წყალში ჩამოხტა, ხელი წყალს მოუტყუაპუნა, უნდოდა ვალოდიასთვის შეეშხეფებინა. თვითონ შეესხა თვალბეჭით, თავი ვერ შეიმაგრა, წაბარბაცდა და წაიქცა. გონს რომ მოვედით, ტანია უკვე აღარსად ჩანდა. ჩავყვინთეთ, ისე ავამღვრიეთ წყალი, აღარაფერი ჩანდა. უცებ კუნძს შევეჯახე, რომელსაც ტანია კაბით გამოსდებოდა. თმაში ხელი ვტაცე და ამოვათრიე. წუთიც არ გასულიყო, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს მთელმა უსასრულობამ გაიარა.

ტანია ნაპირზე გამოვიყვანეთ და ხელოვნურად ვასუნთქეთ. ცხვირიდან წყალი ამოსდიოდა. ცოტა ხნის შემდეგ თვალი გაახილა. სიხარულისაგან ვხტუნაობდით, ყირაზე გადავდიოდით, ერთმანეთს ვეხვეოდით.

— ეს როგორ მოგივიდა? — უსაყვე-

დურა პეტიამ გოგონას და გვერდით მიუჯდა. ტანიამ ტუჩები აკმატუნა, შემდეგ წამოდგომა სცადა. მე და პეტია მივეშველეთ. ახალა გაგვასენდა ანკესები და ვალოდია გაგვზავნეთ მოსატანად. ვალოდია მხოლოდ ორი ანკესით დაბრუნდა.

— დანარჩენები თევზებმა შეჭამეს, — იხუმრა მან.

მის ხუმრობაზე გაგვეცინა.

— რომ არ გვეპოვნე, ვერ წარმომიდგენია, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, — ისე საცოდავად შესჩივლა გოგონას პეტიამ, რომ ცივმა ყრუანტელმა დამიარა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტანიამ თქვა:

— ახლა წავიდეთ, კაბაც გამიშრა და თმაც. მაგრამ ძალიან გთხოვთ, არავის არაფერი უთხრათ, კარგი?

ჩვენ პირობა მივეცი, მაგრამ ვალოდიას თურმე მაინც წამოსცდა დედასთან, იმან კი დედაჩემს უამბო ყველაფერი. ამის შემდეგ დედამ კატეგორიულად გამოგვიცხადა:

— დღეიდან სათევზაოდ აღარ წახვალთ!

ვალოდიას მკაცრად ველაპარაკეთ. ჩვენი წრიდან გაგდებაც დაუბირობთ, მაგრამ პატიოსანი სიტყვა მოგვცა, ასე აღარასოდეს მოგიქცევით. როგორც უწინ, ისე აღარ ვცელქობდით და ტანიაც წყალს აღარ ეკარებოდა.

დედამ თითქოს ხელი ჩაიჭინა ჩვენზე, მაგრამ ერთხელ გვითხრა:

— აღარ მოგებზრდათ ეგ თევზაობა? იქნებ შეგეცვენათ?

ჩვენც შევისვენეთ, მაგრამ ეს შესვენება იძულებითი იყო.

ერთხელ დილით ჩვენთან ბრიგადირი ძია ეგორი მოვიდა და მითხრა:

— მიხასეკ, შენი დახმარება მჭირდება!

— რა დახმარება? — გამიკვირდა მე.

— ნუ გეშინია, — დამამშვიდა ბრიგადირმა. — აი, რაშია საქმე. ხომ ხედავ, წელს როგორი პაპანაქებაა! ბალახი სულ გადახმა. რა ვაჭამოთ საქონელს? შენ როგორ ფიქრობ?

— აბა მე რა ვიცი! ამაზე არასოდეს მიფიქრია.

— არის დადგენილება, საკვები ხის
ნორჩი ტოტებისაგან დამზადდეს.
თხმელის ჭალა ხომ იცი, აი, ყოლოც
რომ ხარობს?

— ბიტენკის იქით?

— ჰო. ასე რომ, თავი მოუყარე
შენს ტოლ-ამხანაგებს და დაგვე-
ხმარეთ, სერიოზული ბიჭი ხარ,
მჯერა, არ გვიღალატებ.

მეგობრები დამეთანხმნენ, მა-
რტო ვალოდია შეყოვნდა ცოტა,
კეფა მოიქეჯა და თქვა:

— მშვიდობით, არდადეგებო!

— რა სისულელეს როშავ! —
შევარცხვინეთ ჩვენ, — დიდხანს
ხომ არ გაგრძელდება, დახმარებაა
საჭირო. ძია ეგორმა თქვა, ქალაქი-
დან შეფებიც ჩამოვლენ დასახმა-
რებლადო.

როცა დილაადრიან ბიჭებმა გა-
მომიარეს, მე უკვე მზად ვიყავი
— სპორტულად ჩაცმული, ის იყო
ნაჯახიც ავიღე და ამ დროს აივა-
ნზე ტანია გამოვიდა.


— მეც მოვდივარ! — გაისმა
მისი წკრილა ხმა.

— გოგოები არ მიგვყავს! — ვუ-
თხარი მე, შემეშინდა კიდევ რაიმე
ხიფათს არ გადაეკიდოს-მეთქი.

— იქნებ გგონიათ, თქვენზე
უარესად ვიმუშავებ?

რა გვექნა, წავიყვანეთ. ჭალის-
კენ გავემართეთ, დაბლობში დავე-
შვით და დავეინახეთ, რომ მდინარე-
ზე გადებულ თვითნაკეთ ხიდზე
თითო-თითოდ ფრთხილად გადა-
დიოდნენ ადამიანები.

ვუცდიდით, როდის მოაღწევდა
ჩვენი რიგი. ამ დროს ძია ეგორი





მოგვიახლოვდა.

— ყოჩაღ! — შეგვაქო. ტანია რომ დაინახა, დასძინა: — კარგია, გონა რომ მოგიყვანიათ. მძიმე სა- მუშაო არ არის, არ დაიღლება, ჩვენ კი მისი დახმარება დაგვჭი- რდება. მამაკაცები და ყმაწვილე- ბი ხეებსა და ბუჩქებს გაჩეხავენ. ქალები და გოგონები ტოტებს გააცლიან. დარწმუნებული ვარ, ჩვენი კოლმეურნეობა უსაკებოდ არ დარჩება! — გაგვიღიმა და აღერსიანად შემოგვხედა.

როგორც იქნა, გადავედით ხი- ღზე, თან ჩემს წინ მიმავალ ტა- ნიას თვალს არ ვაცილებდი, — წინ იყურე, თავბრუ არ დაგეხვეს- მეთქი, — ვაფრთხილებდი. უკან ძია ეგორი მოგვდევდა.

როცა ნაპირზე გავედით, მხრე- ბზე ხელი მომხვია და მითხრა:

— იცი, მიხასეკ, ერთი ომის- დროინდელი ამბავი გამახსენდა. სმოლენშინაში ვიყავით მაშინ, მე- გობრებთან ერთად პატარა მდინა- რეზე გადავდიოდით, სოფლიდან გერმანელები უნდა გამოგვერეკა. მაშინ სამშობლოს დამპყრობელ- თაგან ვიცავდით, ახლა კი, მშვიდო- ბიან დროს, კოლმეურნეობას ვეხ- მარებით.

ძია ეგორმა უფროსკლასელი ბი- ტებისაგან მოსწავლეთა ბრიგადა ჩამოაყალიბა. ჩვენს ბრიგადას ხუთი ვოგო და სამი ბიჭი დაემატა. ბრიგადირად პეტია აირჩიეს. ძია ეგორს არავითარი გეგმა არ მოუ- ცია, უბრალოდ, გვთხოვა, შეძლე- ბისდაგვარად გვემუშავა. როცა ბრიგადები ჭალაში მიმოიფანტნენ, ნაჯახები ახმაურდა. ტანია და გო- გოები მსხვილ ტოტებს ცალკე ყრიდნენ, ნაზ რტოებს კი დანით აცილიდნენ.

გოგოებს ერთი მხრიდან მე მიეუ- ჩეკი, მეორედან ვალოდია და პეტია. დანით რტოების ჭრა ძნელი გამოდ- გა, ამიტომ მათ ხელით ვამტვრე- დით. რამდენიმე ხნის შემდეგ საშა, ვიტია და გენა შევეცალეთ. ახლა ისინი ეხმარებოდნენ გოგოებს. მან- ქანა მოვიდა და ჩვენ ფიწვლებით ძა- რაში ჩავყარეთ ტოტები.

— სად უნდა დამზადონ საკვე-

ბი? — შევეკითხე ძია ეგორს, რო- მელიც დატვირთვას ხელმძღვანელო- ბდა.

— აი, იმ გორაკზე. ხედავ? საკე- პი მანქანა დგას იქ.

— შეიძლება ვნახოთ, როგორ კე- პავენ ტოტებს? — შევეხვეწე ძია ეგორს.

— როგორ არა! — ნება დამრო- მან. — მთელ ბრიგადას შეუძლია სანახავად წასვლა, ალბათ ყველას გაინტერესებთ, თან დაისვენებთ კი- დეც. ოღონდ დიდხანს ნუ დარჩე- ბით.

გავეშურეთ საკები მანქანისაკენ. იქვე ორი ტრაქტორი გუგუნებდა. დიდი, გრძელი ორმო ამოეთხარათ და ნახევრამდე ამოევსოთ დაკეპილი ბალახით. ორმო ცელოფანის ფურ- ცლებით დაფარათ. საკები მანქანა ტოტებს ანაკუჭებდა. ქარი უბერავ- და და ფოთლებს გროვისაგან მო- შორებით აფენდა, დაქუცმაცებული ტოტები კი ორმოში იყრებოდა. ტრა- ქტორები მწვანე მასას ტყეპნიდ- ნენ, საკებ მანქანასთან კი მეორე მხრიდან ტოტებით დატვირთული ახალი მანქანები მიდიოდნენ. მიშა ბულახი. ზინაიდა ბაულინა, სოფიო მელანოვიჩი ფიწვით ტოტებს საკებ მანქანაში ყრიდნენ. ორმოში სულ ახალ-ახალი საკვები იყრებოდა. მა- გრამ უცებ საკები მანქანა აგრუ- ხუნდა და ძრავა ჩაქრა. კაბინიდან ახალგაზრდა ვალერი მაცკელი გად- მოხტა. ის ჯარიდან შემოდგომაზე ჩამოვიდა და მექანიზატორად დაიწ- ყო მუშაობა. ვალერი მანქანაზე აძვ- რა, პატარა სარკმელი გამოაღო და საკებ დანებს შორის გაჩხერილი მსხვილი ტოტები გამოიღო. ისევ ამუშავდა მანქანა და ისევ აგუგუნ- დნენ ტრაქტორები.

ცოტა ხანს კიდევ ვუყურეთ, შემ- დეგ კი ჭალისაკენ გავემართეთ და მუშაობა განვაგრძეთ. კოლმეურნეო- ბის მძღოლები ძლივს ასწრებდნენ ჩვენი ბრიგადებიდან ტოტების გა- დატანას. შემდეგ პატარა ჭალაში, ორმოსთან ახლოს გავედით სამუ- შაოდ. ის ორმოც მალე აივსო.

მამაკაცებმა და ქალებმა ცელო- ფანის საფარი დაჭიმეს, ზემოდან ტორფი დაადეს. ჩვენც ვეხმარებო-

დით. მერე, როცა დასჭირდებოდა, ტორფს ჩამოყრიან და საკები მანქანა იქნება.

ათი დღე ვიარეთ საკოლმეურნეო მინდორში, მაგრამ არ დავდლილ- ვართ. მერე კი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ მიტროფანოვი- ჩმა ჭვითხრა: „გეყოფათ, თქვენი გეგმა უკვე შეასრულეთო“.

გვიან შემოდგომით, როცა ჩვენ უკვე ჩვენს მეშვიდე „ბ“ კლასში ვსწავლობდით, მინდვრებიდან კი უკანასკნელი კარტოფილი აიღეს და ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუ- შაო მოთავდა, რაილმასკომის თავ- მჯდომარემ კოლმეურნეობის კრება- ზე კარგი მუშაობისათვის ყველა კოლმეურნეს და ჩვენც მადლობა გამოგვიცხადა. განსაკუთრებით გაუ- სვა ხაზი ზამთრის საკვების დამზა- დებაში ჩვენს მიერ შეტანილ წვლილს: „ყოჩაღ! ჩვენი კოლმეურ- ნეობა რაიონში საკვების დამზადება- ში რომ პირველ ადგილზე გავიდა, ამაში თქვენი წვლილიც არის“. ჩვენ, სამ განუყრელ მეგობარს — პეტი- ას, ვალოდიას და მე — ხელიც კი ჩამოგვართვა.

კრება დამთავრდა. მე ვასილ მიტ- როფანოვიჩთან მივედი და ვთხოვე, მადლობის წერილი გაეგზავნათ ტა- ნიას სკოლაში.

ათი დღის შემდეგ ტანიას წერი- ლი მოვიდა.

— ძალიან ველავდი, — მწერდა ის, — როცა დირექტორმა თავის კაბინეტში გამომიძახა და ყველა მა- სწავლებლის წინაშე მუყაითი შრო- მისათვის დიდი მადლობა გამომი- ცხადა კოლმეურნეობის სახელით.

როცა თავისუფალი თემის წერა დაგვაგაღეს, მე ჩვენი ბრიგადის მუ- შაობაზე დავწერე.

მასწავლებელმა ეგვენია მიხაილო- ვნამ ჩემი თხზულება კლასის წინა- შე საჯაროდ წაიკითხა. ვიცი, არც ისე დიდი საქმე გავაკეთე. ვმუშაო- ბდი, როგორც ყველა. რისთვის უნ- და შემაქონ? მაგრამ გულახდილად გეტყვი: სასიამოვნოა ქების მოსმე- ნა მასწავლებლისაგან და ტოლ-ამ- ხანაგებისაგან...“

თარგმნა

ნანა შავალანიშვილია

მეკონიჭის



ხატური

საუნჯე

სომ გიპატრონეთ

სომ გიპატრონეთ, სამგორო,
 სომ მოვიხადეთ ვალია,
 საუკუნობით მწყურვალსა
 დაგაღვივინეთ წყალია.
 ტრაქტორით გამოგაღვიძეთ,
 მკერდზე გაგავლეთ კვალია,
 ვახებით მოგრთეთ, მოგკაზმეთ,
 როგორც ლამაზი ქალია.
 სიცხით გადამწვარ შენს უბეს
 ვასხურეთ ივრის წყალია,
 ვენახი ვენახს მოვებით,
 ჰაერი მაჭრით მთვრალია.
 ბელღებში პური დახვავდა,
 რა კარგი მოსავალია!
 შრომა და გარჯა დაფასდა,
 ხარობს კაცი და ქალია,
 აყვავებული სამგორი
 დღეს მართლაც ნატვრისთვალა.

მთქმელი — გიორგი მარცვალაშვილი,
 ჩამწერი — გოჩა რაზიკაშვილი,
 დღეშეთი, მადაროსკარის საშუალო
 სკოლა, X კლასი.

გულქვა მეზატრონა

ფეხლად ასეთი წესი ყოფილა:
 გლეხკაცი მეზატრონისაგან აიღებდა
 მიწას სანადელოდ, დაამუშავებდა
 და შემოდგომაზე მოსავლის გარკვე-
 ულ ნაწილს მიწის პატრონს მის-
 ცემდა.

ამ წესის თანახმად, სოფელ თამა-
 კონში მცხოვრები ნიკა ფაცაცია თა-
 ვად ბეჟა დგებუაძეს ყოველწლიუ-
 რად აძლევდა სამას კილო სიმინდს.
 რამდენიმე წლის შემდეგ ნიას უფ-
 როსი შვილი გამოეყო, ცალკე კო-
 მლად დასახლდა. ბეჟა დგებუაძემ
 ახლა სამასი კილო სიმინდი ნიკას
 შეილსაც მოსთხოვა. ნიკამ შეუთვა-
 ლა: მამა-შვილს სანადელო მიწა
 ახლაც იმდენივე გვაქვს, რაც გაყო-
 ფამდე გვქონდა და ორმაგი რატომ
 უნდა მოგცეთო?! ბატონი მაინც არ
 მოეშვა და დაუწყო შევიწროება. ნი-
 კამ დაჩაგვრა არ მოუთმინა და ერ-
 თხელ, ტეხურის ხიდზე მიმავალი
 რომ დაინახა, ესროლა თოფი და მო-
 კლა. მეზატრონის გვამიც და მი-
 სი ბოხობიც წყალმა წაიღო. ხალ-
 ხმა ეს ამბავი ასე გალექსა:

ნიკას სიმინდს რად დახარბდი,
 დგებუაძევ, თავადო?
 ქულში თავი არა გქონდა,
 ქული გქონდა თავადო!
 ის ბოხობი შავი ქულიც
 მღვრიე წყალმა წარგტაცა,
 იმ ქვეყნადაც შავად მიხვალ,
 შავად იყავ აქაცა.

მთქმელი — ინილორა კობახიძე
 (88 წლისა),
 ჩამწერი — ქეთევან კობახიძე,
 გეგეჭკორი, მე-2 საშუალო სკოლა,
 X კლასი.

მოსწრაპული პასუხი

ერთი ქართველი კაცი როგორღაც
 უცხო ქვეყანაში მოხვდა. სამშობ-
 ლოში აღარ დაბრუნდა, იქ ცხოვ-
 რობდა. ერთხელ ეს კაცი ტყეში მი-
 დიოდა შეშაზე. ხევში მელია და-
 ინახა: ცალფეხმოგლეჯილი და გა-
 ძვალტყავებული ძლივსლა მილას-
 ლასებდა.

— ვაი, შე საცოდავო, ეგ რა მო-
 გსვლია, რას დამგვანებინარ! — ჩა-
 სძახა კაცმა.

— უსამშობლოო კაცს კიდევ ვკო-
 ბივარო! — უპასუხა მელამ.

მთქმელი — სალომე ჩოქარი,
 ჩამწერი — თეიმურ წიკლაური,
 გარდაბანი, სამგორის საშუალო სკოლა,
 VIII კლასი.

ადამიანი ფასდება

ადამიანი ფასდება
 სწავლით და განათლებითა,
 როგორც მძლე ხარი ქედით და
 როგორც ფრინველი — ფრთებითა.
 ფასდება სინდის-ნამუსით,
 პატიოსნებით, ზრდილობით,
 პირდაპირობით, სისწორით,
 სიმართლით, გულახდილობით,
 შრომით, ღვაწლით და გმირობით
 და არა გვარიშვილობით.

მთქმელი — კალისტინა
 მაზარაშვილი (72 წლისა),
 ჩამწერი — ნანა მაზარაშვილი,
 საჩხერე, მერჯვის საშუალო სკოლა,
 VII კლასი.

რატომ დაერქვა ინაშაური?


ინაშაური ვანის რაიონის ერთ-
 ერთი მთავორიანი სოფელია. წინათ
 სხვა სახელი რქმევია. იქ ბაზრობა
 იმართებოდა თურმე. ერთხელ უც-
 ხო ქვეყნიდან ჩამოსული ვაჭარი
 ასულა იმ სოფელში და სხვა საქო-
 ნელთან ერთად საღებავ „ინას“ გა-
 ყიდვასაც შესდგომია. ერთ შაურად
 ყიღდა. ზოგს ეს ფასი ეძვირა თუ-
 რმე და გაკვირვებით კითხულობდა
 „ინა — შაური?“

ამის შემდეგ სოფელს ინაშაური
 დარქმევია.

მთქმელი — ვარლამ მშაპანაძე,
 ჩამწერი — მარიკა ჯაჭანაძე,
 ვანი, ინაშაურის რვაწლიანი სკოლა,
 VIII კლასი.

მოსამართლე და ღარიბი გლეხი

ეს ამბავი ძველ დროში მოხდა.
 მოსამართლის მეზობლად ღარიბი
 გლეხი ცხოვრობდა. მოსამართლე
 გლეხისაგან ხშირად თხოულობდა
 ცულს. ისე მოაბეზრა თავი, იძუ-
 ლებული გახდა, ცული ეჩუქებინ-
 ა. გავიდა ხანი. ერთხელ ამ გლე-
 ხსა და იქვე მცხოვრებ მემამულეს
 ჩხუბი მოუვიდათ. გაიმართა სასა-
 მართლო. საქმეს იმ გლეხის მეზო-
 ბელი არჩევდა. გლეხმა შეატყო: მო-



საქართველოს მწერთა კავშირი

სამართლე მდიდრისაკენ იხრებოდა. შესძახა: ისე გასჭერ, ცული როგორც სჭრისო. მოსამართლემ უპასუხა: ცულის ტარი დეკულმა გასვარა და ხელს ველარ ვკიდებო. ამით აგრძობინა: მემამულემ ქრთამად დეკული მომცა და საქმესაც მის სასარგებლოდ გადავწყვეტო.

მოქმელი — სალომე ჩოქური (78 წლისა),
ჩამწერი — თემურ წიკლაური, გარდაბანი, სამგორის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

შორეული ქერჩის მხარე

სვავები რომ თავს დაგვეხსნენ, შორეული ქერჩის მხარეც, მაშინ ჭაბუკი ვიყავი, უცებ ტანი ავიყარე.

ხელთ შაშხანა ავიღე და დასაცავად მოგაშურე, შავ ზღვასა და ქერჩის ყურეს ჩემი სისხლი დავასხურე.

დამპყრობელის ტყვია მომხვდა, გამარჯვებით ვერ ვიხარე. შორეული ქერჩის მხარეც, მანდ სამარე გამითხარეს, ველარ ვნახე დედა, მამა და ვერც ჩემი ტურფა მხარე.

მოქმელი — ანაბა თათრუშვილი, ჩამწერი — მანა ხვედელიძე, ყვარელი, ჭიკაძის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

რატომ დაერქვა თარჯოლა?

ის მიდამოები, სადაც ახლა თერჯოლაა გაშენებული, წინათ ტყით ყოფილა დაფარული. ტურები ჩხავილით იკლებდნენ თურმე იქაურობას. ამიტომ ხალხი „სატურის“ ეძახდა.

იმ პერიოდში საქართველოს ესპანელი მოგზაური სტუმრები. მას

იმ მხარეშიც გაუვლია და ასულა იქ, სადაც ახლა პიონერთა ბანაკი „საპოვნელაა“. გადმოუხედავს და აღფრთოვანებით წამოუძახა: „თერჯოლა!“ ეს ესპანური სიტყვა „ლამაზ მხარეს“ ნიშნავს. მას შემდეგ სატურის თერჯოლა დაერქვა.

მოქმელი — იოსებ ხუციშვილი, ჩამწერი — ელზა ხუციშვილი, თერჯოლა, მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ნეტავ მაქცია ჩიტადა

მწადია ზესტაფონიდან თერჯოლისაკენ ცქერაო, იქ მეგობარი მეგულის, ჭაბუკი ქორისფერაო.

ნეტავ, მაქცია ჩიტადა, ანამც ვიცოდე ფრენაო, ხალისით მოვფრინდებოდი, სად იქნებოდი შენაო.

მოქმელი — იოსებ ხუციშვილი, ჩამწერი — ელზა ხუციშვილი, თერჯოლა, მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

სადღებრძელი

გაგიმარჯოს, გადღებრძელოს, პური, ღვინო დაგიძველოს!

ავიმაღლდეს სახლის ჭერი აივნიან-აკენიანა, შვიდი შვილი ვაჟი მოგცეს, შვიდი გოგოც თვალცქირილა.

პატარძლები მოგიმრავლდეს, მშრომელები, ხელგამარჯენი, სიძეებიც მოგიმრავლდეს, საქართველოს მებაზრენი.

მოქმელი — შოთა ბარბაქაძე, ჩამწერი — თეა ბარბაქაძე, ზესტაფონი, ქვედა საქარის საშუალო სკოლა, IV კლასი.

● რასაც ვერ შეწვდებით, ნუ შეწოდებთ.

● ბერიკაცის დარგული ხის ჩრდილში შვილები და შვილიშვილები ისვენებენო.

● ზამთრის მზე ყვავილს ვერ მოყვანსო.

● კაცი დიდთან დიდი უნდა იყოს, პატარასთან — პატარაო.

● რასაც სხვისგან ვერ აიტან, ნურც შენ უზამ სხვასაო, თორემ შენი ავკაცობა გარდაგხდება თავსაო.

● ჯოხს რომ აიღებენ, ქურდი კატა დაიმალებაო.

● შვილი გაზარდე მშრომელი, იქნება შენი მომვლელი.

● ეპ, ზარმაცო, არ გრცხვენია? რა მითხარი ესო: — საქმე ხო დავი არ არის, ტყეში გაიქცესო!

● ცუდი მეზობლისგან პურის სესხებას უვანშმოდ დაწოლა სჯობიაო.

● ქორს ყვავით ვერ შეაშინებო.

● კარგი სტუმრის მოსვლა კერასაც გაუხარდებაო.

● კარგმა შვილმა ოჯახიც ასახელა და სოფელიცო.

● ბევრი ღვინო არ დალიო, მამაჩემის ცხონებასო, ღვინო ერთბაშად წაგართმევს გონებას და ქონებასო.

● ყანის კარგი მოზიარე მოყვარეს უტოლდებაო.

მოქმელი — თემარ ძურახაძე-მინი, ჩამწერი — ლენა ჩანჩიბაძე, მახარაძე, კონჭკათის საშუალო სკოლა, X კლასი.

განყოფილებას ხელმძღვანელობს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ შამანაძე.



საქართველოს
სსრკ
ნათიანი
ნიბნი

მადე

კვერნისებრთა ოჯახის ეს საინტერესო და იშვიათი წარმომადგენელი გადაშენების საფრთხის წინაშე დგას. იგი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილო ამერიკასა და აფრიკაში, ირანში. საბჭოთა კავშირის ფარგლებში ბინადრობს: შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში, შუა აზიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში. საქართველოში მრავალ ადგილას გვხვდება ერთეულების სახით. შედარებით უფრო მეტია წავი



მტკვრის, ჩაქვისწყლისა და აკარისწყლის ხეობებში, სუფსის, რიონის, ალაზნისა და ივრის კალეებში.

ცხოვრების ნირით წავი წყალთანაა დაკავშირებული, იქ პოულობს იგი საკვებსა და თავშესაფარს, ირჩევს წმინდა წყლიან მდინარეებს კლდოვანი ნაპირებითა და ჩქერებით, რომლებშიც ბლომად მოიპოვება მისი საყვარელი თევზები, კიბოსნაირები, ამფიბიები. წავი თავს აფარებს იქ, სადაც მდინარეს ჩახერგილი, მიუღვამელი ქვიანი ნაპირი აქვს და ჩიხებსა და მორევებს ქმნის. ასეთ ადგილებში მეთი სიმყუდროვეა და წავიც სოროს იქ იკეთებს, იწყობს თავისებურ დასახვეწებულ ბაქნებს. თუ მდინარე იყინება, წავი ადგილსამყოფელს იცვლის, სხვა წყალსატევში გადადის. ასეთ დროს იგი მდინარის მოშორებითაც შეიძლება შეგვხვდეს, წავი საუკეთესოდ ცურავს და ყვინთავს, მიწაზე კი სწრაფად ვერ დადის, რადგან მუცელი მიწას ეხება. ამიტომაც არის, რომ ერთი წყალსატევიდან მეორეში გადასვლისას წავი თოვლსა და ლამაზე ტოვებს უწყვეტ ღრმა კვალს.

წავის სხეულის სიგრძე 75



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სმ-მდეა, კულისა — 50 სმ, წონა — 10 კგ-მდე. სხეულის შეფერილობა ზედა მხარეზე მუქი ყავისფერია, ქვედა მხარეზე — მოვერცხლისფრო-თეთრი. მისი ბეწვი ძვირფასად არის მიჩნეული.

საქართველოს ბუნებაში წავს კონკურენტები თითქმის არა ჰყავს, თუ არ ჩავთვლით ევროპულ წაულას და ალაზნის კალაში ახლად შემოჭრილ ენოტს, ანკარებსა და წყლის ვირთაგვებს, რომლებიც ხშირად ბაყაყებით, თევზებითა და კიბორჩხალებით იკვებებიან. არც ბუნებრივი მტერი ჰყავს წავს ბევრი. ისე, რომ მისი რიცხოვნობის შემცირე-

ბის ძირითადი მიზეზი, ძვირფასი ბეწვის მოსაპოვებლად მასზე ნადირობა და ბრაკონიერობაა. წავი ხაფანგშიც ადვილად ებმება; ამავე დროს, მას მაკეობაც და მშობიარობაც ხშირად ზამთარში უწევს, როცა მდინარეები გაყინულია, რის გამოც შთამომავლობა ილუბება.

წავი ადვილად ეჩვევა ადამიანს და ხათანადო ხელშეწყობით ტყეობაში მრავლდება კიდევ, მაგრამ დიდხანს ვერ ცოცხლობს. საქართველოში წავზე ნადირობა კანონით აკრძალულია განუხაზღვრელი დროით.

გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსი ოტო ფონ გერიკე დაიბადა 1602 წლის 20 ნოემბერს ქალაქ მაგდებურგში და გარდაიცვალა 1686 წლის 11 მაისს ჰამბურგში.

გერიკე ბუნების დიდი მკვლევარ-

ვაკუუმის მისეულმა გამოკვლევებმა მთელი რევოლუცია მოახდინა ფიზიკურ აზროვნებაში და წინ აღუდგა შუასაუკუნოებრივ წარმოდგენას სამყაროზე.

გერიკემ შექმნა პირველი ელექ-

1649 წლის სექტემბრის საღამო იყო. ელბის მარცხენა სანაპიროზე, ტორგაუდან რიზასკენ მიმავალ შარაგზაზე გამალებით მიჰქროდა ოთხცხენიანი ეტლი. თითქოს ცხენებიც გრძნობდნენ, რომ მგზავრების სი-

პალმარ ბუხანი

მხატვარი
დ. ზარაფიშვილი
მ ო თ ხ რ ო ბ ა



რია. ვაკუუმის არსებობის დასამტკიცებლად მან შექმნა ჰაერტუმბო, მთელი რიგი ცდებით დაამტკიცა ჰაერის წნევის არსებობა, დაადგინა მისი სიმკვრივე, წონადობა, წვის შენარჩუნების უნარი, ჰაერში წყლის ორთქლის არსებობა, აღმოაჩინა ელექტრული განზიდვის მოვლენები.

ტრული მანქანა, პნევმატური თოფი, გამოიგონა წყლის ბარომეტრი და გამოიყენა იგი ამინდის გამოსაცნობად.

ოტო ფონ გერიკეს დიდი დამსახურება მიუძღვის, აგრეთვე, როგორც საუკეთესო ინჟინერს და ცინესიმაგრეთა ხუროთმოძღვარს.

ცოცხლე ბეწვზე ეკიდა და მთელი ძალით ეწეოდნენ სადავებს. არც მეეტლე ინდობდა ოფლში გახვითქულ ცხენებს, თან დროდადრო უკან იყურებოდა, სადაც ტყის უკუნეთ სიბნელეში მღვერები არც კი ჩანდნენ.

— ეს ღვთის განგებაა, — ხვნეშით



წარმოთქვა მსუქანმა მგზავრმა, რომელიც თავის თანამგზავრზე უფროსი ჩანდა. — რაღა თქმა უნდა, თქვენი უღმერთო საქმეების გამო გვატყდება თავს მამაზეციერის რისხვა.

მის პირდაპირ მჯდომ საშუალო ტანის, მოკლეწვერიან შუახნის კაცს — ეტლის პატრონს — სიბრაზისაგან თვალები აენთო;

— ღვთის რისხვაო, ამბობთ? თქვენო უწმინდესობავ, დაუფიქრდით თქვენს სიტყვებს!

მეორეს, შიშისაგან მთლად სახედაბრეცილს, მძიმედ აღმოხდა:

— განგება აღსრულდება ჩვენზეც და იმ მსახურზეც, ცხენებს რომ მიურეკება! აღსასრული ახლოვდება... და მალე ჯოჯოხეთში ამოვყოფთ თავს!

— თქვენო უწმინდესობავ, მე არ დამიძალდება თქვენთვის წამოსვლა. თქვენ გუშინაც იცოდით, ვინ ვიყავი.

ღვთისმსახურმა ჯვარი შეიტრიალა მკერდზე და ცხენების ფლოქვებისა და ეტლის საერთო ხმაურს შეუერთა თავისი სასოწარკვეთილი ხმა:

და, რომელიც მგზავრებს კოფოსგან ჰყოფდა, სწრაფად მოავლო თვალი გზის ორივე მხარეს გამწკრივებულ ბორცვებს და უმწეო მეეტლეს უბრძანა, გზიდან გადაეხვია და ბუჩქებში მიმალულიყო. მას, ოტო ფონ გერიკეს, ფიზიკოსს და ქალაქ მაგდებურგის ბიურგერმაისტერს, პირველად როდი ჰქონდა საქმე ხელაღებულ ყაჩაღებთან და გზასაცდენილ ჯარისკაცებთან. მაგრამ ახლა, როცა კაიზერის კარზე მიემგზავრებოდა და ცალკე ქალაქის დარდი მიჰყვებოდა, ცალკე კიდეც თავისი ძვირფასი ფიზიკური ხელსაწყოებისა, რომლებიც თან მიჰქონდა, ღირდა, ერთხელ კიდეც მთელი გამბედაობა მოეკრიბა.

ქვებსა და მუხლებამდე ჯაგნარში ეტლი ამაოდ ცდილობდა გზა გაეკვლია. ცხენებმა მალე შეანელეს სვლა და ბოლოს სულ გაჩერდნენ.

ორი-სამი საათი იქნებოდა ამ ამბიდან გასული, რომ პატარა ციხე-სიმაგრეში მოგუზგუზე ბუხარს უგუნებოდ მიუახლოვდა დანიელი, იმ ყაჩაღების მარჯვენა ხელი, რომ-



— გუშინ შეშლილად გთვლიდით, დღევანდელი დისპუტის შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ თქვენს სულს ეშმაკი დაუფლებია!

— ჭეშმარიტება დაუფლება, თქვენო უწმინდესობავ!

— მკრეხელობაა, ყოვლისშემძლე ღმერთზე ეცადო... — წამოიწყო ღვთისმსახურმა, მაგრამ სულ ახლოს ტყვიამ გაიზუზუნა და სიტყვა პირზე შეაშრა.

სანამ ღვთისმსახური ლოცვას ბუტბუტებდა, გერიკემ გადასწია ფარ-

ლებმაც ის ეტლი თავის მგზავრებიანად შეიპყრეს.

— რა ვუყოთ, მეთაურო? ბიჭები თავის შექცევის მოლოდინში არიან, თავისას ითხოვენ. ჩამოვარჩოთ თუ ტბაში ჩავახრჩოთ ის თხაწვერა ჯადოქარი? იქნებ, მართლა გგონია, მაგ ნაჯღაბნს რომ კითხულობ, ნაგვიდან ოქროს გამოყვანაც შეეძლოს?

— არც ოქროსი და არც ჯადოსნური ნექტარისა, — შეეპასუხა მას სრულიად ახალგაზრდა მამაკაცი,

რომლის ულაზათო ჩაცმულობა სწორად არ ეთანხმებოდა შინის არისტოკრატიული სახის ნაკეთებს. — დალახვროს ეშმაკმა, ვაკუუმი შეუქმნია! — წამოიძახა მან.

დანიელმა მიტაცებულ სამგზავრო კალათას ფეხი წაჰკრა და შიგ ჩაწყობილ სპილენძ-თუნუქს ჟღარუნის აუტყხა:

— ეს არის ვაკუუმი?

— ვაკუუმი არის არაფერი, ცარიელი ადგილი, აბსოლუტურად უპაერო სივრცე, — იყო პასუხი.

დანიელმა მუშტები მოიმარჯვა და თავისი მაღალყელიანი ჩექმებით კარებისაკენ წაფრატუნდა იმ გადაწყვეტილებით, რომ თვითონ, თავის ნებაზე გასწორებოდა ტყვეებს.

— ამ მაგდებურგელ ფიზიკოსს ჰყოფნის გამბედაობა და ირწმუნება, რომ შეუძლია განახორციელოს ის, რაც ჯერ ვერავინ შესძლო მსოფლიოში! — უნებურად გათქვა თავისი ფიქრი ყაჩაღების მეთაურმა და უფრო ღრმად ჩაეფლო გერიკეს ნაწერებში.

დანიელმა ხელი ჩაიქნია, მაგრამ უმალ დაინტერესდა, როცა თავისი თანამოძმის მიერ ხმამაღლა წაკითხულ სიტყვებს მოჰკრა ყური:

„... რომ ვარსკვლავებს ზემოთ არის ვაკუუმი და არა ციური სამფლობელო ღვთის ტახტით და რომ ვაკუუმის შექმნა შეიძლება ხელოვნურად ჩემი ჰაერტუმბოსა და რესივერის მეშვეობით“.

— დალახვროს ეშმაკმა, — განაგრძობდა ყაჩაღების მეთაური, — სწორედ ამაზე მსჯელობენ და კამათობენ ყველაზე უფრო განსწავლული მაგისტრები!

დანიელი კი არ ცხრებოდა.

— ერთი სიტყვით, სუცესის თქმისა არ იყოს, ნამდვილი ეშმაკის კერძია! სომ არაფერი გამეგება ზიარების, ქორალების და ამის მაგვარი სისულელეებისა, მაგრამ შავ მაგიაში გარკვეული ერეტიკოსები უფრო გაუგებარნი არიან ჩემთვის, ვიდრე ბერ-მონაზონი და კარდინალი, ერთად აღებული. აჭიანებენ ქვეყანას და სხვა არაფერი. ერთი

სიტყვით, ჩამოვასრჩოთ — მორჩა და გათავდა!

— მანამდე კი ახსნა-განმარტებას მოვისმენ მისგან! — ბრძანა ყაჩაღების მეთაურმა და დიდი ხნის მივიწყებული სიზმარივით გაანახსენდა ომის განახლების გამო შეწყვეტილი მეცადინეობა მათემატიკაში.



ორჯერ ჩაინავლა ცეცხლი ღუმელში. ოტო ფონ გერიკე და ყაჩაღების მეთაური კი საუბარში იყვნენ გართული. უცებ ოთახში დანივლი შემოვიდა. უკან სამი თავზე ხელაღებული ყაჩაღი მოჰყვებოდა. წინ მეეტლე გამოეგდოთ და მოითხოვდნენ, დროა, ამას და მის პატრონს ფეხის გულები ცეცხლზე მივუფიცხოთო.

ხელის აქნევით მოითხოვა სიჩუმე მეთაურმა. შემდეგ მდიდრულად მოვარაყებულნი სავარძლიდან წამოდგა და გერიკეს მიმართა:

— იცით თუ არა, მსგავსი ჰიპოთეზების გამო იყო, რომ ეკლესიის მამების მითითებით საჯაროდ დაწვეს ჯორდანო ბრუნო?!

— წმინდა მამები იმან შეაშინა, რომ ცნობილი ხდებოდა სიმართლე ბუნების, ცის, მიწისა და სამყაროს შესახებ, — მოჩვენებითი გულგრილობით შეეპასუხა გერიკე, სინამდვილეში კი იგი შეაშფოთა ნახვამი ყაჩაღის თავგასულობამ: — თქვენ ამბობთ, მამაზეციერი გვიგზავნის ქარიშხალსა და ჭექა-ქუხილს თავისი რისხვის გამოსახატავადო. მე კი ვიტყვოდი, რომ ავდარი სხვა არაფერია, თუ არა ბუნებრივი პროცესები, გამოწვეული ჰაერის წნევის ცვალებადობით. ჰაერს აქვს წონა. ჰაერი შეიძლება იყოს მძიმე ან მსუბუქი. სადაც არ არის ჰაერი, იქ სივრცე გაიშვიათებულია. ასეა, მაგალითად, ვარსკვლავებს იქით. ეს რომ აღიარონ, ეკლესიის გამგებლები ველარ იყოლიებენ მორწმუნეს მორჩილებაში. მათი გავლენა შესუსტდება. ამიტომ...

— ეს ადამიანი უარყოფს ციურ სამყოფელს, მეთაურო! — გამოიძლი

თავი ერთ-ერთმა ყაჩაღმა, რომელსაც ქამარზე მოპარული ოქროს ჯვარცმა გამოება, და ბიურგერმაისტერიც ფეხებთან დააფურთხა. ამასობაში მეორემ ხმალი დასცხო გაწყობილ ჰაერტუმბოსა და გრძელსახელურიან რკინის სამფეხას.

— მეთაურო, დროა, ამას და ამის მსახურს სატანა ვანუღევნოთ სულიდან! — დაიყვირა დანიელმა. — სამაგიეროდ ვცხონდებით. ზეცის კურთხევა კი ჩვენი ხელობის პატრონებისათვის არასდროს არ არის ზედმეტი.

გერიკეს ცივმა ოფლმა დაასხა. შეხედა ყაჩაღების ღვინით გაჟივებულ, უხეშ სახეებს, რომლებზედაც მხოლოდ დაუნდობლობა იკითხებოდა, და გაიფიქრა: „რას ნიშნავს ამათთვის ადამიანის სიცოცხლე? ჭეშმარიტებაზე გაცილებით ნაკლებს... რა ეშველება მაგდებურგს და ჩემს პროექტებს? ვინ აწარმოებს მოლაპარაკებას კაიზერთან? ვინ იზრუნებს მშიერ-მწყურვალეზე, ღარიბ-ღატაკებზე, მათ სამუშაოსა და თავშესაფარზე?“

— აქეთ მოიხედეთ! — შეჰყვირა ამ ფიქრებით შეგულიანებულმა გერიკემ ყაჩაღებს, — ეს არის ჩემი ტუმბო, ეს კი...

— საილენძის ბირთვია და სხვა არაფერი! — ჩამოართვა სიტყვა დანიელმა. — შიგ ფუტუროა. მიდით, მიდით, სწრაფად ჩაბერეთ და დაატ-

რიალეთ ჰომუნკულუსის ჯადოები (ჰომუნკულუსი-ლათ. კაცუნა; შუა საუკუნეების ალქიმიკოსთა წარმოდგენით, თითქოსდა შესაძლებელი იყო ამგვარი არსების ხელოვნურად მიღება). ამას ჯობს, ისევ ერთ ბოთლ არაყს შეულოცოთ, რომ რამდენიც არ უნდა ვწრუპოთ, სანმეული მაინც გამოულევვლად იყოს შიგ.

ყაჩაღებმა ხორხოცი ატყუნეს. გერიკემ კი განაცხადა:

— ჩემი თეზისების სისწორის დასამტკიცებლად მე ახლა მივიღებ ვაკუუმს, რომლის შესახებაც ირწმუნებიან, მისი მიღება არავის არ შეუძლია, რადგან ეს ღმერთს არ სურსო. ერთი მომეხმარე, ძმობილო!

ბიურგერმაისტერი და მისი მეეტლე საქმეს შეუდგნენ, ზევით-ქვევით ქაჩავდნენ ტუმბოს სახელურს, ამოწმებდნენ სიმკვრივეს და უმცირეს გაჩაჩუნებასაც კი მხედველობიდან არ უშვებდნენ.

— მეთაურო, ხომ არ გვაბრიყვებს ეს გაიძვერა! — ილანძლებოდა ერთი, — თუ ამან მართლა ის გააკეთა, რაც წმინდა სახარების მიერ მიუღებულა, მაშინ...

— მაშინ თავიდან ფეხებამდე ტყავი უნდა გავადროთ! — ჩაურთო დანიელმა და ვენეციური ღვინის ფიალა გაუქანა მეეტლეს. ლანძლვა-გინების, დაცინვისა და მუქარის ხმე-

ბი შეერია იარაღის სახიფათო უღარუნს.

მაგდებურგელები ტუმბვას განაგრძობდნენ. დგუშის წინააღმდეგობა იზრდებოდა, მათ კი ძალა ელეოდათ. ეს უკვე იმის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი იყო, რომ გაჩნდა ვაკუუმი. ამაში დასარწმუნებლად აღარ იყო საჭირო სპილენძის ფუყე ბირთვის დათვალიერება.

— მოდი აქ, შე მყვირალავ! — გადასძახა ბიურგერმაისტერმა დანიელს, რომელიც თავის მეთაურს რაღაცას ანიშნებდა.

— მე ახლა ამ წვერებცანცარას, ვირთხას რომ მიუგავს სახე, ბოლოს მოვუღებ! — დაიჭეპა დანიელმა და მუჯღუგუნების კვრით წინ გამოიჭრა.

იმავე წუთს გაისმა ტკაცანი, ისეთი მოულოდნელი და განმგმირავი, რომ გამოუცნობი შიშით შეპყრობილი ყაჩაღები უკან გასტნენ, შიშით გაფითრებულები და თევზებით დამუნჯებულები უნდობლად მიაშტერდნენ ჩაჭყლებილ სპილენძის ბირთვის, შემდეგ მხრების ჩეჩვით მისცვიდნენ მეთაურს, რომელსაც თავის მხრივ გაუჭირდა, სწორად დაეკავშირებინა განცდილი თავისი ცოდნისათვის. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გაოცებულმა წარმო-სთქვა:

— თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ ეს ჰაერის წნევით მოხდა?

— ნამდვილი ჯადოსნობაა, — გადაურჩრულა დანიელმა თავის კა-

ცებს. ყაჩაღებმა პირჯვარი გადაიწერეს და ისე მიეკრნენ ერთმანეთს, როგორც ბატკნები პირველი ჭექა-ქუხილის გაგონებაზე.

— მართალი ბრძანებაა, მეთაურო, სწორედ ჰაერმა მოიმოქმედა თავისი წნევის წყალობით, — დამოწმამას გერიკე, — სპილენძის ფუყე ბირთვი ცალ მხარეს გაბრტყელდა. გარე წნევამ აქ დაწოლისათვის საუკეთესო ზედაპირი ნახა.

— ბუნების ასეთი თვისება ჩვენთვის არ უსწავლებიათ, — აღიარა უიღბლო სტუდენტმა.

— სქოლასტიკოს სწავლულთა სისტემა საკმარისია სამყაროს იმგვარად შესაცნობად, როგორც ეს ბიბლიაშია აღწერილი, — მიუგომას გერიკემ. — ჩვენი შეგნება, შემოქმედი ვონება კი სულ სხვა პასუხს საჭიროებს იმ კითხვებზე, რომლებითაც ჩვენ ბუნებასა და სააქაოს მივმართავთ.

— ამით შენ ხომ ქარს ატან აქამდე არსებულ საუკეთესო სწავლულთა ნაზრევს? — ჰკითხა მეორემ.

— იქ, სადაც ფაქტები მეტყველებენ, ზედმეტია ჰიპოთეზები, — მტკიცედ განაცხადა მაგდებურგელმა ბიურგერმაისტერმა. — ვისაც საკუთარი თვალთ ნანახი მტკიცებანი არაფრად მიაჩნია, მასთან კამათიც არ ღირს. მას შეუძლია, არ შეიცვალოს წინასწარ შემუშავებული აზრი და თხუნელასავით სიბნელეში აკეთოს თავისი საქმე. — შემდეგ იგი დანიელს მიუბრუნდა და ეშმა-

კური ღიმილით ჰკითხა: — გგონია, რა მოხდება, ჩემი ტუმბო ამ კარის გასაღების ხერხელში რომ მოვათავსო?

— ნუ იზამთ ამას, ბატონო! — ვედრებით აღმოხდა ერთ ყაჩაღს, — თქვენი წყვეული ვაკუუმის ჯადოსნობით ყველანი ბაღლინჯოებით გავისრისებთ! — თან ისე შემოივლო თავზე ხელი, თითქოს გასკდომის ეშინიაო, — დაივიწყეთ, თუ ჩემი უვიცობით რამე გაწყენინეთ.

— ბიურგერმაისტერო, — მიმართა გერიკეს ყაჩაღების მეთაურმა, — არის ცხოვრებაში გაკვეთილები, რომლებსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ დაივიწყებ. მერწმუნეთ, თქვენს სახელს კიდევ გაისხენებენ. — ის დარწმუნებული იყო, რომ დაესწრო ექსპერიმენტს, რომელსაც შესწევდა ძალა, განედენა უვიცობა და ცრუმორწმუნეობა.

რიჭრაჟზე, როცა ზაფხულის მზემ ქვეყანას ნათელი მოჰფინა, ოტო ფონ გერიკეს ნება დართეს გზა განეგრძო. მას თან ახლდა ყაჩაღების მეთაური. ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან დანიელი შემოეგებათ. იგი თოფის სროლით მიესალმა მათ. შემდეგ თავი დახარა, რომ თაყვანი ეცა მისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელისა და გამოუცნობისათვის, რომელსაც ისეთნაირად მოეცვა მისი ვონება, როგორც შემპარავ ნათელს — ღამის წყვდიადი.

გერმანულიდან თარგმნა მამდა კოლუმა



საბა გიგავილი
საახალწლო
ნოგათი
შახვარა
ტყევი

ნორჩ მკითხველებს უთუოდ
კარგად ეხსოვებათ მსცოვანი

მწერლის შალვა გიგავილის
სახელი — მისი პატარ-პატარა

შალვა გიგავილი
საახალწლო
ნოგათი



საუმაწვილო მოთხრობები და
ნოველები კარგა ხანია იბეჭ-
დება ჩვენი ყურნალ-გაზეთთე-
ბის ფურცლებზე. ამ ნაწარმო-
ებებში მოზარდთა ცხოვრე-
ბა ახახული, მათი ერთი ნა-
წილი თქვენი პაპებისა და ბე-
ბიების თანატოლია. მეორე —
მამებისა და დედებისა, სხვებო
კი თქვენივე თანატოლები
გახლავთ.

ძნელია, ამ მოთხრობების
კითხვისას არ გაიზიარო მათი
პერსონაჟების კირი და ლხინი,
მწუხარება და სიხარული, შე-



უძლებელია, არ აღფრთოვან-
დე ამ კოკოკინა ბიჭებისა

სურსათი და გონივრული თევზჭერა

შეიძლება ყველამ არც იცოდეს, რომ თევზებს შორისაც არიან ქუჩები და გოლიათები.

ფილაპინების კუნძულებზე, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში და წყნარ ოკეანეს შორის, ბინადრობს ნამცეცა ტბის ღორჭო მისტიქთასი, რომლის სიგრძე 1-1,5 სანტიმეტრია. იგი ითვლება ყველაზე პატარა ცხოველად დედამიწის ტერისტეშიანებს შორის.



ღორჭო ბერბა

ქუჩა თევზები გვხვდება ევროპის, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წყლებში. შავ, აზოვისა და კასპიის ზღვებში ბინადრობს ღორჭო ბერბა, რომლის სიგრძე ძლივს აღწევს 3 სანტიმეტრს. ეს ყველაზე მცირე სერბელაინი ცხოველია ჩვენს ქვეყანაში.

პატარა თევზია ეკალაც. არალის ცხრა-ეკალას სიგრძე სულ რაღაც 5-6 სანტიმეტრია.

მცირე ზომის თევზებს განეკუთვნება გამბუზა. დედლი გამბუზის სიგრძე 6-ს, ხოლო მამლისა — 3,5 სმ-ს აღწევს. გამბუზიას სამშობლოა ჩრდილო ამერიკა. საქართველოში იგი შემოიყვანეს 1925

წელს, აქედან გავრცელდა აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, შუა აზიასა და სამხრეთ რუსეთში. ეს თევზი მასობრივად ანადგურებს მალარიის გადამტანი კოლოს მატლებს.

ნამდვილი გოლიათები არიან ხრტილოვანი თევზები — ზვიგენები. ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ რაიონებში და ნაწილობრივ ბარენცის ზღვაში გვხვდება ვეშაპისებრი ზვიგენი. მისი სიგრძე 15 მეტრს აღემატება, წონა კი 20 ტონამდეა. მიუხედავად ასეთი დიდი ზომისა, იგი უწყინარი, მშვიდობიანი ცხოველია, იკვებება ძირითადად პაწია თევზებითა და ზღვის წვრილი ორგანიზმებით.

ტროპიკულ ზღვებში კიდევ უფრო მსხვილი ზვიგენები ბინადრობენ.

გაჯანტები გვხვდება ზუთხისებრ თევზებშიაც. მებადურებს ხშირად დაუპერიათ ერთნახევარ ტონაზე მეტი წონის სვია: ერთ ტონაზე მეტს იწონის ამურის სვია, ეგრეთ წოდებული კალუჯა. 1930 წლის ივნისში ლადოგის ტბის სამხრეთ ნაწილში დაიჭირეს დედალი ზუთხი, რომლის სიგრძე იყო 265 სმ, ხოლო წონა — 128 კგ. ამ იშვიათი ეგზემპლარის ტყავი გადაეცა ლენინგრადის ზოოლოგიურ მუზეუმს.

ტროპიკული ამერიკის მდინარეებში ბინადრობს ერთ-ერთი უდიდესი ძვლოვანი თევზი — არაპაიმა. მისი სიგრძე 4 მეტრს აღწევს, წონა კი 150-200 კილოგრამს. ამ თევზის ხორცი ძალიან გემრიელია.

არალის ლოქო ხშირად ორ ცენტნერამდე იწონის. კასპიის ზღვის ლოქო 160 კილოგრამს აღწევს, მისი სიგრძე კი ზოგჯერ 5 მეტრს აღემატება.

აბა ვინ ფიქრებდა, რომ ქაშაყისებრთა შორის, რომელთაც პატარა ზომის თევზებად ვთვლით, თურმე ყოფილან გოლიათებიც. ასეთია, მაგალითად, ატლანტიკური ქაშაყი: მისი სიგრძე 2 მეტრია, წონა — 50 კილოგრამამდე.

საოცარი არსებია ზვიგენი კვერთევზა. ეს სახელწოდება ზუსტად შეეფერება მისი



არაპაიმა

სხეულის ფორმას. ამ ზვიგენის სიგრძე 3-4 მეტრია. იგი მტაცებელია, საშიშია ადამიანისთვისაც. ეს ზვიგენი ტროპიკულ ზღვებში ბინადრობს, თუმცა გვხვდება ევროპის სანაპირო წყლებშიაც.

შავ ზღვაში ცხოვრობს ხმალა. მისი ზედა უბა ძალზე განვითარებულია და მახვილის ფორმა აქვს. ხმალას სიგრძე 4 მეტრია, წონა — 300 კილოგრამამდე. ამ თევზს თავისი მავარი ყბით ნავის გახვრეტა შეუძლია.

ოკეანეების ტროპიკულ ნაწილებში ბევრია ელექტრული გველთევზა — საკმაოდ მოზრდილი ცხოველი. მისი სიგრძე ზოგჯერ 2 მეტრია.



გამბუზია

ინდოეთის, წყნარსა და ატლანტის ოკეანეებში ბინადრობს თევზი იაღქანა. მისი სიგრძე 6 მეტრს აღწევს, ხოლო ზურგის ფარფლის სიმაღლე თითქმის 1,5 მეტრია. ამ ფარფლს იგი იაღქანივით იყენებს.

ტროპიკულ წყლებში ცხოვრობს ცისფერი ზვიგენი. მისი სიგრძე 4-5 მეტრია. ამ ზვიგენს კაციკამიას უწოდებენ, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც იგი თავს ეხსმის ადამიანს.

ლილი გელაშვილი, იქთიოლოგი.

და გოგონების ვაქცაცობითა და პატიოსნებით, შეუდრეკელობით, პირდაპირობით, ქვეყნისა და ადამიანების წინაშე თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის მაღალი შეგნებით. ყოველივე ეს კი იმითმ ხდება, რომ მწერალი კარგად იცნობს მოზარდთა სულიერ სამყაროს, და ეს არც არის გასაკვირი — შალვა გიგაშვილი ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე პედაგოგად მუშაობდა და ამ ხნის განმავლობაში თითქმის

ოცი ათასი ბავშვისთვის უსწავლებია მშობლიური ენა და ლიტერატურა.

ამ მცირე ხნის წინათ „ნაკადულმა“ და „მერანმა“ თითქმის ერთდროულად გამოცეს შ. გიგაშვილის ორი წიგნი: რომლებშიც უკვე ნაცნობ მოთხრობებთან ერთად ახლებიცაა შეტანილი. უეჭველია, ეს პატარა წიგნები დიდ სიხარულს მიანიჭებენ ჩვენს ნორჩ მკითხველებს.

მხატვრის ღიმილი

ბ. პეტრიაშვილი



უსიტყვოდ



განყოფილება
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული მწვრთნელი
უმთა ინჟინერი


თამაზობან ნორჩაბი

დაბოლოს კვლავ მეორეთან-რიგისნებს დავებრუნდეთ. სტრატეგიული, სადებიუტო შეცდომების განხილვამდე გავცნოთ ენდშპილში ტაქტიკის გამოყენებას.

მავილაძემ მეფის თამაშში შემოყვანის ნაცვლად ითამაშა გულუბრყვილო 43. ... კგ7 (სტრატეგიული იდეა გასაგები და სასურველია: 44. d5 კd4 45. c6 კხ6 თეთრი პაიკების ბლოკირებით და პარტიის მოგებით, მაგრამ 43. ... კგ7 ტაქტიკურად მცდარი აღმოჩნდა!). 44. ხ6! cb 45. c6 და შავები დანებდნენ.

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 11 (1983 წ.), 1, 3, 7.

მანვილაძე (ჭუთაისი)



უთმალიძე

უთმალიძე—ჟორჟოლიანი (ჭუთაისი) 1. d4 d5 2. c4 e6 3. მც3 მf6 4. კგნ კე7 5. e3 c6 (უზუსტობა) 6. კd3 (უზუსტობა) 6. ... dc (საჩქარო არ იყო) 7. კ×c4 0—0 8. მf3 ხ6 9. კh4 მd5 10. კ×e7 (კგ8) ლ×e7 11. ლხ3 ხ5? (ეს უკვე სერიოზული შეცდომაა — სუსტდება ლაზიერის ფრთა) 12. კ×d5! (საინტერესოა. შეიძლება 12. კd8 ან 12. კე2) 12. ... ed 13. 0—0 ლf6 14. მფh1? (ეს პანიკა და არა პროფილაქტიკა. უთმალიძეს ჰადრაკი და, კერძოდ ორთოლოქსალური პოზიციები იმდენად კი ესმის, რომ ამ პოზიციაში ეპოვა 14. ა4!, რითაც საბოლოოდ აჩანაგებდა შავების ლაზიერის ფრთას და თეთრი ძალებისათვის უფრო ხელმისაწვდომს ხდიდა). დაახლოებით ასეთი ყაიდის პოზიცია შეიქმნა იაშვილი — ჯალა-

ღონის (ჩხორწყუ) პარტიანი: 1. d4 d5 2. c4 e6 3. მც3 მf6 4. კგნ კხ4 5. მf3 ხ6 6. კh4 c6 7. e3 გნ (საპასუხისმგებლო წამოწყება) 8. კგ8 მც4 9. ეc1 მ×გ8 (ნაჩქარედია. საყურადღებოა 9. ... ხნ და თუ 10. ხ3, მაშინ უკვე 10. ... მ×გ8) 10. hg მd7 11. ა3 კ×c3 (საყურადღებოა 11. ... კf8 და 12. ... კგ7) 12. ე×c3 მf6? 13. კd3? (შაბლონი! 13. მ×გნ იგებდა პაიკს) 13. ... dc (ანალოგიურ პოზიციებში ცენტრის დამოხმა, დროებითი დამოხმა უკავშირდება ჩაკეტილი, „ცუდი c8 კუს“ განვითარების პრობლემას. როგორც წინა პარტიაში, ისე აქაც შავების მოქმედება მოკლებულია მიზანდასახულობას. უფრო მეტიც—ორივე შემთხვევაში მათ უმოწყალოდ დაახუსტეს თავიანთი პოზიციები) 14. კ×c4 მც4 15. ეc1 ლან 16. მd2 მ×d2 17. ლ×d2 ლ×d2 18. მფ×d2 ხ5? (ისევე, როგორც წინა პარტიაში — იხ. 11. ... ხ5? — აქაც ეს სტრატეგიული ლაფსუსი გამოუსწორებლად აწიანებს შავების პოზიციას. ქრონიკულად სუსტდება შავი უჯრები და c6 პაიკი და ხაზზე. c8 კუ რჩება საკუთარი პაიკების ტყვეობაში. იგი ე.წ. „ცუდი კუა“) 19. კე2 კხ7 20. კf3 ეc8 (შეიქმნა ტიპური პოზიცია. თეთრებს მხოლოდ პოზიციური პლუსები აქვთ, ხოლო შავებს

—მხოლოდ მინუსები. მათი პოზიცია სტრატეგიულად უკმარებელია) 21. ხ4 მფ7 22. გნ ა6 23. გ4 f6 24. მფd3(?) (თამაში „ცალ კარში“ მიმდინარეობს. შავებს არავითარი კონტრთამაში არა აქვთ. ახეთ შემთხვევაში შესაძლებელია პოზიციის მშვიდად, თანდათან გაძლიერება. შიგადაშიგ საჭიროა პროფილაქტიკა, რომ არ დავუშვათ პოზიციის გართულება, რამეთუ „წყლის ამღვრევა“ ხელს აძლევს წახაგებად განწირულ მხარეს. საყურადღებოა მყისვე 24. e4 რომ, მოვლენების განვითარებიდან გამომდინარე, თეთრმა მეფემ დაიკავოს e3 ან d3 უჯრები) 24. ... ეc7 25. e4 მფd6 26. e5 fe 27. ე×e5 (საყურადღებოა აგრეთვე 27. dc, რაც ქმნიდა „გ1—ა7“ დიაგონალით თეთრი მეფის მოწინააღმდეგის ბანაკში შეტრის პერსპექტივას. შავები „d“ ვერტიკალზე კონტრთამაშს ვერ ასწრებენ. მაგალითად: 27. de მფe7 28. მფე8 ეd7, წინააღმდეგ შემთხვევაში, თეთრები თავად დაიკავენენ „d“ ვერტიკალს. 29. კ×c6 კ×c6 30. ე×c6 ეh8 31. ეd6! თეთრებს ორი ეტლის გაცვლაც აძლევს ხელს. გავცნოთ შესაძლებელი კუს ენდშპილს. (იხ. „ლიაგარაში ვარიანტიდან“) 1. მფd4 მფd7 2. მფc5 მფc7 3. კე4 (კა8 4. კგ4 კხ7 5. კე8) ეს ენდშპილი „ცუდი“ და „კარგი“ კუს თვალსაჩინოებაა. 6. გ8 თეთრებს არსად არ ეჩქარე-



„პიანჭველების ცივილიზაცია“

კიანჭველების ცხოვრების გულმოდგინე შესწავლით დადგინდა ადამიანთა და კიანჭველთა საზოგადოებრივი ცხოვრების საოცარი მსგავსება.


მაგალითად: პროფესიონალი „მეთვალყურეები“ ახლადმოხილ კიანჭველებს „ბაგაში“ ათავსებენ, უვლიან და სისტემატურად გაჰყავთ სასიერნოდ. „ექიმი“ კიანჭველები ყოველდღიურად ატარებენ პროფილაქტიკურ გასინჯვებს, საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფებს აწვენენ და ოპერაციებსაც კი უკეთებენ. სამხრეთ ამერიკაში მობინადრე კიანჭველებს „ფერმერებს“ ეძახიან. ისინი ხის ბუჩქებს მიწით ავსებენ, შემდეგ კი კულტურებს თესავენ. მოსავლის აღებაში ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობს. ზოგიერთი ოჯახი სათესად ბუდის მიმდებარე ტერიტორიას

იყენებს. მოწეულ მარცვალს მიირთმევენ, ნაძვას კი მშენებლობაზე ხმარობენ. კიანჭველებს დაკრძალვის ცერემონიალიც აქვთ: „მეცხლედეები“ მიცვალებულს ბუდიდან ასე 2-2,5 მეტრის მოშორებით ასაფლავებენ. როგორც ჩანს, კიანჭველები ძირითადად თანდაყოლილი ინსტიქტების როული სისტემით მოქმედებენ, რომელიც ამ საზოგადოებრივ მწერებს ძალზე განვითარებული აქვთ. როგორ „ლაპარაკობენ“ დელფინები დელფინები ცხვირის საშუალებით „ლაპარაკობენ“. ამ დასკვნამდე მეცნიერები მრავალი

წლის დაკვირვებების შედეგად მივიდნენ. მგრძობიარე ულტრაბგერითი აპარატების საშუალებით დადგინდა, რომ დელფინის ეული ბგერების წარმოქმნაში არავითარ როლს არ თამაშობს, ისინი წარმოიშვებიან ნესტოებში, რომელთაც დელფინები რიტმულად აფართოებენ და კუმშავენ. სუსხომოლია — ეპროპის ცენტრი? ძალზე ძნელია ევროპის ცენტრის დადგენა. პრეტენდენტთა შორის ლიდერია პოლონური სოფელი სუსხოვლია. მისი მცხოვრებნი ამტკიცებენ, ევროპაში ოთხი ყველაზე მაღალი წერტილიდან სწორი ხაზები რომ გავავლოთ, ჩვენს სო-

ბათ! შვი ფიგურების მოძრა-
უნარიანობა ძალზე შეკვეცი-
ლია. ახლა დიდი, გაღამწვეტი
ძალით ებმება ბრძოლაში „წ“
პაიცი. მრავალფიგურებიან ენდ-
შილში ან მითელშილში, რო-

პოზიცია პარიანტიდან



ცა მოწინააღმდეგეს „ცუდი“
კუ ჰყავს, ჩვენი მთავარი ორი-
ენტრი კუს ენდშილია. აქ ღვე-
ბა ხელსაყრელი გაცვლების სა-
კითხი).

27. ...ge7?? 28. ghe1??
(28. ე×გ5) კ8 29. ე1
კ7 30. ეce1 ე8h7 და
მოწინააღმდეგენი ყაიმზე შე-
თანხდენს. ნადარევია. თეთრებს
შეეძლოთ პოზიციის გაძლიე-
რება. იაშვილი ვალდებული
იყო ბრძოლა გაეგრძელებინა.
ახეთ პოზიციებში საჭიროა სი-
სუსტეებზე მუქარების მონაც-
ვლობით მოწინააღმდეგის შეც-
დომის გამოწვევა. მოწინააღმ-
დეგის სისუსტეები და მათი
ფიგურების შეზღუდული მო-
ძრაუნარიანობა ამის საწინდა-
რია.

ბრძოლის გარეშე არც თა-
შაშის კლასი განვითარდება და
არც ნებისყოფა!

ვენახოთ, როგორ დაიხაჯენ
თეთრები „უშვიფარი“ თამაში-
სათვის. სპურიდო60 (ცხაკაია)
— იაშვილი. 1. d4 d5 2. e3
მ6 3. c4 e6 4. მ3 კ7 5. მც8
0—6. კ8 მ6d7 7. ლc2 ხ6 8.
cd ed 9. h4 c5 10. ხ3 კ7 11.
ე3 cd 12. ed ე8 13. მგ1 მe4
14. მგe2 ეe8 15. კ×e4 de
16. ა3 კ×h4 17. გ3 ე6 18.
გ4 კe6 19. ეა2 კ×e2 20.
მფ×e2 კ×d4 21. კd2 ლწ6
პოზიცია პარიანთისა (შავები)
და დისპარმოინის (თეთრები)
თვალსაჩინოებაა. ყოველივე
ამას დაერთო 22. მფწ1??
ლ×წ2++.

უკეთეს შთაბეჭდილებას ტო-
ვებს თეთრების (ხანოძე) თამა-
ში შემდეგ პარტიაში: სან(ძი)
(წულუკიძე) — იაშვილი. 1.
d4 d5 2. c4 e6 3. მ3 მ6 4.
კგ5 კe7 5. მ3 0—0 6. e3
h6 7. კh4 მ6d7 8. კe2 ხ6 9.
cd ed 10. 0—0 კ7 11. ეc1
c5 12. კგ3 მe4 13. კf4 წ5 14.
ლხ3 c4 15. ლc2 გ5 (საბასუ-
ხისმგებლოა. შეიძლება აგ-
რეთვე 15. ... კc6 და ხ6—ხ5
ღაზიერის ტერთაზე შეტევით)
16. კe5 ე6? (ნათქვამია, „ვინც
თქვა „ა“, მან „ბ“-ც უნდა თქვა-
ხო“. პოზიციის სტილშია 16.
... გ4 17. მd2 (e1) მ×e5 18. de
ლc7 ახლა ბრძოლა იწვევს შე-
მობრუნებას თეთრების სახარ-
გებლოდ) 17. კ×წ6 ლ×წ6 18.


მd2 გაe8 19. მd×e4 fe 20.
ხ3! (იაშვილმა ეს სვლა წინას-
წარ ვერ განჭვრიტა ან სათა-
ნადოდ არ შეაფხა) 20. ... cb
21. ლ×ხ3 (ახლა ხანოძე „დნ“-
ზე და ლაზიერის ფრთაზე კო-
მბინირებული მოქმედებით გა-
დამწვეტი უპირატესობას აღ-
წევს) 21. ... ლწ7 22. მხნ ლe7
23. მ×a7 ეა8 24. მხნ კe6??
25. მც3? (25. ლ×d5) კ×e2
26. მ×e2 მ6 27. მც8 ეაd8
28. ეc2 ლწ7 29. ეfc1 მგ4 30.
მd1 ეd6 31. ხ3 მ6 32. ეc7
ლe6 33. ლხ5 მd7 34. ეlc6
ეწ6 35. ე×d6 შავები-დანებ-
დენს.

ვაშთავრებ რა-სამტრდიის
საკავშირო ფესტივალში ჩემი
აღსაზრდელების შემოქმედების
კრიტიკულ მიმოხილვას, ვთხოვ
რესპუბლიკაში ბავშვებთან
მომუშავე მწვრთნელებს, გამო-
გზავნონ თავიანთი აღსაზრდე-
ლების პარტიები და ფრაგმენ-
ტები შეულამაზებელი, მიუკერ-
ძოებელი განხილვით. აღვნი-
შნავთ, რომ ბევრი პედაგოგი
(და მშობელი) ბავშვისათვის
„გზის გაკავით“ ამუხრუტებს
მის ზრდა-განვითარებას, წინ-
ხვლას. ჰადრაკი ბრძოლაა, ულ-
მოზელი ბრძოლა. ამდენად, ოს-
ტატობა მარტო საჭადრაკო
გაგების პრაქტიკული გამოვლენა
ეი არ არის, არამედ ძლიერი
ნებისყოფაცაა. სერიოზული
სატურნირო პრაქტიკა (ყო-
რადღება მიაქციეთ სიტყვას —
სერაოზული, თან გავის
ხენით რუსთაველისეული „მა

რთალი სამართალი“) თორა
ული ცოდნის დახვეწა ფაქტურული
ბისყოფის, შემართების განხორციელება
თარბაა.

ვფიქრობ, რომ სწავლა შაბ-
ლონთან განუწყვეტელი ბრძო-
ლაა. თუმცა მიმაჩნია, რომ
შაბლონის არსებობა (რალაც
დღაში) არა თუ გარდაუვალი,
არამედ სასურველიცაა.

ქვემოთ მოყვანილი პოზი-
ცია შეიქმნა 1976 წელს აჭარის
ვაჟთა ჩემპიონატის (ბათუმი)
ერთ-ერთ პარტიაში. თეთრები-
თაა ნიჭიერი ქობულთელი ჰა-
ბუცი გენადი ზეინალოვი (აღ-
სანიშნავია, რომ ამჟამად გენა-
დი ნაყოფიერ სამწვრთნელო
მუშაობას ეწევა).



სვლა თეთრებისაა

უკანასკნელი სვლები ახეთი
იყო: ეე1—d1 ლd4:c4) ლაზი-
ერმა აიყვანა კუ), იპოვეთ მახ-
ვილგონიერული სვლა, რომ-
ლითაც თეთრები აღწევენ შა-
ტერიალურ უპირატესობას.
ველით თქვენს პასუხს.

ფელში გადაიკვეთებიანო. 2126
კომლით დასახლებული სუსო-
ვლია ბელოსტოკიდან 80 კი-
ლომეტრში მდებარეობს.



306 უხელმძღვანელებს?
ინგლისის მეფე ჰენრი VIII
ცნობილია თავისი სისასტიკით.

ამავე დროს იგი იყო პირველი,
რომელმაც მაღალი შეფასება
მისცა ცოდნის ძალას. ერთხელ
მრჩეველებმა შესთავაზეს მას,
შემეცირებინა უნივერსიტე-
ტებისათვის განკუთვნილი თან-
ხა, რაზედაც მეფემ უპასუხა:
„ბატონებო, ჩვენ მოვკვდებით
და ჩვენი ძველებიც კი გაჭრე-
ბიან. უნივერსიტეტები კი ინგ-
ლისს უხელმძღვანელებენ, და
ჩვენზე უკეთესადაც“.

**როგორ უარმოიხუპა
დონორობა**

პირველად სისხლის გადასხმა
1818 წელს ინგლისელმა ჯეიმს
ბლუნდელმა განახორციელა.
მაგრამ მხოლოდ ერთი საუკუ-
ნის შემდეგ გადაწყვიტეს კონ-
სერვატორმა ინგლისელებმა გა-

ეხსნათ სისხლის გადასხმის
მუდმივი მოქმედი პუნქტი ლონ-
დონის სამეფო კოლეჯის სა-
ვადმყოფოში. შემდეგ ამგვარი
პუნქტები სხვა ქვეყნებშიაც
შეიქმნა.

დღეს დონორთა სამსახური
მთელ მსოფლიოშია გავრცე-
ლებული. მარტო ინგლისში ამ-
ჟამად წელიწადში 2118 000
სისხლის გადასხმას ატარებენ.

**ლა-მანშის
დაგმორჩილებელი**


კანადელმა სტუდენტმა სენ-
დი ნიკოლსმა ახალი მსოფ-
ლიო რეკორდი დაამყარა: მან
ლა-მანშის გადაცურვასა და
შეთრებლობა უკან დაბრუნე-
ბას 19 საათი და 55 წუთი



მოანდომა. იგი მსოფლიოში
პირველი ქალია, ვინც ამ მარა-
თონს გაუძლო. მანამდე ლა-
მანშის გადაცურვა ოთხმა მამა-
ბაცმა შეძლო, მაგრამ მათ
ხეცრად მეტი დრო დასჭირა
დათ.




დება ხოლმე. თუ ამ ჭურჭელს უელზე რეზინის რგოლს ჩამოაცვამ, ჩამოსხმისას სითხე აღარ დაგედვრება.




კარგა ხნის ნამსახურ ხორცსაკეპს შნეკსა და კორპუსს შორის არსებული ღრეჩოდან ხშირად გადმოსდის ხოლმე გადამუშავებული პროდუქტის წვენი. ამ უსიამოვნების არიდება ადვილად შეგიძლია, თუ შნეკის ბოლოს პოლიეთილენის საცობისაგან გამოჭრილ საყელურს ჩამოაცვამ.


ელვისებური პარტიების თამაშისას მოჭადრაკეები ისე ენერგულად რთავენ ხოლმე საათებს, რომ ისინი ვადაზე აღრე ფუჭდებიან. თუ ჩამრთავ დილაკებს ქვემოთ პენიცილინის ფლაკონის სახურავი რეზინისაგან გამოჭრილ პაწია რგოლებს დაუტენევ, საათები გაცილებით მეტ ხანს იმუშავებენ.



თუ წყალსადენის ონკანს ჭოკის ხრახნუთხვილი გაუცვდა, გულს ნუ გაიტეხ: ჭოკსა და ჩამკეტ სარქველს შორის ჩაატანე მოკლე ხიშტაკი (ВСТАВКА) — ლურსმნის ან მსხვილი მავთულის გადანატერი. ხიშტაკის სიგრძე ონკანის კონსტრუქციის მიხედვით შეარჩიე.



ზოგ ავზაკს (ალუმინის ათლიტრიანს) და პლასტმასის ბოცას უელზე ქიმი არა აქვს მოვლდებული. ამიტომ მათგან ჩამოსხმა უხერხულია — სითხე კედლებზე ჩამოდინ-



თუ ბევრი მინა გაქვს ჩასასმელი და დასაგოზავი, აიღე ძველი, უკვე უფარგის ხორცსაკეპი და შიგ საგოზავის გუნდა გაატარე. მიღებული თანაბარდიამეტრიანი ღეროები ძალზე გაგიაღვიღებენ მუშაობას.



როცა დედა ხილფავის ხარშვას დაიწყებს, ტაშტის ახლოს ვენტილატორი დადგი. ზელაპირისაკენ მიმავალი ჰაერის ნაკადი გაფანტავს ორთქლს. ამის შედეგად ჩქარდება ხარშვის პროცესი, ხილფავა უხეფებს არ ისვრის და ფსკერსაც აღარ მიეწვება.

საკიბეა

მ. გელაშვილი — სიხარულის მომტანი 24 დღე (ნარკვევი) გარეკ.	2
თ. ჩალაური — უჭიათი (მოთხრობა)	3
ზ. კუმბურიძე — მადღმოსილი შემოქმედი (წერილი)	5
გ. ჭიჭინაძე — ტაშფანდურა; მზე და მთვარე (ლექსები)	7
ა. ელერდაშვილი — ჭუნგა (მოთხრობა)	7
ლ. ხტილია — ეს ქვეყანა შენია! ჩემი ჩაის შვიდი მწკრივი (ლექსები)	9
ნ. ანდრონიკაშვილი — მართვე უბრუნდება ბუდეს (მოთხრობა)	10
ნ. კილახოზია — წყარომ მიმღერა (წერილი)	16
ი. აფციაური — ახალი ზარები; შვილი; მზემ მამული დამატარა (ლექსები)	17
ა. ისი	18
ე. შიმრია — მდინარე ბიტენკის იქით (მოთხრობა)	20
შევეკრიბოთ ხალხური საუბრე	23
ბუნების კარი — წავი (წერილი)	25
ვ. ბაზანი — ძალა არაფრისაგან (მოთხრობა)	25
ახალი წიგნები	28
ლ. გელაშვილი — ჭუჭა და გოლიათი თევზები (წერილი)	29
მხედრიონი	30
ჯადოსნური სარკე	30
გამოგადგები	32
ცხრაკალიტული	გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თამარ ფხიკიძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია

ხარდაქციო კოლეგია: ნუზარ აფხაზაძე, ზურაბ გომეზაძე, ავთანდილ გურგანიძე, დომო ვალაჟორია, გიორგი ფოსხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რომანო ლარიგაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამგრიანი (პ/მგ. მღვიანა), დინა შაფირაძე, ზურაბ წაპრიკაშაშვილი, ზურაბ მუშაბერიძე.


საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მღვიანა — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01 გადაეცა ასაწყობად 27.06.84 წ., ხელმოწერილია დახაზუქდად 24.08.84 წ. ქალაქის ფორმატი 60×90¹/₃. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1426 ტირაჟი 156.000 ეგზ., უე 08178.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 350096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60×90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 156.000 экз. Цена 20 коп.



თარაზულად: 7. ჩანჩქერი ამერიკაში; 8. ვერცხლისწყალთან სხვა ლითონის შერევით მიღებული ხსნარი ან შენადნობი; 9. სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო გამოწვეული სევდა; 10 უმაღლესი სასწავლებელი; 11. ძველებური რუსული ოქროს ფული; 18. ძველი ბერძნების სიმებიანი საკრავი; 15. პარკოსანთა ოჯახის კულტურული მცენარე; 18. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 19. ნემსის ჩხვლეტი მკურნალობა; 20. მოვერცხლისფრო ლითონი; 24. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქი; 26. აღმნიშვნელი, ჩამწერი მოწყობილობა; 29. წყლის საათი; 31. ძველი მონეტებისა და მედლების შემგროვებელი; 31. ინგლისის ქალაქი; 32. მზის სისტემის პლანეტა.

შეკვთულად: 1. სოფელი ყვარლის რაიონში; 2. ბოსტნეული მცენარე; 3. ქართველი პოეტი; 4. საბჭოთა ფულის ერთეული;

5. საფრანგეთის ქალაქი; 6. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი რა იმე მოქმედების შესასრულებლად; 12. მთავრობის, სახელმწიფოს მეთაურის ადგილსამყოფელი; 14. ქართველი თეატრალური მხატვარი; 15. მონათა აჯანყების ბელადი იტალიაში; 16. ილფისა და პეტროვის ნაწარმოების — „თორმეტი სკამის“ პერსონაჟი; 17. დაშაქრული ხილი; 21. თავისებური წარმოთქმა, უნებური დამახინჯება ამა თუ იმ ენის ბგერებისა იმის მიერ, ვისთვისაც ეს ენა არ არის მშობლიური; 22. სწორი ბალახიანი ადგილი; 23. საშენი მასალა; 25. ამა თუ იმ დარგში მიღებული წერილობითი პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები; 28. აფრიკის ქალაქი ხმელთაშუა ზღვის ნაპირას.

შეადგინა მ. გოშაძემ

გამოცანები

ხავე ტომარას ახურავს კობტად კახური ქული და ხეზე დაკიდებულა იმავე ქულის კულით.

კარს კაკუნზე არ უღებენ, ძალით ამტვრევს, რა ჰქნას აბა? შინ რამდენიც უნდა დახვდეს, ყველას უცებ გადაუკაპავს.



მარმარილოს სვეტის წვეროს ცეცხლი წაპკიდებია, გული იწვის, გვერდები კი ცხელ ცრემლებად ღნებიაან. **ჯიბო ჯიბერი**

სულმთლად დააქუცმაცეს ნაცრისფერი მთა, უფრო წმინდად ვერ დაფქვავ. რაც არ უნდა ფქვა... იმ ფქვილს წყალს თუ დასხამ, კვლავ იქცევა ქვად.

რაც თავი მახსოვს, მოვდივარ. ვიწრდები, ვანა ვილევო. მინახავს თქვენი პაპები, წინ კი მელიან შვილები... გუშინდელიდან მოვედი, ხვალეში მივედინები.

ერთი ფიცბი რაში ვიცი, კადრაკივით მოხატული, არ ახანებს, —


გაგაქანებს, საითქენაც გიწვევს გული.

ოკეანეს ეფინა კამკამა ცის ფერი. შორიახლო შევნიშნე შადრევანის ჩქერი. მივეძალე ნიჩბებს და მივაცურე ნავი. მივებლდი, ვიხილე უცხო სანახავი — ოკეანე შფოთავდა მისი გულის ფთქვით, მე მეგონა, მცურავი კუნძულია-მეთქი...

მ. მარინია







ვაზარჯიშვამთ მახსიარებას

ამ ნახატზე 18 საგანია. დააკვირდით 2 წუთის განმავლობაში, შემდეგ სურათს დააფარეთ. რა საგნები დაგამახსოვრდათ? ჩაიწერეთ. რაც მეტს ჩაიწერთ, მით უკეთესი მეხსიერება ჯქონიათ.



პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ხსრეკლიგულზე“

თავდასაქმებულა
გეომეტრია



5/11/23

ქართული ჩემპიონი
 სიყვავილე-თქვენი
პირველნი ვიკტორია




ქალი პატრონი
 ვერა სცემს.



კურდღელს ურჩით სძვს.



მსახურის
 გივი
 კეჩიკაძე



თავი ქუღი აქვს



თავს ზევით ქალა არა მკვს.



ვკუას ქალას ატანს



თქვენი მოსახუებელი



კბილი რა ხანია მოვიცვალა



ქვა საგდო და
 თავი შეუშვია



მიწას ფეხს არ ადგამს